

- ზამი გასაგებად საუპრისა **გვ. 16**  
სტიპიდისგან გაცვევის ტვირთი **გვ. 34**  
იცხერვიუ დავით პერძენიშვილთან **გვ. 10**  
დამატავებ ქცეული მსხვერპლი **გვ. 44**  
ზენე გვცყურია ჩვენ პირდაპირი **გვ. 78**  
ფული **გვ. 82**

ლექსი

162 / 03 2015

1737  
2015


ISSN 1987-7528




ფასი 5 ლარი

# ნიბნიცხაბუს ცვლილები

**გვ. 30**





შეიძინეთ

„ლიბერალის ბიბლიოთეკის“  
პირველი წიგნი



გამომცემლობა „არტანია“



ციბისაცი



162 / 03 2016

მთავრი რედაქტორი  
სურაბ გარდიაშვილი

მრავალის რედაქტორი  
გიორგი ჭერიძე

კოლონის რედაქტორი  
არაული ასანძე

კლეიპრესის რედაქტორი/  
მედიაგანითარების  
მუნიციპალიტეტი  
ლევა ზეგაშვილი

სამართლებრივის რედაქტორი  
დათო გამისონია

უფროდას რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე

მრავალის თავი

სურაბ გარდიაშვილი, ლიკა  
სამარგალი, გიორგი ჭერიძე,  
ქადაგი ლევან გამისონია,  
სალანი, ეკა მაღალდაძე, სოფო  
აფასური, თეი კანაშვილი, დათო  
ფარულავა, ნათო ამირანაშვილი,  
დათო გამისონია

კონტენტის მუნიციპალიტეტი

ლევან ახალაძე, სილვა შტიობერი,  
ლევან ბერძნიშვილი, გიორგი  
კუკუშიძე, ირაკლი ხვადაგანია,  
სურაბ გურიოლიძე, დავით  
ბერიძე, გიორგი ახვლედავანი,  
ასტერ მგლობლიშვილი

მრავალის დიზაინერი  
ორნიუ ლორთუელიძე

სამართლებრივისათვის/  
კონკრეტი  
ნათო რომელცაძე

სამართლებრივის სტილისთვის/  
კონკრეტი  
ნინო კალატონიშვილი

კონსალტაციისათვის  
ფრენკ გარებაძე  
ქურუკ ქავთაძე

კონსალტაციის მარკეტი  
კარი ჯანაშვილი

კონსალტაციის ურთიერთობის  
გენერატორი  
ირმა მოსულიშვილი,  
ნინო ჯანაშვილი

კონსალტაციის მარკეტი  
შელ კატლაშვილი

ფინანსური  
გიგანტი

ფუნქციის გამოწერის მსურველები  
დავით გურუკიძე

247 02 46



## ნამდვილი ამბავი

შენ წიგნებს თავიდან ბოლომდე კითხულობ? – სრული სერიოზულობით მყითხა ბავშვობაში ერთ-ერთმა მასწავლებელმა, როდესაც სკოლის დერეფანში ბიბლიოთეკის ოთახიდან გამოსული პირისპირ შევეჩეხე.

– აპა? – დავიბენი მე, 14 წლის ვარ, წიგნები მაქვს ამოჩრილი, ბოლო გაკვე-  
თილებიდან „მოტეხვას“ და ჩემი წიგნებით სახლში გაპარვას ვცდილობ. მაგრამ მაინც შევჩერდი.

– დასაწყისში ორი გვერდი, შუაში – სამი, ბოლოსკენ ისევ ორი და ეგაა, წიგ-  
ნის შინაარსი დაახლოებით უკვე იცი, ბევრჯერ გამიკეთებია.

არ ხუმრობდა.

გავიდა წლები. დღეს უკვე აღარ მაოცებს ამგვარ მკითხველთა არსებობის  
დამადასტურებელი ბევრი ნიშანი, ასე მჭიდროდ კონცენტრირებული ჩემს თვალ-  
საწირში.

თქვენ ალპათ ფიქრობთ, რომ როგორი ბავშვობა მქონდა. არა, ასე არ არის,  
სხვა მხრივ გამიმართლა და ჩემი მასწავლებლის კითხვის მანერა არ ამითვისე-  
ბია. მაგრამ საკითხავია, რამდენს არ გაუმართლა?

თანაც მხოლოდ სკოლაზე ხომ არ ვსაუბრობთ (თუმცა ის ყველაზე მნიშვნე-  
ლოვანია)? წიგნი – როგორც ბიზნესი და მისი კრახი საქართველოში, გამომცე-  
მლობების გასაჭირი, ბიბლიოთეკების სერვისი, და სხვა საკითხები, რომელიც  
ერთობლიობაში ქმნის საფუძველს რომ წიგნის მოყვარულებმა, მკითხველებმა  
და არა გადამკითხველებმა თავი ჯოჯოხეთში არ იგრძნონ – მიმდინარე ნომერი  
ძირითადად ამ თემას ეძღვნება.

ზაფხულია. არდადეგების, შვებულებების, დასვენების დრო. რა ჯობია ბრეგვა-  
ძეებში ქეიფს და წიგნებთან ერთად დასვენებას...

ზურაბ ვარდიაშვილი, მთავარი რედაქტორი



მთავარი თავა

## თანამესანან ნიბნები

საქართველოს  
სასჯელადსრულების  
დაწესებულებების ბიბლიოთეკებში  
ჯამში 50 ათასამდე წიგნი ინახება.  
ბიბლიოთეკაში მოხვედრამდე  
წიგნი რამდენიმე კრიტერიუმს  
უნდა აქმაყოფილებდეს: მისი ზომი  
არ უნდა აღმატებოდეს 21/30  
სანტიმეტრს; ასევე, არ დაიშვება  
ლიტერატურა, რომელიც შეიცავს  
პორნოგრაფიას, მშენებლობის,  
ცეცხლსასროლი იარაღის და  
ასაფეთქებელი ნივთიერებების  
აწყობის იმსტრუქციებს; მასალას,  
რომელიც რასობრივ, რელიგიურ  
და ეროვნულ სიძულვილს  
მოიცავს და წიგნები, რომლებიც  
მსჯავრდებულის/ბრალდებულის  
უსაფრთხოებას შეიძლება უქმნიდეს  
საფრთხეს. თუმცა, ერთია წიგნები,  
მათი რაოდენობა, თანამედროვეობა  
და შინაარსი, მეორე კი ის, თუ რას  
ნიშნავს ციხის ბიბლიოთეკა თავად  
პატიმრებისთვის.

მთავარი თავა

## ქართველი საბაზო სამართლებრივი საქართველო - ნახევრი ეს მოავალი

2012 წელს ქართველ გამომცემლებს მათ მიერ გამოცემული  
სახელმძღვანელოების გამოცემისა და რეალიზაციის  
უფლება ჩამოერთვათ. მაშინ გამომცემლები ამბობდნენ, რომ  
მინისტრის ეს გადაწყვეტილება მათ მომავალ საქმიანობას  
მნიშვნელოვნად შეაფერხებდა. როგორია ქართველ  
გამომცემელთა მდგომარეობა დღეს და როგორია მათი  
სამომავალო გეგმები.

 ლიკა ზაქაშვილი  
83.20



 გორგიჭევიძი  
83.24

სახელი

## ჩესკებინის ჩისტი

„ნაციონალური მოძრაობა“ და ბურჯანაძის პარტია ერთმანეთის მიმართ ზურგით დგანან. ეს ორი უკიდურესად დაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციაა. მათი გაერთიანების ალბათობა ძალიან დაბალია. „თავისუფალი დემოკრატები“ მაქსიმალურად ემიჯნებიან „ნაციონალებს“. ეს პარტია 5 წლის წინ, მათთან პაექტობის რეჟიმში შეიქმნა. „პატრიოტთა ალიანსი“ ბურჯანაძესთან გაცილებით ახლოს დგას, ვიდრე ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ პარტიასთან. ამ ვითარებაში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ერთგვარი კომფორტული მდგომარეობა აქვს, რადგან მისი ერთიანი ალტერნატივა არ არსებობს.


 ზურაბ ვარდიაშვილი  
გვ.10

ფოტოები

## ბიობი ე ბიობი



 ბასტი მგალობლიშვილი  
გვ. 54-63




საზოგადოება

## ბავშვები საოცის ბახით

ქალაქის ქუჩებში, მიწისქვეშა გადასასვლელებში თუ მატარებლის ვაგონებში მუდმივად ვხვდებით ბავშვებს, რომლებიც მოწყალებას ითხოვენ, სხვადასხვა ნივთებს ყიდიან. ვიცნობთ ბავშვებს მეზობელი ოჯახებიდან, რომლებიც არასდროს გვინახავს დილით ზურგჩანთით სკოლისკენ მიმავალი – ამ დროს კი მათი თანატოლები სკოლებში არიან, იღებენ განათლებას, იძენენ მეგობრებს, სწავლობენ ურთიერთობებს, ირჩევენ საყვარელ საგნებს, წიგნებსა და პროფესიებს. რამდენი ბავშვია სკოლის გარეთ, რატომ ცხოვრობენ ისინი განათლების გარეშე და რას აკეთებს სახელმწიფო მათ დასახმარებლად – გადავწყვიტეთ ივნისის ნომერში ბავშვების უმთავრეს უფლებაზე – განათლებაზე გვესაუბრა.

 თათია ხალიანი  
გვ.50

ნომერი:



ჩეცობები

## სტიქისძან გაცევის ტვიხითი



„ნალკაში ეკომიგრანტები სახლებიდან გამოასახლეს“, „ეკომიგრანტები აჭარაში დაბრუნდნენ“, „დახმარების მოთხოვნით ეკომიგრანტები აქციებს მართავენ“, „ეკომიგრანტებს სახლები გადასცეს“ – მედიაში პერიოდულად გავრცელებული განსხვავებული ინფორმაცია მყითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს მხოლოდ ფრაგმენტულ ინფორმაციას აძლევს და არასრულ წარმოდგენას უქმნის სხვადასხვა დროს სტიქით დაზარალებული, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ვისაც ეს საფრთხე სწორედ ახლა ემუქრება.

ეკა მაღალდაძე  
გვ.34

სამართალი

## ლამაზავე ჟავი მსხვილი



ოჯახში ძალადობის პრობლემა საქართველოში ძალიან მწვავედ დგას. ამას ბოლო წლებში ფემიციდის განვირებული შემთხვევებიც მონაბეჭდის. ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ქვეყანაში ქმედითი კანონის არარსებობა წარმოადგენს, რაც ქალს დაუცველობის განცდას უჩენს. შედეგად კი მსხვერპლი ოჯახში ძალადობისგან თავის დაცვას თვითონ ცდილობს და შესაძლოა, დანაშაულიც ჩაიდინოს. თუმცა თითქმის არავინ ინტერესდება იმით, რამ მიიყვანა ქალი დანაშაულამდე. მეტიც, სტერეოტიპულად განწყობილი საზოგადოება მას მაპროცენტურებელ ქმედებაში ადანაშაულებს, მოძალადე მამაკაცს კი მხარს უჭერს. შედეგად ქალი, რომელიც სინამდვილეში მსხვერპლია, შესაძლოა დამნაშავედ იქცეს.

ქათევან ღვედაშვილი  
გვ.34

გამოცემები:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246

ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებგვერდი: www.liberali.ge

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

შურინგლი გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გავდვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერთალის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

# ლასაქმების ჩანაცხი შანსი და სახათაშობისო გამოცემის განვითარება საქათვეცოსტვის



რა შეიძლება იყოს ბანკისთვის იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე საკუთარი კლიენტებისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა და რესურსების სწორად განაწილებაა. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ თანამშრომლების სწორი შერჩევითაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ „პროკრედიტ ბანკი“ უკვე ოთხი წელია „ახალგაზრდა ბანკირების“ პროგრამას ახორციელებს.



პროგრამა 2011 წელს დაიწყო. მისი მეშვეობით ბანკმა ასზე მეტი კვალიფიციური ჯდრი შეიძინა, ახალგაზრდებს კი დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობა მისცა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ პროგრამში ყურადღება ისეთ თვისებებსა და უნარ-ჩვევებზე მახვილდება, როგორცაა მონდომებულობა, მიზანდასახულობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება.

არაა კლეი მნიშვნელოვნია გუნდური მუშაობის უნარი, რადგან ბანკის პრინციპის თანახმად, ცალკე მდგომი ინდივიდუ ვერც საქათარი თავის და ვერც ბანკის განვითარებას ვერ შეძლებს.

„პროკრედიტ ბანკი“ უპირატესობას ისეთ თანამშრომლებს ანიჭებს, რომელთაც მუდმივი წილს ულის სურვილი აქვთ. ამისთან, იგი ადვილად უნდა ერგებოდეს სხვადასხვა პოზიციას. განსხვავებულ თანამდებობაზე მუშაობის შესაძლებლობა თავდა თანამშრომლისთვისაც საინტერესოა, რადგან ეს მრავალფეროვანი ცოდნის მიღების შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ სიახლეების მიმართ სწრაფი ათვისებისა და ადაპტირების უნარს, ბანკის ხელმისაწვდომობა ანიჭებს.

კრიტერიუმებთან თანხვედრის შე-

მთხვევაში ახალგაზრდები ექვსთვიან პროგრამაში ერთვებიან. იგი თეორიულ-თან ერთად პრატიკულ ნაწილსაც მოიცავს. გარდა კონკრეტული სპეციფიკური საკითხებისა, ახალგაზრდები საბანკო საქმიანობასთან მჭიდრო კაეშირში მყოფ თემებს სწავლობენ. მაგალითად, მაკროეკონომიკური საკითხები, ფინანსური კრიზისი, გლობალიზაცია და ა.შ. გარდა ამ კონკრეტული თემებისა, პროგრამა ფინანსური მათემატიკისა და ბუღალტერიის კურსებსაც მოიცავს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი თანამშრომლები მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულებით არ იყენებ გათვიცნობირებული და ზოგადი ცოდნაც ჰქინდეთ, რადგან ჩვენი კლიენტებისთვის ეს აუცილებელი და საჭიროა“, – ამბობს „პროკრედიტ ბანკის“ ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი, ნათია თხილაშვილი.

პროგრამის ნარმატებით დასრულების შემთხვევაში, მათვის პირველი საფეხური კლიენტთა მომსახურების სფეროა. ისინი სილრმისეულად უნდა გაეცნონ კლიენტის საჭიროებებს, რათა მათზე მორგებული მომსახურება შესთავაზონ.

„კლიენტთა მომსახურებისა მიღებული სამუშაო გამოცდილება მნიშვნელოვანია სამომავლო განვითარებისთვის და პოზი-

ციის ცვლილებისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკმაოდ ეფექტური კაპიტალდა-ბანდებაა. სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენ არ გვჭირდება გარედან კვალიფიციური კადრების მოზიდვა. ბანკში მოწინავე და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ადა-მიაწყირ რესურსის შერჩევა კადრებიდან ხდება“, – ამბობს ნათია თხილაშვილი.

ადამიანური რესურსის სწორად გასანაწილებლად ბანკის ხელმძღვანელობა კარგად უნდა იცნობდეს თანამშრომლების შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს. ამის საშუალებას მას პროგრამის მონაწილეებთან ექვსთვიანი კომუნიკაცია აძლევს. ამ დროს ბანკი და პოტენციური თანამშრომლები ერთმანეთს სიღრმისეულად ეცნობან.

ერთმანეთის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიღება მყარ საფუძველს ქმნის გრძელებიდანი თანამშრომლობისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია „პროკრედიტ ბანკისთვის“.

„ჩვენი მთავარი ღირებულება თანამშრომლებია. ისინი რომ შენს ღირებულებად იქცნენ, კარგად უნდა იცნობდე მათ. ეს იმის საშუალებას გვაძლევს, რომ სამომავლოდ ადამიანებმა ჩვენთან თავი სტაბილურად იგრძნონ. ეს უნიკალური პროგრამაა. მისი ანალოგი საქართველოში არ არსებობს. იგი კანდიდატებს განათლებითა და სტიპენდიით უზრუნველყოფს“, – გვეუბნება ნათია თხილაშვილი.

ამ დრომდე ახალგაზრდა ბანკირები სასანავლო კურსს საქართველოში გადიოდნენ. თუმცა ახლა ისინი თეორიულ და პრატიკულ ცოდნას უკვე ბუღალტერში შეიძენენ, სადაც „პროკრედიტ ბანკის“ 14 კვეყანაში არსებული ფილიალების წარმომადგენლები ერთმანეთს გამოცდლებასა და ცოდნას გაუზიარებენ.

# Get Back - ბებუანეთისა და ცვერას "პოლიტიკი კონცენტის" დასასხვი?

1969 წლის აპრილში ლეგენდარულმა ბრიტანულმა ჯგუფმა „The Beatles“ დღეს ყველასათვის ცნობილი სიმღერა „Get Back“ ჩაწერა. თუმცა ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ არიზონელი ჯოჯოსა და „გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის“ ლორეტა მარტინის ისტორიას პოლიტიკური ქვეტექსტი აქვს.



ლევან ახალაძა

პოლ მაკარტნისა და ჯონ ლენონის მიერ დაწერილი სიმღერის პირველი, სკანდალურ ვერსია უფრო „No Pakistanis“ სახელნოდებითაა ცნობილი. ტექსტის პირველ სტროფში საუბარია „პაკისტანელებზე, რომლებიც სამუშაო ადგილების უმეტესობას დაეპატრონნენ“. სიმღერის ამავე ვარიანტში არის შემდეგი სიტყვები „პუერტორიკოელები აშშ-ში არ სჭირდებათ“. სიმღერის ავტორების თქმით, მათი მიზანი იყო დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში მცხოვრები მიგრანტების მიმართ მემარჯვენე პოლიტიკოსების დამოკიდებულების გაქილიკება. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური სატირა ბევრმა სათანადოდ ვერ გაიგო, რის გამოც „ლივერპულელი ოთხეულის“ წევრები რასიზმშიც კი დაადანაშაულეს. როგორც თავად სერ პოლ მაკარტნი ამბობდა, „Get Back“-ეს იდეა მას ბრიტანელი კონსერვატორი პოლიტიკოსის ჯონ ენოქ პაულის ცნობილი გამოსვლის შემდეგ გაუჩნდა.



1968 წელს ბირმინგემში პაული თავის სიტყვაში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „სისხლის მდინარეები“, მსმენელს „ერთა თანამეგობორბის“ წევრი ქვეწების მოქალაქეების გაერთიანებულ სამეფოში იმიგრაციის შესაძლო შედეგებზე ესაუბრა. მისივე თქმით, სიგიურის ტოლიასია, როდესაც მთავრობა სხვა რასის ნარმობადგენლებს ქვეყანაში უკონტროლო შემოსვლის უფლებას აძლევს.

პაულის გამოსვლა ბრიტანეთის პოლიტიკურმა სპექტრმა ლია რასიზმად შეაფასა და მეორე დღესვე მოხსნეს პარტიაში დაკავებული თანამდებობიდან. თუმცა „Gallup“-ის სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ვინ ენოქ პაულის მოსაზრებებს გამოიკითხულ მოქალაქეთა 74 პროცენტი ეთანხმებოდა. წლების შემდეგ მარგარეტ ტეტჩერმა განაცხადა, რომ პაული სწორი სიტყვით გამოვიდა, თუმცა ტერმინებს ყოველთვის კარგად ვერ არჩევდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1969 წლის მარტში პაული გაერთიანებული სამეფოს ევროპაშირის სამ ბურჯიდან ერთ-ერთში – „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში“ შესვლის წინააღმდეგ გამოვიდა.

ერთი წლის შემდეგ კი დიდ ბრიტანეთში ჩატარებულ არჩევნებში მოულოდნებულად „კონსერვატიულმა პარტიამ“ გაიმარჯვა. პაულის მომხრები ამ ნარმატებას სწორედ მას უკავშირებენ.

ამ მოვლენებიდან 45 წლის შემდეგ, დიდ ბრიტანეთს ბევრი პოლიტიკოსისთვის მოულოდნელად, კონსერვატორები ჩაუდგენენ სათავეში. მათი ლიდერის დევიდ ქემერონის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი დაპირება კი სამიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება და ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება იყო.



## „ევროპავშირი და 40 ათასი მიზრანტი“

შელთაშეა და ანდამანის ზღვაში მოჭრები გემებზე მყოფი არალეგალუ მიგრანტების ისტორიები წელს მსოფლიო მედიის არნახულ ყურადღებას იქცევს. მხოლოდ 2013 წელს გაერომ მსოფლიოში რეკორდული რაოდენობის – 232 მილიონი მიგრანტი ალიკცხა (საუბარია მათზე, კინც მინიმუმ ერთი წელი სხვა ქვეყანაში გატარა). მათი რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. ამავე მონაცემებით მიგრანტების 50 პროცენტს 10 ქვეყანა ითარებს. ევროკავშირის წევრ სახელმიწოდებს შორის ყველაზე მეტი გერმანიაში, დადგრინდების, საფრანგეთსა და ესპანეთში ცხოვრის.

ზაფხულის დადგომასთან ერთად იტალიის სანაპიროებთან ლტოლვილთა რიცხვი მნიშვნელოვნად მატულობს. აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე შეირაღებული კონფლიქტები, სიღაძეები და რადიკალური ისლამის მიმღევართა სისასტიკე მილიონობით ადამიანს სამშობლოს დატოვებას აიძულებს.

არალეგალი მიგრანტების პრობლემის დაძლევის მიზნით ევროკავშირმა რამდინიმე საგანგებო შეხვედრა გამართა, თუმცა ყველა გეგმა ორგანიზაციის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ევროკომისიის ბოლო ინიციატივა იტალიასა და საბერძნეთში მყოფი 40



ათასი ლტოლვილის ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებში განსახლებას ითვალისწინებს. საუბარია მხოლოდ სირიადან და ერითრეიდან ევროპაში ჩასულ იძულებით გადაადგილებულ პირებზე. ამასთან, გეგმის თანახმად, თითოეული ქვეყანა ერთი ლტოლვილის განსახლების სანაცვლოდ 6000 ევროს მიღებს.

ე.ნ. „კვოტირების სისტემის“ თანახმად, ყველაზე მეტი ლტოლვილი გერმანიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში უნდა გაემგზავროს.

ამასთან ერთად, ევროკომისიამ ევროკავშირის წევრებს იმ 20 ათასი მიგრანტის შეფარება სთხოვა, რომლებიც ამჟამად ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებში იმყოფებიან. ეს პროგრამა ორ წელიწადზეა გათვლილი და მას მხარს გერმანია უჭერს.

დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ და ირლანდიამ, ევროკომისიის გეგმის განხორცილებაში მონაწილეობაზე უარი უკვე თქვეს. ისინი ევროკავშირში „განსაკუთრებული სტატუსით“ სარგებლობენ და ბრიტანელის ამ ინიციატივაზე უარის თქმის სრული უფლება

აქვთ. ე.ნ. „მიგრანტების კვოტების“ შემოღების ნინაალმდევ გამოდიან საფრანგეთი, ესპანეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნებიც.

საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპა იღისის შუა რიცხვებში დაგეგმილ ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე მიიღებს.

## რას ითხოვს დიდი პრიტანეთი?

„ნისლიან ალბიონზე“ არალეგალური მიგრაციის პრობლემას სხვა კუთხით განიხილავენ. კონსერვატორები, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნების შედეგად უმრავლესობა მოიპოვეს, სამიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას ითხოვენ. მთავრობის ბოლო ინიციატივის თანახმად, გაერთიანებულ სამეფოში არალეგალურად მომუშავე უცხოელებს სისხლის სამართლის დამნაშავებად გამოაცხადებენ, ხოლო მათი შემოსავლები კონფისაციას დაექვემდებარება. თუმცა, როგორც პოლიტოლოგების ნაწილი მიიჩნევს, მთავრობამ ეს „სიმბოლური ნაბიჯი“ უფრო ამომრჩევლებისა და პარტიის შედარებით მემარჯვენე წევრების გულის მოსაგებად გადადგა. უფრო ფუნდამენტურ ცვლილებებს კი გაერთიანებული სამეფოს პრემიერი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში გამართული ტურნეს ფარგლებში განიხილავდა.

ერთ-ერთი მათგანი ევროკავშირის მოქალაქეების დიდ ბრიტანეთში მიგრაციის შეზღუდვას ითვალისწინებს. ამის მიღწევას კონსერვატორები ძირითადად სოციალური შეღავათების გაუქმებით აპირებენ.

როგორც გერმანიაში ვიზიტის დროს გამოწინდა, ქემერონის ამ მოხოვნას ბერლინში არ იზიარებენ. ანგელა მერკელის თქმით, „ერთიანი ბაზრის, გადაადგილების, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის არჩევის თავისუფლება ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია და მისი კითხვის ქვეშ დაყენება დაუშვებელია“. თუმცა ამავე დროს მერკელმა არ გამორიცხა ბრიტანეთისა და ევროკავშირის შეთანხმების გადახედვა.

ბრიტანეთის კიდევ ერთი მოთხოვნაა, უარი თქვას ევროკომისიის გეგმაზე, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეტ ინტეგრაციას ითვალისწინებს. პირიქით, ლონდონში მიიჩნევენ, რომ პარლამენტს უარის უფლება უნდა ჰქონდეს ევროკავშირის იმ კანონების მიღებაზე, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ენინაალმდეგება.

კონსერვატორები ასევე არ ეთანხმებიან ბიზნესსაქმიანობაში ბრიუსელის „გადაჭარბებულ ჩარგვასა“ და რეგულაციების მკაცრი სისტემის შემოღებას. გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნაა, რომ ბრიტანულ კომპანიებს ახალ ბაზრებზე გასვლის სრული თავისუფლება ჰქონდეთ, მათ შორის ამერიკისა და აზიის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების გზით.

დევიდ ქემერონი მხარს არ უჭერს, ე.წ. ევროპული არმიის შექმნის იდეასაც და მიიჩნევს, რომ ბრიტანეთის პოლიცია ევროკავშირისაგან დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდეს. ასევე ის

უარს ამბობს გირვანქა სტერლინგის ევროთი ჩანაცვლებაზეც.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფო ევროკავშირში გარკვეული პრივილეგიებით უკვე დიდი ხანია სარგებლობს. მაგალითად, 1984 წლიდან მოყოლებული ლონდონი საერთო ევროპულ ხაზინაში, სხვა წევრ სახელმიწოდებთან შედარებით, 66 პროცენტით ნაკლებ თანხას რიცხავს. ის არ არის „შენგენის ზონის“ წევრი და დამოუკიდებლად აკონტროლებს ქვეყანაში ჩასვლის მსურველებს.

ლონდონს გარკვეული შეღავათები აქვს საკანონმდებლო სფეროშიც. ბრიტანეთი ასევე უკვე დიდი ხანია ნარმატებულად ენინაალმდეგება საერთო ევროპული პოლიტიკის დანერგვას თავდაცვის კუთხით, რადგან მიიჩნევს, რომ ეს ეროვნული საკითხია.

ამ ფონზე გაერთიანებული სამეფო-სათვის დამატებითი შეღავათების დაწესებისა და, ე.წ. „განსაკუთრებული სტატუსის“ მიღების მოთხოვნას ევროპელების ნაწილი შანტაჟის მცდელობად აღიქვამს. თუმცა ლონდონს პეტარ მომხრეებიც.

„ეპროპავშირის მომავალი“

პოლონეთში, ესპანეთსა და ფინეთში გამართულ არჩევნებში ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განხყობილი პოლიტიკური ძალებისა და კანდიდატების გამარჯვებით გამოჩნდა, რომ უახლოეს თვეებში პრობლემები ბრიუსელში ჟანდლოა კიდევ უფრო გამწვავდეს.

ეკონომიკური კოლაფსის წინაშე მდგრა საბერძნეთის მიერ ევროზონის დატოვების პერსპექტივა საკმაოდ რეალურია. ათენის მსგავსად, ესპანეთია და პორტუგალიაშიც მემრცხენე პრეტები ძალას იკრებენ და უკვე მნიშვნელოვნად ავინროებენ ევროკავშირთს ინტეგრაციის მომხრე კონსერვატორებს. ეკროსეკტიციიში მათ არც პოლონეთს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი ჩამორჩება. ბრიუსელის სიყვარულით არ გამოირჩევა უნგრეთს პრემიერი ვიქტორ ორბანიც, რომელსაც ევროკომისიის პრეზიდენტმა, მართლაც ხუმრობით, მაგრამ „დიქტატორი“ უწოდა.

ნათელია, რომ ევროკავშირთან შეთანხმების გადახედვა სავარაუდო სხვა ქვეყნებსაც სურთ. თუმცა მათ მოთხოვნები განსხვავებულია.





ლონდონი ევროკავშირის გავლენის შემცირებას ცდილობს, რადგან მისი ეკონომიკური შედარებით გაძლიერდა. ქსპანეთი და პოლონეთი ბრიუსელის ფინანსური დამარტინი შედარებით კაუნილია, თუმცა ევროკავშირის წინააღმდეგ ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოდის.

ევროკავშირი ბიუროკრატიასთან ბრძოლისა და ორგანიზაციის რეფორმის ბრიტანულ იდეას მხარდაჭერები საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობაშიც ჰქონდა.

მაგალითად, გერმანიის კანცლერი ეთანხმება დევიდ ქემერონის იდეას, რომ სამუშაოდ ჩასულ უცხოელებს 6-თვიანი საცდელი პერიოდი უნდა დაუწესონ და თუ ისინი არ დასაქმდებიან, მაშინ ქვეყნიდან გააძვონ. ის ასევე მხარს უჭერს მიგრანტებისათვის სოციალური შეღავთების ნაწილის გაუქმებასაც. თუმცა ამ ნაბიჯმა შესაძლოა გაანაწენოს პოლონელები, რომელთანაც ბერლინს განსაკუთრებით „თბილი ურთიერთობები“ აქვს. გერმანიაში შემადგომის მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალია და ეკონომიკა დამოკიდებულია მიგრანტებზე, რომელთა დიდი ნაწილი პოლონელია.

ნიდერლანდების მთავრობამ ევროკავშირის რეფორმის გეგმა ჯერ კიდევ 2013 წელს წარმოადგინა. ის გამორიცხავს ქველა წევრი ქვეყნის „მეტ ინტეგრაციას“. განსაკუთრებით სოციალური დაცვის სფეროში.

ამ ფონზე შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის წევრობის საკითხზე 2017 წლის ბოლომდე დაგეგმილი რეფერენდუმი შესაძლოა ერთადერთი არ აღმოჩნდეს და თუ ბრიუსელი მიდგომას არ შეცვლის, „განსაკუთრებული სტატუსის“ მოპოვების პერსპექტივით სავარაუდოდ ორგანიზაციის სხვა წევრებიც მოიხიბლებიან.

### „რეზერვუამის შემდეგ“

ძნელი გამოსაცნობია, რა შედეგით დასრულდება დიდ ბრიტანეთში დაგეგმილი რეფერენდუმი, თუმცა ცხადია, რომ მანამდე გაერთიანებული სამეცნიეროს პრემიერი უველა ხერხით ეცდება ევროკავშირთან მოლაპარაკებების გზით სასურველი შეღავთების მიღებას. ამას ემსახურებოდა დევიდ ქემერონის მიერ ევროპის ქვეყნებში გამართული ბოლო ტურნეც.

გაერთიანებული სამეცნიერო ევროკავშირიდან შესაძლო გასვლის ეკონომიკურ შედეგებზე ექსპერტების აზრები იყოვა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბრიტანეთი მნიშვნელოვნად დაზარალდება, რადგან ევროპის ბაზარზე ადგილს დაკარგავს. სხვები ამბობენ, რომ გაერთიანებული სამეცნიერო სხვა ქვეყნებთან ინდივიდუალური თანამშრომლობით უფრო მეტს მოიგებს. თუმცა ეკონომიკური ფაქტორების გარდა, არსებობს კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც კონსერვატორების მთავრობა ევროკავშირიდან გასვლის შემთხვევაში არანაკლებ უფრობის. ის ქვეყნის ტერი-

ტორიულ მთლიანობას ეხება. მართალია, შოტლანდიელებმა შარშან ჩატარებულ რეფერენდუმზე მხარი გაერთიანებულ სამეცნიერო დარჩენას დაუჭირეს, თუმცა წელს, საპარლამენტო არჩევნებზე, შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ მიმდევნელოვან ნარმატებას მიაღწია. ამავე დროს ის ევროპულ კურსს ატარებს. ამიტომ, თუ შოტლანდიელების უმეტესობა ევროკავშირიდან გასვლის წინააღმდეგ გამოვა, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, მათ გაუჩინდებათ არგუმენტი, მოითხოვონ დამოუკიდებლობა. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქემერონი ასეთ რისკზე არ წავა. ამიტომ ბევრი ფიქრობს, რომ კონსერვატორების ლიდერი ბრიუსელისაგან ისეთი წინადადების მიღებას ეცდება, რომელიც დაარწმუნებს ბრიტანებულებას, ქვეყნის ევროკავშირში დარჩენას დაუჭირონ მხარი. მიაღწიეს თუ არა ქემერონი ამ მიზანს, ჯერ გაურკვეველია.

ფაქტი ერთია, ლონდონსა და ევროპას შორის პოლიტიკური კავშირები ბოლოს XVI საუკუნეში მაშინ განყდა, როცა მეფე შენრი VIII-ემ ანა ბოლენის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. პონტიფიკოსის უარის შემდეგ, ჰერიტ უარი თქვა რომთან დაპლომატიური ურთიერთობების გაგრძელებაზე. დღეს საქმე უფრო რთულად არის. თუ 2017 წლის ბოლომდე დაგეგმილ რეფერენდუმზე ბრიტანებულებმა ხმა ევროკავშირიდან გასვლას მისცეს, ეს გაერთიანებული სამეცნიერო და ევროპის „ქორწინების“ დასასრული იქნება. ■



ფოტო ლევან ბაგრაძე

## ჩესახის ინსტიტუტის მიზანი

რესპუბლიკური პარტია, ისე როგორც არასდროს, პოლიტიკური აღმავლობის გზაზე დგას. პასუხისმგებლობა, რისკი, წინასაარჩევნო პოლიტიკური ლანდშაფტის მოცემულობები...

**ინტერვიუ რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურ მდივანთან,  
დავით ბერძენიშვილთან**



ზურაბ ვარდიაშვილი

საარჩევნო სისტემის რეფორმირებაზე მსჯელობა კარგა ხანს გაგრძელდა. ხართ თუ არა კმაყოფილი იმ კონსენსუსით, რა-საც შიდა კოალიციაში მიაღწიეთ?

რესპუბლიკულები უკვე ორი ათეული წელია, ე.წ. რეგიონული პროპორციული სისტემის მომხრეები ვართ. ძალიან

კარგია, რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიც ნელ-ნელა ხვდებიან, რომ ეს საუკეთესო სისტემაა ჩვენი ქვეყნისთვის.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ მისაღწევია. ჩვენ გადავდგით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. კოალიციამ განაცხადა, რომ პრო-პორციული სისტემა 2016 წლის არჩევნებისთვის უკვე იმუშავებს.

ნინასაარჩევნო პერიოდი ახლოვდება. არის თუ არა ნიშა ახალი პოლიტიკური ძალებისთვის, თუ კვლავ კოალიცია „ქართული ოცნება“-, „ნაციონალური მოძრაობის“ დაპირისპირებას უნდა ველოდოთ?

„ნაციონალური მოძრაობა“ კოალიციის კონკურენტი არ არის. ეს ყველა იმ არჩევნებმა დაადასტურა, რომელიც 2012 წლის შემდეგ ჩატარდა. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც საპრეზიდენტო, ისე თვითმმართველობის არჩევნებში იბრძოდა არა ხელისუფლებისთვის, არა-მედ იპოზიციაში ლიდერობისთვის და ამ ამოცანას თავი გაართვა.

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვალა. იპოზიციურ ფლანგზე გაჩნდენ „თავისუფალი დემოკრატები“, რომელთაც, ბუნებრივია, კოალიციის მხარდამჭერთა გარკვეული ნაწილი გაჰყვა. არის ბევრი ამომრჩეველი, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის მისცეს ხმა. ეს ამომრჩეველი ან კოალიციას მიემზრობა, ან „თავისუფალ დემოკრატებს“, ან დაჯდება სახლში და „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმას მაინც არ მისცემს. ვინც 2012 წელს არჩევანი კოალიციაზე შეაჩერა, მათი არცერთი პროცენტი „ნაციონალური მოძრაობისკენ“ არ გაიხედავს...

### ამას ალლო გვარნახობთ?

ცოდნა მკარნახობს. ამას ამბობს სოციოლოგია, არჩევნების შედეგები, უამრავი კვლევა. რესპუბლიკურ პარტიის აქვთ მეორე არჩევანი – „ქართული ოცნება“, „თავისუფალი დემოკრატები“, მაგრამ არავითარი კვეთა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არ გაგვაჩნია. ჩვენი და მათი ამომრჩევლები ერთმანეთთან ზურგით დგანან. მათ ერთმანეთი არ უყვართ.

ავილოთ თვითმმართველობის არჩევნების შედეგები. შედეგი ხუთმა სუბიექტმა მიიღო. ხმების ნახევარი კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წაიღო; მეორე ადგილზე გავიდა, ანუ იპოზიციაში ლიდერი „ნაციონალური მოძრაობა“ გახდა; მას მოჰყვა ნინო ბურჯანაძის პარტია –

10%-ით, 4,5% ქვეყანაში და 6% თბილისში „პატრიოტთა ალიანსში“ აიღო; 3%-ზე ოდნავ მეტმა მხარი ლეიბლორისტებს დაუჭირა; ამათ დამატებული „თავისუფალი დემოკრატები“ – ახლანდელი ქართული პოლიტიკური მოზაიკის მდგრენელები.

როგორია შიდაოპოზიციური პრეფერენციები? „ნაციონალური მოძრაობა“ და ბურჯანაძის პარტია ერთმანეთის მიმართ ზურგით დგანან. ეს, ორი უკიდურესად დაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციაა. მათი გაერთიანების აღბათობა ძალიან დაბალია. თავისუფალი დემოკრატები მაქსიმალურად ემიჯნებიან „ნაციონალებს“. ეს პარტია 5 წლის წინ, მათთან პაექრობის რეჟიმში შეიქმნა. „პატრიოტთა ალიანსი“ ბურჯანაძესთან გაცილებით ახლოს დგას, ვიდრე ნებისმიერ სხვა პარტიასთან. ამ ვითარებაში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ერთგვარი კომფორტული მდგომარეობა აქვს, რადგან მისი ერთიანი ალტერნატივა არ არსებობს.

ეს არის ჩვენი პოლიტიკური ლანდშაფტი.

გავაგრძელოთ ქართული ოცნების „კომფორტზე“ საუბარი. როდესაც თავისუფალი დემოკრატები კოალიციას გამოეყვნენ და ყრილობა მოიწვიეს, რესპუბლიკელები მას დაესწრენ. იქ გაკეთდა განცხადებები, რომ არავინ იცის, ერთად გამოვლენ თუ არა ეს პარტიები არჩევნებზე, მაგრამ ისინი აუცილებლად ითანამშრომლებენ. ხომ არ იყო ეს „ქართული ოცნების“ დისკომფორტი, და ხომ არ ნიშნავს, რესპუბლიკელების პოლოდროინდელი „აღზევება“ სწორედ ამ კომფორტის გარანტიას – რესპუბლიკელების კიდევ უფრო შემომტკიცებას ქართულ ოცნებასთან?

რესპუბლიკური პარტია დაარსების დღიდან გადაწვეტილებებს რესპუბლიკურ პარტიაში, აი, ამ მაგიდასთან იღებს...

თუმცა არსებობს გარე მოცემულობები. და ეს პოლიტიკა, სადაც მოცემულობებს ანგარიშს უწევენ...

■ როგორია შიდაოპოზიციური პრეფერენციები? „ნაციონალური მოძრაობა“ და ბურჯანაძის პარტია ერთმანეთის მიმართ ზურგით დგანან.

ეს ორი უკიდურესად დაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაცია. მათი გაერთიანების ალბათობა ძალიან დაბალია. თავისუფალი დემოკრატები მაქსიმალურად ემიჯნებიან „ნაციონალებს“. ეს პარტია 5 წლის წინ, მათთან პაექრობის რეჟიმში შეიქმნა. „პატრიოტთა ალიანსი“ ბურჯანაძესთან გაცილებით ახლოს დგას, ვიდრე ნებისმიერ სხვა პარტიასთან. ამ ვითარებაში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ერთგვარი კომფორტული მდგომარეობა აქვს, რადგან მისი ერთიანი ალტერნატივა არ არსებობს.

სხვა პარტიასთან. ამ

ვითარებაში კოალიცია

„ქართულ ოცნებას“

ერთგვარი კომფორტული მდგომარეობა აქვს,

რადგან მისი ერთიანი

ალტერნატივა არ არსებობს.

■ როგორ ფიქრობთ,  
ევროინტეგრაციის კო-  
მიტეტის თავმჯდომარე  
თინა ხიდაშელი, პარლა-  
მენტის თავმჯდომარე  
დავით უსუფაშვილი  
და საერთოდ, რესუ-  
ბლიკური პარტიის ამ  
კოალიციაში არცოუ  
ბოლო ადგილებზე ყო-  
ფნა, არ იყო საკმარისი  
იმისთვის, რომ კოალი-  
ციის პროდასავლურობა  
ეჭვებეშ არ დამდგა-  
რიყო?

ჩვენ ვითვალისწინებთ პოლიტიკურ კონიუნქტურას, პარტიიორებს, მაგრამ გადაწყვეტილებებს ვიღებთ აქ. იმ მომენტისთვის, როდესაც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კოალიცია დატოვეს, რესპუბლიკელები გაცილებით უფრო მოკამათები ვიყავით. ახლაც ასე ვართ. ჩვენ პატიოსნად ვთამაშობთ, როგორც ერთმანეთთან, ისე პარტნიორებთან. ოპოზიციაში ნასვლის სურვილი რომ გვქონოდა, ამ გადაწყვეტილებას მივიღებდით, მაგრამ ჩვენ კოალიციაში რესპუბლიკური პარტიის გაძლიერებას ვამჯობინებთ. ეს კარგია პარტიისთვის, კარგია ქვეყნისთვის.

ამ გაძლიერებას მოსდევს პასუხისმგებლობის ზრდა მთელი ხელისუფლების ქმედებებზე...

რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებაში რესპუბლიკური პარტიის პასუხისმგებლობის გაზრდას – ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება. ჩვენ პრემიერ-მინისტრს ჩვენი კანდიდატები შევთავაზეთ. ჩვენი შეთავაზების და პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შედეგია, რომ თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი მთავრობის წევრები გახდნენ.

ეს იყო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის პირადი გადაწყვეტილება?

ჩვენ კანდიდატები შევთავაზეთ ირაკლი ლარიბაშვილს. თუ თქვენი შეკითხვის ქვეტექსტი ისაა, იცოდა თუ არა ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა, გეტყვით, რომ ივანიშვილი მეორე დღესვე პოზიტიურად გამოეხმაურა ამ დანიშვნებს.

„იცოდა“ არ ყოფილა კითხვის ქვეტექსტი, ქვეტექსტი იყო – ვისი გადაწყვეტილება იყო ეს – ლარიბაშვილის თუ უშუალოდ ივანიშვილის?

ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით პრემიერ-მინისტრთან, ის კი არასოდეს მალაქს, რომ ჩჩევებს ივანიშვილს ეკითხება.

## თქვენ თუ ეკითხებით?

მასთან კონტაქტები გვაქვს. როდესაც საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიგველო, ჩვენ კმაყოფილები ვიყავით, რომ შეხვედრას ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა. მას აქვს პასუხისმგებლობა მის მიერ შექმნილ კოალიციაზე. ის არ მართავს ხელისუფლებას, მაგრამ არსებობს ივანიშვილის გავლენა.

დავაზუსტოთ, არის თუ არა დღეს ბიძინა ივანიშვილი დღეს პოლიტიკური ფაქტორი?

მე ვიტყოდი – პოლიტიკურ-საზოგადო-ბრივი ფაქტორი.

„რჩევას ეკითხება...“ – ეს გამოთქმა ზუსტად ასახავს ლარიბაშვილი-ივანიშვილის ურთიერთობას?

არ ვიცი, მათ შეხვედრებს არ ვესწერი. თუმცა საკმაოდ კარგად ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს. ურთიერთობის მისეული მანერა ძალიან რბილი, კონსტრუქციული, კამათზე აწყობილია. ამიტომ იქ იმპერატიული ბრძანებები არ იქნება.

არის თუ არა დემოკრატიული სისტემის მახასიათებელი მოცემულობა, რომელზეც ვსაუბრობთ?

მოდი, ასე ვთქვათ. რა ვითარება გვაქვს დღეს? პრეზიდენტი ნამდვილად დამოუკიდებელია, მათ შორის მისი ნარმდებენი პოზიტიური ძალისგანაც. ის არ იმართება არც იფიციალური, არც არა-ოფიციალური ძალებისგან. მის გარეშე ვერ ფუნქციონირებს ვერც სასამართლო, ვერც აღმასრულებელი, ვერც საკანონმდებლო ორგანოები. ხელს ანერს კანონ-პროექტებზე, მთელ რიგ თანამდებობებზე წარადგენს კანდიდატებს.

ის, რომ სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელია, ეს ცხადია. მაგალითად, კაბელების საქმეზე სასამართლომ დასაშვებად ცნო ადვოკატების, ხოლო დაუშვებლად – ბრალდების მტკიცებულებები. მე არ

ვაფასებ, ვამბობ ფაქტებს. ეს ფაქტი კი ამბობს, რომ სასამართლო ახლა გაცილებით დამოუკიდებელია.

რაც შეეხება მედიას, შეუძლებელია ითქვას, რომ ის რომელიმე სახელი-სუფლებო ცენტრიდან იმართება. თუ კი დღეს ხელისუფლებას პოპულარულ ტელეარხებში საკუთარი ტელევიზია არ გააჩნია, ოპოზიციის ლიდერებს, ყველაზე პოპულარული ტელეკომპანია საკუთარ საარჩევნო სივრცეში აქვს..

ეს ფაქტორები იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნა სრულად არის ინტიტუციონალიზებული?

არა. ეს ჩვენი ამოცანაა. რესპუბლიკულების, კოალიციის. როდესაც აღარ დარჩება კითხვები არაფორმალური ძალის მონაწილეობის შესახებ, ეს იქნება ინტიტუციონალიზაცია, პოსტისაბჭოური ძალისგან გათავისუფლება.

თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად.. ისე ჩანს, თითქოს საქართველოს ხელი-სუფლება დასავლეთს უმტკიცებდეს, რომ ალასანია არანაკლებ პროდასავლელი პოლიტიკოსით ჩაანაცვლა. მოგეხსენებათ ალასანია წავიდა ბრალდებით, რომ ქვეყნის პროდასავლური კურსი საფრთხის ქვეშ დადგა...

როგორ ფიქრობთ, ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თინა ხიდაშელი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და საერთოდ, რესპუბლიკური პარტიის ამ კოალიციაში არცთუ ბოლო ადგილებზე ყოფნა, არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ კოალიციის პროდასავლურობა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო?

ჩვენ ძალიან დიდი სოლიდარობა გამოუსცხადეთ „თავისუფალ დემოკრატებს“. ჩვენ მათ ყრილობაზე მივედით, როდესაც კოალიციის ყველა სხვა პარტნიორი მით არ იყო მთლად აღფრთოვანებული. ეს იმიტომ, რომ ისინი ლიბერალურ რჯახში ჩვენი პარტნიორები არიან. იდეოლოგიურად ახლოს მყოფი ორგანიზაციები ვართ.

მეორე მხრივ, ჩვენ თავიდანვე გავე-მიჯნეთ იმ მოტივებს, რომ თითქოს პრო-

დასავლური კურსი საფრთხეშია. ეს არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. გიგლა აგულაშვილის და თინა ხიდაშელი მივლინება მთავრობის კაბინეტში რესპუბლიკური პარტიის ინიციატივა იყო. რესპუბლიკელებმა გავრისკეთ და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მეტი პასუხისმგებლობა ავიღეთ.

### რატომ უწოდებთ ამას რისკს?

აღმასრულებელ პოზიციაზე ნების-მიერი მაღალი პოზიცია რისკია. რისკი შეიძლება დასრულდეს უკეთესად ან უარესად. მე, ჩემი მხრივ, დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკელი მინისტრები ამ მთავრობას არგია. რისკის გარეშე თინაც და გიგლაც ძალიან მაგარი კომიტეტი-ბის თავმჯდომარეები იქნებოდნენ. ასე მივიდოდით არჩევნებამდე ჩვენი საპარლამენტო პასუხისმგებლობით. მაგრამ ჩვენ გავრისკეთ, რადგან ამის საფუძველი გვქონდა.

„ნაციონალური მოძრაობა“ მისმა ოთხმა გამორჩეულმა წევრმა დატოვა... მათ შორის, საკმაოდ ახალმა სახემ ზურაბ ჯაფარიძემაც, რომლითაც, შეიძლება ითქვას, ეს პარტია ამაყობდა კიდეც. ხომ არ ელით ახალი პოლიტიკური ცენტრის გაჩენას?

პალიკო კუბლაშვილი ძალიან გამო-ცდილი პოლიტიკოსია. მე მენიშნა, როცა თქვა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ ზურაბ ჯაფარიძემაც, რომლითაც, შეიძლება ითქვას, დანარჩენები კი იმუშავებენ იმისთვის, რომ ახალი პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი შეიქმნას. თავის დროზე, 2004 წელს, 4-მა დეპუტატ-მა „ნაციონალური მოძრაობის“ ბლოკი დავტოვეთ, შემდეგ ეს დეპუტატი რიგი იმპოზიციური გაერთიანების მიზიდულობის ცენტრი აღმოჩნდა.

ეს ანალოგია, ცხადია, ზუსტი არ არის. ვნახოთ, რა გამოვა. თუ ეს ძალა მხარდაჭერილი იქნება ნაციონალური ორბიტის ექსპერტებისგან, რომელთა სახელები შეუბლალავია და არც 7 ნოემბერი აწევთ ზურგზე, და ასეთი ექსპერტები არსებობენ, ეს იქნება პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც „ნაციონალური მო-

■ პალიკო კუბლაშვილი ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსია. მე მენიშნა, როცა თქვა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ ზურაბ ჯაფარიძემაც იყრინდებოდა კენჭს.

დანარჩენები კი იმუშავებენ იმისთვის, რომ

ახალი პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი შეიქმნას. თავის დროზე, 2004 წელს, 4-მა დეპუტატ-მატმა „ნაციონალური მოძრაობის“ ბლოკი დავტოვეთ, შემდეგ ეს დეპუტატიცია რიგი იმპოზიციური გაერთიანების მიზიდულობის ცენტრი აღმოჩნდა.

■ „მრგვალი მაგიდა“, აღარ იყო გამსახურდია – აღარ იყო „მრგვალი მაგიდა“. იყო შევარდნაძე – იყო „მოქალაქეთა კავშირი“, აღარ იყო შევარდნაძე – აღარ იყო „მოქალაქეთა კავშირი“, ეს პარტიები მათი ლიდერების წასვლის შემდეგ აორთქელდნენ. „ნაციონალური მოძრაობა“ მათი ლიდერის წასვლის შემდეგ ორ არჩევნებში მყარად ინარჩუნებდა ოპოზიციაში ლიდერობას. ისინი ოპონენტები არიან საქართველოს პარლამენტში. მათი თანხმობის გარეშე ვერ მიიღება საკონსტიტუციო ცვლილებები. ანუ მათ აქვთ პოზიციები, მაგრამ აი, ახლა 2016 წლის არჩევნები აჩვენებს, „ნაციონალური მოძრაობა“ რჩება პირველ ნახელისუფლარ პარტიად თუ ვერა.

ძრაობის“ ამომრჩეველთა ერთ ნაწილზე ინადირებენ. ისინი თავისუფალი დემოკრატების კონკურენტებიც იქნებიან. ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს ჯგუფი არ შემოიფარგლება მხოლოდ ოთხი დეპუტატით. და დეპუტაცია გახდება ახალი პოლიტიკური პარტიისთვის.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ოდესის გუბერნატორად – ეს შეიძლება გახდეს პლაცდარმი მის საქართველოში დასაბრუნებლად, თუ პირიქით, მისთვის ამით დასაბრუნებელი კარი დაიხურა?

მან თვითონ მოიხურა ეს კარი. თუმცა საქართველოს სახელისუფლები სივრცეში დაბრუნებისთვის მისი პერსონალური პერსპექტივები ისედაც ნულის ტოლი იყო.

როდესაც სააკაშვილი ქვეყნიდან წავიდა, წავიდა ლექციების წასაკითხად. რამდენიმე თვის განმავლობაში სააკაშვილი არანაირად არ აქტიურობდა. მაგრამ უკრაინის მოვლენებმა მას მისცა ასპარეზი, რომ საქართველოს შორისაბლოს, იმ ხალხთან ერთად ყოფილიყო, რომ-ლებთანაც ამდენი ხნის განმავლობაში ჰქონდა კონტაქტი. უკრაინაში ყოფნით, რეფორმების საბჭოს ხელმძღვანელობით თითქოს „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ოპოზიციური ფლანგის ლიდერის როლის გამყარებას ემსახურებოდა, მაგრამ როგორც კი ის ჩინოვნიკად წავიდა, როგორც კი მან უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე, ამით ყველაფერი დასრულდა.

მიხეილ სააკაშვილი სხვა ქვეყნის ჩინოვნიკად... ამ გადმოსახედიდან როგორ გამოიყურება თქვენთვის ნაციონალური მოძრაობის პერსპექტივები?

ეს ბუნებრივად ხელს შეუწყობს „ნაციონალური მოძრაობის“ დეზინტეგრაციას.

„ნაციონალური მოძრაობა“ ერთგვაროვანი არ არის. როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატად ბაქრაძეს ასახელებ, ეს სხვა ხაზია, ზომიერი ნაწილია. მოგეხსენებათ ბაქრაძემ ეგზიტპოლებით მიუღლოცა მარგველაშვილს გამარჯვება. ხოლო, როცა

ახლა პარლამენტში ბაქრაძე თითქმის არანს და სააკაშვილის გამხმოვანებლუბის „სხვა ხალხის ისმის იქ ურიამული“, ეს მეორე ხაზია. ოთხეულის წასვლას შესაძლოა სხვა ტიპის დეზინტეგრაციის პროცესიც მოჰყვეს.

## რას გულისხმობთ?

„ნაციონალური მოძრაობა“ იდგა არა იმ ამოცანის წინაშე, დაბრუნდება თუ არა ხელისუფლებაში (ის ვერ დაბრუნდება), არამედ იქნება თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ პირველი ნახელისუფლარი პარტია საქართველოში. იყო გამსახურდია – იყო „მრგვალი მაგიდა“, აღარ იყო გამსახურდია – აღარ იყო „მრგვალი მაგიდა“. იყო შევარდნაძე – იყო „მოქალაქეთა კავშირი“, აღარ იყო შევარდნაძე – აღარ იყო „მოქალაქეთა კავშირი“, ეს პარტიები მათი ლიდერების წასვლის შემდეგ აორთქელდნენ. „ნაციონალური მოძრაობა“ მათი ლიდერის წასვლის შემდეგ ორ არჩევნებში მყარად ინარჩუნებდა ოპოზიციაში ლიდერობას. ისინი ოპონენტები არიან საქართველოს პარლამენტში. მათი თანხმობის გარეშე ვერ მიიღება საკონსტიტუციო ცვლილებები. ანუ მათ აქვთ პოზიციები, მაგრამ აი, ახლა 2016 წლის არჩევნები აჩვენებს, „ნაციონალური მოძრაობა“ რჩება პირველ ნახელისუფლარ პარტიად თუ ვერა. ეს მნიშვნელოვანი ამოცანაა, და მიხეილ სააკაშვილი მაინცდამაინც არ უწყობს ხელს ასეთ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამის გამო გული მაინცდამაინც არ დამწყდება.

ალბათ, არც ის უნდა გჯეროდეთ, რომ მიხეილ სააკაშვილის ამბიციები ღდესის გუბერნატორობით შემოიფარგლება...

მე მგონია, რომ სააკაშვილისთვის პირადი უსაფრთხოება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი პოლიტიკური პარტია თუ, მით უმეტეს, მისი სამშობლო. საქართველო აღარ არის სააკაშვილის სამშობლო. მან ეს არჩევანითვითონ გააკეთა. ის დაემშვიდობა საქართველოს. ■



C E L E B R A T I N G  
**130**  
years  
CONGRATULATIONS  
— Years —  
**ANNIVERSARY**

# ესი ბასაჩვენე საცხის

რიგის სამიტის დეკლარაცია 13-გვერდიანია. სიტყვა „რუსეთი“ მასში მხოლოდ ერთხელ ამოტივტივდება. შეიძლება კაცმა იგულისხმოს, რომ აქ საქმე მხოლოდ ევროკავშირსა და 6 აღმოსავლელ მეზობელს: უკრაინას, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და ბელორუსს ეხება. მაგრამ, ცხადია, ყველა დიპლომატიური ფორმულირების უკან, პლანეტის უდიდეს ქვეყანაზე ფიქრია, რომლის მოსახლეობისათვის ზესახელმწიფოს სტატუსი უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, ვიდრე კეთილდღეობა და პოლიტიკაში თანამონაწილეობა.



სილვია შტიობერი

დეკლარაცია იმ რეალობასთან გამკლავებას ცდილობს, რომელიც ცოტა ხნის წინ ერთმა დიპლომატმა თბილისში ასე აღწერა: რკინის ფარდის ადგილი იმ ქვეყნებისა და სეპარატისტული რეგიონების სარტყელმა დაიჭირა, რომელიც სილარიბისა და საფრთხის ნიშის ქვეშ დგანან. და რაც უფრო მეტად ექცევიან რუსეთის ზეგავლენის ქვეშ, ეს მით უფრო ძლიერდება.

ბრიუსელელმა ბიუროკრატებმა უნდა ისწავლონ, რომ ამ რეგიონში ყველაფერი - ეკონომიკა იქნება ეს, ინფრასტრუქტურა თუ დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება, გეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, რადგან რუსეთს ასე სურს. ერთი მხრივ, კორუფციისგან რაც უფრო თავისუფალი და ფუნქციურად გამართულია სახელმწიფო, მით ნაკლებია რუსული გავლენის ქვეშ მოქცევის შანსი. მეორე მხრივ, თუ ევროკავშირი ინფრასტრუქტურის, როგორიც, მაგალითად, საქართველოს სამხედრო გზაა, აღმშენებლობას დაუჭერს მხარს, ეს მხოლოდ მოსახლეობას არ ნაადგება. არ არის გამორიცხული, რომ ამ გზაზე ერთ მშვენიერ დღეს კვლავ ტანკები ვიზილოთ.

ასე რომ, ევროკავშირს ისღა დარჩენია, აღმოსავლეთ პარტნიორობა გეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ასპექტის გათვალისწინებით განიხილოს. ფაქტია, რომ საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომით, ყირიმის ანექსითა და აღმოსავლეთ უკრაინაში მით

ევროკავშირ-ნატოსა და რუსეთს შორის უსაფრთხოების არქიტექტურა დაიწერა. ანუ თუ ევროკავშირი და ნატო საკუთარი ქლების ქვეშ დღეს ახალი წევრების შეფარებას არ აპირებენ, მათ სხვა გზით უნდა იზრუნონ ამ ქვეყნების უსაფრთხოებაზე არა მხოლოდ სოლიდარობის გამო, არამედ იმიტომაც რომ კონფლიქტები დასავლეთით არ გაურცელდეს.

უსაფრთხოების ახალი გარანტიები კი მხოლოდ მოსკოველ მმართველებთან კონსენსუსით იქნება შესაძლებელი. როგორ უნდა მოხერხდეს ეს, სავარაუდოდ, ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს პოლიტიკის გადაფასების თემაა, რომელიც ბრიუსელში წლის ბოლომდე მიმდინარეობს.

რუსეთთან საერთო ინტერესებიც არსებობს, როგორიც, მაგალითად, ისლამისტური ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლა. სამხრეთ კავკასია - თურქეთს, ირანსა და რუსულ ჩრდილო კავკასიას შორის მერმბიარე ზონაა, როგორც ისლამისტ მებრძოლთა, ასევე ლტოლვილთა შესაძლო ზურგი და სატრანზიტო სივრცეა. ამაზე ბრიუსელში პოლიტიკოსები უნდა დაფიქრდნენ, ვისაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ხარჯზე ჩრდოლო აფრიკის წონის გაზრდა სურთ.

საქართველოში კი ადამიანებისთვის დღეუმთავრესი არა უსაფრთხოების თემა, არა მედ უმუშევრობა, მზარდი ფასები და სიღარიბეა. ეკონომიკური და სოციალურ



ვითარება კარგ შესაძლებლობას უქმნის პროექტულ პროპაგანდასა და გავლენებს. მიმზიდვლელად უღერს პროექტული არგუმენტები, რომ ქართული ღვინო და სხვა პროდუქტები რუსეთში ევრორეგულაციურის გარეშე გაყიდოს+. და საერთოდაც, რადგინდა დეკადენტური დასავლეთის ღირებულებები?! ისინი ხომ ქართულ ტრადიციებს ეწინააღმდეგება.

ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას (თუ მას ნამდვილად სურს ევროინტეგრაცია) მხოლოდ გახსნილობა და ახსნა-განმარტება რჩება. მათ უნდა იპოვონ გამტედობა და თქვენ, რომ ევროკავშირის წევრობა ახლო მომავალში რეალისტური არ არის. მთავრობამ ამის ნაცვლად მთავარ ამოცანად საქართველოში კეთილდღეობის გაზრდა უნდა დასახოს. პოლონეთი ამ მხრივ მშვენიერი მაგალითია. ევროკავშირი კი ბევრად უფრო პრაგმატულად უნდა დაქმაროს და გააუმჯობესოს მასთან კომუნიკაცია იმის ასახსნელად, თუ რას მოიტანს ასოცირების ხელშეკრულების ჩარჩოში განსახორციელებელი ინსტიტუციური რეფორმები.

თუკი საქართველოს მთავრობა საკუთარ ქვეყანაში სტაბილურობას მართლაც აფასებს, მან მეტად უნდა იზრუნოს უმცირესობებზე, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში. ისინი მეტად უნდა ჩართონ პოლიტიკურ პროცესში, არ განიხილონ მხოლოდ უსაფრთხოების რისკად.

მათ კი, ვინც ევროკავშირის მიმართ იმედგაცრუებით პროფიტირებს და ევრაზიის კავშირზე საუბრობს, ჯერ რუსული ეკონომიკის კრიზისის შედეგები უნდა ახსნან – ვალუტების გაუფასურება და რუსეთში მცხოვრებ ქართველთაგან გადმორიცხული თანხების შემცირება. განსაკუთრებით მტკიცნეულად რუსეთთან კავშირის უარყოფით მხარეებს ახლა სომხეთი განიცდის. ამასთან, პრეზიდენტი სარქისინი ევრაზიული კავშირის 20 მარტის სამიტზე ასტანაში არც კი დაპატიჟეს. უხერხეულობის გასანეიტრალებლად მან იმავე დღისთვის დაანიშნინა შეხვედრა ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარესთან, დონალდ ტუსკთან. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ ევრაზიის კავშირი ევროკავშირს რეალურ კონკურენციას უწევდეს.

მიუხედავად ყველაფრისა, რიგის სამიტის შედეგებმა არაერთი იმედი გააცრუა. დეკლარაციაში არაა განკურილი, როდის უნდა ჰქონდეს საქართველოს ვიზის ლიბერალიზაციის იმედი. მაგრამ ამ იმედგაცრუების განწყობის მიყოლას, ყურადღების თემატური თანამშრომლობის იმ საკითხებზე გამახვილება სჯობს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ფონზე უნდა გადაიჭრას. თუ უკრაინა, მოლდოვა და საქართველო, როგორც ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყნები, ერთად უფრო ძლიერად წარსდგებიან, ეს გაზრდის შანსს, რომ ბრუსელმა მათ უფრო ყურადღებით მოუსმინოს. ☐

■ ასე რომ, ევროკავშირს ისლა დარჩენია, აღმოსავლეთ პარტნიორობა გეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ასპექტის გათვალისწინებით განიხილოს. ფაქტია, რომ საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომით, ყირიმის ანექსითა და აღმოსავლეთ უკრაინაში იმით ევროკავშირ-ნატოსა და რუსეთს შორის უსაფრთხოების არქიტექტურა დაინგრა. ანუ, თუ ევროკავშირი

და ნატო საკუთარი ქლების ქვეშ დღეს ახალი წევრების შეფარებას არ აპირებენ, მათ სხვა გზით უნდა იზრუნონ ამ ქვეყნების უსაფრთხოებაზე არა მხოლოდ სოლიდარობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ კონფლიქტები დასავლეთით არ გავრცელდეს.



# მაღალი ხასისების პანთეონის და ბიუტნების განვითარების სამინისტრო სახელმწიფო სამსახურის ცისის ცბაზი

ბრიტანულ-ქართული აკადემია (BGA) კერძო სკოლაა, რომელიც თბილისში 2006 წელს დაარსდა. სკოლა უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის ინტეგრირებულ განათლებას და მოსწავლეებს 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის ამზადებს.

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე 500 მოსწავლე იღებს განათლებას. აკადემია მოსწავლეებს სკოლამდელ, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე როგორც ქართულ, ასევე ბრიტანულ საერთაშორისო პროგრამებს სთავაზობს.

2015 წლის სექტემბრისთვის სკოლა დისის ტბაზე ახალი კამპუსის გახსნას გეგმავს, სადაც სუფთა და ჯანსაღ გარემოში მოსწავლეებს ახალი შესაძლებლობები მიეცემათ.

სკოლის მისიაა, უზრუნველყოს მოსწავლეები იმ აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და კვალიფიკით,

რომლებიც მათ მომავალში კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოაყალიბებს. აქ მიღებული გამოცდილება 21-ე საუკუნის მზარდ დინამიკაში ცხოვრებისეული და კარიერული წარმატების საწინდარია.

„ლიბერალი“ ბრიტანულ-ქართული აკადემიის (2015 წლის სექტემბრიდან თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის) დირექტორს, ანუელიკა რუბეგს ესაუბრა.

აკადემიის საერთაშორისო დეპარტამენტი 2011 წელს გაიხსნა. ამ წლების განმავლობაში ჩვენ განვითარების გრძელი გზა განვვლეთ და იმ

სკოლად ჩამოვყალიბდით, რომელიც დღეს 25-ზე მეტი ეროვნების ბავშვის სწავლობს.

ჩვენი სკოლა უცხოელთა ოჯახებს მეგობრულ მულტიკულტურულ გარემოს სთავაზობს, სადაც ბავშვები და მათი მშობლები თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის (BIST) საზოგადოებაში ადვილად ინტეგრირდებიან.

ჩვენი პროგრამების საშუალებით, საინტერესო და ინტერაქტიულ გაკვეთილებზე მოსწავლეები მაღალი ხარისხის განათლებას იღებენ. BIST-ში ჩვენ საერთაშორისო დაწყებებითი და საბაზო კურიკულუმისა და კემბრიჯის საერ-



თამორისო სასწავლო პროგრამების კომბინაციას ვიყენებთ. საერთაშორისო დაწყებითი და საბაზო საფეხურის სასწავლო პროგრამები ბავშვებს საშუალებას აძლევს, აქტიურად ჩატანს სასწავლო პროცესში, განვითარონ ახალი უნარები და დამოუკიდებლად შეუდგნენ სწავლას. ხოლო კემბრიჯის საერთაშორისო სასწავლო პროგრამები სასკოლო ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვისაა განკუთვნილი და მსოფლიო დონის სასწავლო პროგრამის სწავლებასთან ერთად მასწავლებლთა ძლიერ მხარდაჭერასა და ინტეგრირებულ შეფასებას უზრუნველყოფს.

თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში მასწავლებლებს მაღალი მოტივაცია, საერთაშორისო პრაქტიკა, კვალიფიკაცია და მრავალნილი გამოცდილება აქვთ. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე თავს ბედნიერად გრძნობდეს და საერთაშორისო დონის განათლებას იღებდეს. ამდენად ისინი უსაფრთხო შემოქმედებით გარემოს ქმნიან.

აღსანიშვნავია, რომ რამდენიმე თვის წინ BIST ბრიტანეთის საერთაშორისო სკოლების საბჭოს (COBIS) წევრი გახდა. ეს ორგანიზაცია იფიციალურად უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის გარანტიას. 2010 წლის ოქტომბერში ბრიტანულ-ქართულ აკადემიას კემ-

ბრიჯის საერთაშორისო გამოცდების უნივერსიტეტისგან საერთაშორისო ცენტრის სტატუსი მიენიჭა და საერთაშორისო აღიარებული ცენტრის, მათ შორის, კემბრიჯის საერთაშორისო დაწყებითი პროგრამის, კემბრიჯის სამუალო წლების პროგრამის, IGCSE-სა და AS/A-სის პროგრამების სწავლების აკრედიტაცია მიიღო.

მოხარული ვართ, რომ სექტემბერში ლისის ტბის მიდამოებში ახალი კამპუსი გაიხსნება, რომლის მასშტაბი 10 000 კვადრატული მეტრი იქნება. ის აკადემიური, ადმინისტრაციული და რეკრეაციული ბლოკებით იქნება წარმოდგენილი.

აკადემიური ბლოკი დიდი და ნათელი საკლასო ოთახებისგან შედგება, რომლებიც ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, როგორებიცაა ინტერაქციული ჭკვიანი დაფები და კომპიუტერები. ხელოვნების, მუსიკის, დრამისა და მეცნიერებისთვის სპეციალული სასწავლო სივრცეები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ექსპერიმენტული და შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას მისცემს, ხოლო შიდა და გარე სასწავლო სივრცეებში სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება იქნება შესაძლებელი. ადმინისტრაციის ბლოკი ის სივრცე იქნება, სადაც მშობლებს ერთმანეთთან შეხვედრისა და

სხვა მშობლებთან ერთად მუშაობის შესაძლებლობა ექნებათ, თავს ერთ გუნდად იგრძნობენ და ეს სივრცეც დამატებით არაფორმალური სწავლების გარემოს შექმნის მოსწავლეებისთვის.

სკოლის ეზოში ლანდშაფტი ბუნებრივადა მოწყობილი, რაც ბავშვებს გარემოს აღქმაში, კრეატიულობისა და წარმოსახვის უნარის დიაპაზონის გაფართოებაში დაეხმარება.

სპორტისთვის განკუთვნილი საკმაოდ დიდი სივრცე შესაძლებლობას მოგვცემს, ბავშვებს მრავალფეროვანი სპორტული და სასკოლო აქტივობები შევთავაზოთ, ხოლო დახურული აუზი ცურვის გაკვეთილებისთვის იქნება განკუთვნილი.

ჩვენ ვაგრძელებთ საერთაშორისო დეპარტამენტის მსგავსად ქართული დეპარტამენტის გაფართოებასაც და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ბავშვებისთვის ყველაზე თანამედროვე, ინოვაციური, ბავშვზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფას.





## წარმატები საბაზო სამარხოებლი სამართლი - ნახევრი და მოავალი

ქართული საგამომცემლო პიზნესი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. 2006 წლიდან საგამომცემლო სფეროში მოღვაწე გამომცემელთა რაოდენობა მატულობდა, იზრდებოდა გამოცემული და თარგმნილი ლიტერატურის რაოდენობაც. თუმცა 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემისა და გავრცელების უფლების ჩამორთმევამ საგამომცემლო პიზნესის განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა.



ლიკა ზაკაშვილი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მაშინდელმა განათლების მინისტრმა გიორგი მარგვალაშვილმა უფასო სახელმძღვანელოების პროექტის ფარგლებში ქართველი გამომცემლების მიერ შექმნილი სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა/რეალიზაცია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განახორციელა. გამომცემლებს კი წიგნის ღირებულების მხოლოდ 10% გადაუხადა. რაც, როგორც გამომცემლები ამბობდ-

ნენ, სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაზე დახარჯულ ხარჯს მინიმალურადაც კი არ ფარავდა. ისინი სახელმწიფოს მათ მიერ განეულ შრომაში ადეკვატური ღირებულების გადახდას სთხოვდნენ.

გამომცემლები ამბობენ, რომ სამინისტროს ამ გადაწყვეტილებით პიზნესი მნიშვნელოვანი ფინანსური და მორალური ზიანი მიადგა, რადგან მაშინდელი განათლების მინისტრი გამომცემელთა დემონიზაციას



ენეოდა და მათ სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების მოწინააღმდეგებაზე რაცხავდა. საქმე კი სხვაგვარად იყო - ისინი თავიანთი საავტორო უფლებების დაცვასა და განეული შრომის ადეკვატურ ანაზღაურებას ითხოვდნენ.

გამომცემლობა „ლოგოს პრესის“ ხელმძღვანელი ლაშა ბერაია ამბობს, რომ 2012 წელს გამომცემლთა პოზიცია საზოგადოებისთვის გაუგებარი იყო, რადგან უფლება, რისთვისაც ისინი იბრძვიან - არამატერიალურია. საავტორო უფლებების საკითხი უმრავლესობისთვის უმნიშვნელოა. ისინი ვერ ხვდებიან, რამხელა ზარალი მიადგა ამით საგამომცემლო საქმეს და რა საფრთხეები შეექმნა სფეროს, რომელიც საქართველოში 2004 წლიდან მოყოლებული ვთარდებოდა.

საქართველო კავკასიის რეგიონში გამოცემული/თარგმნილი ლიტერატურის რაოდენობით მოწინავე პოზიციას იკავებს. გამომცემლთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საგამომცემლო ბიზნესის ბრუნვა 2011 წელს 24 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა (2007 წელს ის 6 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა).

2012 წელს გამომცემლობები: „ინტელექტი“, „დიოგენი“, „არტანუჯი“ და „ლოგოს პრეს“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ გაერთიანდნენ და რამდენიმე სარჩელი მოამზადეს. ერთი ადმინისტრაციულ სასამართლოში შეიტანეს და მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოითხოვეს. ამჯერად საქმე მეორე ინსტაციაშია - 2014 წლის 22 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამინისტროს სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ. მეორე სარჩელით გამომცემლები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების იმ დებულების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდნენ, რომლის საფუძველზეც სამინისტრომ მათ მფლობელობები არსებული საავტორო უფლებები გადაიბარა. საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელი წარმოებაში ჯერ არ მოუღია.

საქართველოში მხატვრული და სხვა უანრის წიგნების მკითხველთა რაოდენობის სიმცირის გამო გამომცემლები სწორედ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან მიღე-

ბული თანხებით ახერხებდნენ ემუშავათ მხატვრული ლიტერატურის გამოცემაზე და ქართული წიგნის პაზარი გაემდიდრებინათ თარგმნილი უცხოური პროზითა თუ პოეზიით, გამოეცათ ქართველ ავტორთა წიგნები.

2012 წელს მიყენებული დარტყმა გამომცემლებზე სხვადასხვაგვარად აისახა. თამარ ლებანიძე გამომცემლობა „დიოგენეს“ მომავალს პესიმისტურად უყურებს. 2012 წლამდე შექნილ ოფისსა და მაღაზიას ყიდის. ამბობს, რომ „გამომცემლობა ვალებში იხრჩობა“, ვალდებულებების შესრულებას ვერ ახერხებენ და დავალიანებები როგორც ადგილობრივ სტამბებთან, ისე საერთაშორისო პარტნიორებთანაც აქვთ: „რადიკალურად შემცირდა ჩვენ მიერ გამოცემული წიგნების რაოდენობა. ის, რაც 2013-2014 წლებში გამოვეცით, ძველი პროექტები იყო. წელს, მაგალითად, მარსელ პრუსტის წიგნს გამოვცემთ. ამ პროექტზე მუშაობა 6 წლის წინ დავიწყეთ. ახალი პროექტები თითქმის აღარ გაქვს“.

ლაშა ბერაიას განცხადებით, გამომცემლობას არსებობის ისტორიაში წელს პირველად შეუმცირდა როგორც შემოსავალი, ისე გამოცემული წიგნების რაოდენობა.

გამომცემლობა „ინტელექტს“ ბანების კრედიტი არ ჰქონია, ამიტომ საქმიანობის გაგრძელებას ჯერჯერობით წლების წინ დაგროვილი თანხით ახერხებს და უახლოესი ორი წლის განმავლობაში გაკოტრება არ ემუქრება. თუმცა, როგორც „ინტელექტის“ წარმომადგენელი ზვიად კვარაცხელია აღნიშნავს, ჩანაფიქრი ბევრად მასშტაბური იყო. სახელმძღვანელოებიდან შემოსული თანხა თანამედროვე ქართველი ავტორების წიგნების გამოცემისა და უცხოური ლიტერატურის თარგმნის საშუალებას იძლეოდა. შექმნილი მდგომარეობიდან კი ამ წიგნების მასშტაბურად გამოცემა შეუძლებელი გახდა.

გამომცემლთა ასოციაციის წარმომადგენელი თიკო ბერიაშვილი ამბობს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან მიღებული შემოსავალი გამომცემლებისთვის ძირითადი ფინანსური საყრდენი იყო, თანაც სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარი მარტივად დათვლადია, ამიტომაც გამომცემლებს სტაბილურობის განცდა ჰქონდათ და ამ გზით მიღებული შემოსავალი რომ არ დაეკარგათ, დღეს მეტი დებიუტანტი ავტორის და არა მხოლოდ მათი

■ საქართველო კავკასიის რეგიონში გამოცემული/თარგმნილი ლიტერატურის რაოდენობით მოწინავე პოზიციას იკვებს. გამომცემელთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საგამომცემლო ბიზნესის ბრუნვა 2011 წელს 24 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა (2007 წელს ის 6 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა), გაყიდული წიგნების რაოდენობამ კი 7,7 მილიონს მიაღწია (2007 წელს ეს რიცხვი 2,3 მილიონი იყო).

# მთავარი თემა

**■ საქართველოში ბესტსელერად ითვ-ლება წიგნი, რომელიც 8000-10000 ტირაჟით გამოდის და იყიდება. წიგნები ძირითადად 1000-იანი, 2000-იანი ტირაჟით იბჭედება. ხშირია ისეთი წიგნებიც, რომელთა ტირაჟი 500-ს არ ფლება.**

გამოცემის შესაძლებლობა ექნებოდათ: „ეს ეხება არა მხოლოდ ქართველ ავტორებს. მაგალითად, არსებობს ლიტერატურა, რომელიც ბესტსელერი არ არის, თუმცა სამეცნიერო ან საგანმანათლებლო შინაარსისაა. ასეთი წიგნები სავარაუდოდ მცირე რაოდენობით გაიყიდება, თუმცა აუცილებელია მათი ქართულად თარგმნა, თუნდაც იმიტომ, რომ ბიბლიოთეკაში იდოს“.

არაუკორეციულ პროექტებზე საუბრისას „ლოგოს პრესის“ ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან მიღებული შემოსავლებით გამომცემლებს საშუალება ჰქონდათ გამოეცათ წიგნები, რომელთა ტირაჟი 500-1000-მდე მერყეობდა, რაც არასერიოზული რიცხვია, თუმცა დღეს წიგნების ბაზარი მრავალფეროვანი სწორედ ასეთი პროექტების ხარჯზეა: „ის, რომ ქართულ ბაზარზე წიგნების ასეთი მრავალფეროვნებაა, იმის შედეგია, რომ სასკოლო წიგნებიდან მიღებულ თანხას გამომცემლები უხვად აბანდებდნენ სხვადასხვა ლიტერატურაში. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, რასაკვირველია, დისალანსი შექმნა. არაერთი მსხვილი გამომცემლისთვის ეს შემოსავალი მნიშვნელოვანი იყო. მათი რესურსები ნელ-ნელა ინურება. ახალი პროექტებისთვის დღეს ნაკლები რესურსი გვაქვს. გამოცემული წიგნების რაოდენობა შემცირდა და მომავალში კიდევ უფრო შემცირდება. ბაზარი ლარიბდება. აღარ გამოიცემა ახალი წიგნები, რომლებიც გამომცემლებს გამზადებული აქვთ, მაგრამ სტამბაში ვერ აგზავნიან“.

გამომცემლები ვარაუდობენ, რომ საგამომცემლო ბაზრის გაღარიბება მომდევნო წლებში უფრო თვალშისაცემი გახდება.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ქართულ საგამომცემლო ბაზარზე არსებული ვითარების შესასწავლად არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც სისტემურად და აკადემიურად დაითვლიდა როგორც გამოცემული წიგნების რაოდენობას, ისე შემოსავლებს.

ერთადერთი ასეთი კვლევა ასოციაციის ინიციატივით 2012-2013 წლებში ჩატარდა. კვლევის მიზანი წიგნის ბაზრის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მოგროვება იყო. თუმცა, როგორც თავად კვლევის ავტორები განმარტავენ, ციფრები ზუსტი არ არის, რადგან გამომცემლები მათ მიახლოებულ ციფრებს აწვდიდნენ, ზოგიერთ-

მა კი საერთოდ უარი თქვა მასში მონაწილეობაზე.

საქართველოში არსებული 68 გამომცემლობიდან მოქმედი და აქტიური მხოლოდ 40-ია. კვლევაში მონაწილეობა 34-მა გამომცემლობამ მიიღო, მათ შორის ბაზრის თითქმის ყველა ლიდერმა და რამდენიმე მცირე ზომის კომპანიამაც.

კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა საგამომცემლო ბაზრის მასშტაბების შესახებაც. შეკითხვას, 2012 წელს მიღებული შემოსავლების შესახებ 34-დან 29 კომპანიამ უპასუხა. ფირმების ნახევარზე მეტმა (52%) მიუთითა, რომ მათი შემოსავალი 50,000 ლარზე ნაკლებს შეადგენდა (დაახლ. 30,200 აშშ დოლარი), გაცვლითი კურსი 1,63 აშშ დოლარი/ლარი). კომპანიების 21%-ის შემოსავალი 50,000-200,000 ლარს შორის მერყეობს (დაახლ. 30,200-120,800 აშშ დოლარი/ლარი), გაცვლითი კურსი 1,63 აშშ დოლარი/ლარი).

იმ პასუხებზე დაყრდნობით, რომლებიც 34 კომპანიის გამოიტოხვის შედეგად შეგროვდა, გაირკვა, რომ გამომცემლობებში სრულ და ნაწილობრივ სტატუსზე მომტკიციანდების რაოდენობა (დამოუკიდებელი და მოკლევადიანი კონტრაქტით მომუშავე პერსონალი გათვალისწინებული არ ყოფილა) 1-დან 50-მდე მერყეობს. 34-დან არცერთ კომპანიას არ ჰყავს 50-ზე მეტი თანამშრომელი. ფირმების უმეტესობაში 5-ზე ნაკლები ადამიანია დასაქმებული. დაახლოებით ამავე რაოდენობის კომპანიებში კი 6-10 ადამიანი მუშაობს.

გამომცემელი ლაშა ბერია ამბობს, რომ საქართველოში საგამომცემლო საქმიანობა რთულია, რადგან ცოტაა მკითხველი.

„ლიტვაში, ვილნიუსის წიგნის ფესტივალზე, კოლეგებთან საუბარში გაირკვა, რომ ქვეყანას, რომლის მოსახლეობაც საქართველოს მოსახლეობაზე სამჯერ ნაკლებია, ჩვენზე 4 ჯერ მეტი მკითხველი ჰყავს. ვითარებაზე ქვეყნის სიმცირეც მოქმედებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მკითხველის ფაქტორი. საქართველო რთული ქვეყანაა. საქმიანობის დასაწყისში მდგომარეობას ვარდისფერი სათვალით ვუყურებდი და მეგონა რომ 1000 ტირაჟით გამოცემული არის ტოფანეს კომედიები ძალიან მაღე გაიყიდებოდა. ბოლოს ფასდაკლებით გავყიდეთ“, - ამბობს ლაშა ბერია.



საქართველოში ბესტსელერად ითვლება წიგნი, რომელიც 8000-10000 ტირაჟით გამოდის და იყიდება. წიგნები ძირითადად 1000-იანი, 2000-იანი ტირაჟით იბეჭდება. ხშირია ისეთი წიგნებიც, რომელთა ტირაჟი 500-ს არ ცდება.

ქართული საგამომცემლო საქმისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალია, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით უნდა წარდგეს.

„დარჩა სამი წელი. დღეს ქართულ ლიტერატურაში საყურადღებო, ძლიერი ნაწარმიები იქმნება, მაგრამ ამ ყველაფერს გამოცემა სჭირდება. გამომცემლობამ საკუთარ თავზე უნდა აიღოს როგორც ამ წიგნების ბეჭდვა, ისე მათი პოპულარიზაცია. ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა. ამ ყველაფერის უზრუნველყოფის შესაძლებლობა შეგვეზღუდა. შესაბამისად, რა თქმა უნდა, საერთაშორისო დონეზე ჩვენი აკტორების მხარდაჭერაც შეიზღუდება“, – ამბობს „არტანუჯის“ გამომცემელი ზვიად კუარაცხელია.



რთული სათქმელია, როგორ განვითარდება ქართული საგამომცემლო ბიზნესის მომავალი. გამომცემელთა ნაწილი მომავალს პესიმისტურად, ნაწილი კი იმედით უყურებს. თუმცა ყველა მათგანი სახელმწიფოსგან მხარდაჭერის სახით მხოლოდ ერთ რამეს ითხოვს – ნუ ჩაერევა სახელმწიფო მათ საქმიანობაში და ნუ შელახავს მათ საავტორო უფლებებს. ■



# თანამედროვე ციფრული

პრევეზად მოხმარების საგნები, ჰიგიენური საშუალებები, სხვადასხვა წითელი და საკითხავი ლიტერატურა – ეს ის ჩამონათვალია, რომლის ამანათობით მიღება, შენახვა ან მაღაზიაში შექრენა მსჯავრდებულებს კანონით შეუძლიათ.



շահութակ մորուց և ճեղքուց, հօնախուզ գործադրություններում լուսավորության մեջը տեսական աշխատանքների մասին պատճենագիրը է առաջարկվում:

თუმცა, ერთიანი წიგნები, მათი რაოდენობა, ანალიტიკურობა და შინაარსი, მერძე კი ის, რა რას ნიშნავს ციხის ბიბლიოთეკა თავად პა-  
რმეტებისთვის.

ବାଲ୍ମୀକି N-5 ଇନ୍‌ଡାର୍କାର୍ଡ୍

„ბიბლიოთეკა ააზისია უდაბნოში, უანგბა-  
კა”, — ერთ-ერთი პატიმრის ეს ფრაზა შესა-



ფოტო ლეიკონის დოკუმენტისგან

ქალთა №5 დაწესებულების  
ბიბლიოთეკა

მიერ დაფინანსებული, ოსლოს საჯარო ბიბლიოთეკის ეგიდით წამოწყებული პროექტია. მეოთხე წელია ამ ბიბლიოთეკას ნინო ქოქოშვილი ხელმძღვანელობს. მომზადება ოსლოში გაიარა, სადაც არა მხოლოდ საბიბლიოთეკო საქმეს, არამედ მსჯავრდებულებთან ურთიერთობასაც ასწავლიდნენ.

ნინო 27 წლისაა, სამსახურში თბილისიდან დადის. რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა უწევს, ციხის გადასახვევიდან დაწესებულებამდე კი ავტოსტოკით უხდება მგზავრობა. ამბობს, რომ ორ სამყაროს შორის უწევს მოგზაურობა, თუმცა თავს გარედნ შემოსულად არ გრძნობს. არასდროს გასჭირვებია სამსახურთან შეგუება და „ციხეში შესვლისთანავე თავადაც ერთ-ერთი რიგითი პატიმარია“. ფიქრობს, რომ დანაშაულისგან დაზღვეული არავინაა, რადგან შეცდომას ყველა უშვებს და არც ის აინტერესებს, თუ რა დანაშაული ჩაიდინეს აქ მყოფა ადამიანებმა.

„აქ მოსვლისას ვიცოდი, რომ 1200 მსჯავრდებული ქალი იხდიდა სასჯელს, ოსლოს ციხეში კი სულ რაღაც 45 ქალი დამხვდა. თავიდან ბიბლიოთეკა მხოლოდ თეთრი კარკასი იყო. სწრაფად გვინდოდა გაგვეხსნა. პატიმრებიც გვაჩქარებდნენ. როდესაც ბიბლიოთეკა გაქხსენით, მახსოვს მსჯავრდებულების ემოციები – აქ არ გვაქვს შეგრძნება, რომ სასჯელს ვიხდით, „სვაბოდაზე“ ვართ. 70-80 ადამიანი

ინტენსიურად კითხულობს, თუმცა ბიბლიოთეკით ამ დაწესებულების თითქმის ყველა მსჯავრდებული და ბრალდებული სარგებლობს. მოგხესნებათ ბრალდებულები ციხეზე არიან, ჩვენ მათ ვუგზავნით კატალოგს, სადანაც სასურველ წიგნებს არჩევენ. ზოგადად პატიმრებს საკანში 5 წიგნის ატანის საშუალება აქვთ. თუმცა ისეც ხდება, რომ თუკი რამდენიმე მუშაობენ ან წერენ, 10 წიგნსაც ვატანთ, შეზღუდვები აქ არ ვრცელდება“, – ამბობს ნინო ქოქოშვილი.

ბიბლიოთეკარი რამდენიმე საინტერესო ფაქტზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში მყოფ რამდენიმე ქალს ბიბლიოთეკაში დაცული ყველა წიგნი აქვს წაკითხული, ხოლო ზოგიერთი მსჯავრდებული ინტენსიურ რად ერთსა და იმავე წიგნს კითხულობს.

## ნანა

ნარკოდანაშაულისთვის ციხეში 21 წლის ასაკში მოხვდა. 9 წელია სასჯელს იხდის, თუმცა არ თვლის, რომ ეს დრო „წყალშია გადაყრილი“. ამბობს, რომ 9 წელია საუთარ ცხოვრებას გვერდიდან უყურებს, თუმცა პოროვნულად შედგა. მისი აზრით, ამაში ციხეში გატარებულმა დრომ თავისი წელილი შეიტანა.

„აქ ბევრი დროა კითხვისთვის, ფიქრისთვის და საერთოდ ბევრი რამისთვის. ზოგადად, ადამიანებს გვიყვარს, როცა რაღაცებს



სასულისალის უფლებების №11 არსალონლოვანთა დანექსპულების ბიბლიოთეკა

მარტივად ვაღწევთ. ოცნება ფიქრზე ბევრად მარტივია. აქ დიდი დრო გაქვს იმისთვის, რომ იფიქრო – ოცნებას ეჭვები და ფიქრს სწავლობ. წიგნთან ყოველთვის ვმეგობრობდი და ვთვლი, რომ ეს მამაჩრემის დამსახურებაა. საყვარელი პერსონაჟებიც მყავს. „ღორიან გრეის პორტრეტი“ ჩემი ბავშვობის წიგნია და მისი გადაკითხვა ყოველწლიურად მინდა ხოლმე. ხშირად მიფიქრია – კი, ციხეში ვარ, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ იმ სიტუაციაში არ ვარ, რომელშიც ჩემი საყვარელი პერსონაჟები მოხვედრილან“, – ამბობს ნანა.

## თამარი

54 წლისაა, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. ორი წელი აქვს მისჯილი – „ნამლის“ შეძენა-შენახვის ბრალდებით. მისთვის ციხე კოშმართან ასოცირდებოდა და აქ მოხვედრის პირველი დღეების გახსენება არც უნდა. ამბობს, ნიუარაში შეკეტილი ლოკოკინასავით ვცხოვრობდი და საკინიდან პირველად სწორედ ბიბლიოთეკაში ჩასასვლელად გამოვდიო.

„სულ ლევან ბერძენიშვილის სიტყვები მასსენდება, ერთ-ერთ ინტერვიუში ჰქითხეს – ამდენ წიგნის ნაკითხვა როდის მოასწარითო, მან უპასუხა – ციხეშიო. აქ ისეთი წიგნები აღმოვაჩინე, რომელმაც მომავალში ჩემი, 54

წლის ადამიანის მსოფლმხედველობა სრულად ამოატრიალა. მაგალითად, რობინ შარმას წიგნები. ორი ისეთი ადამიანი მყავს აქ, ვისთანაც ერთადაც სრულად ვტოვებ ამ სამყაროს და იმ გამოუცინობში ვარ ჩაფლული, რასაც ლიტერატურა, წიგნი ჰქვია. აქედან რომ გავალ, ცოტა გროტესკულად ვიტყვი – „მე ის თამრო ალარ ვარ“-მეთქი. ყოველდღე, ყოველ წეს რაღაცას ვსწავლობ, ჩემი აქაური ყოფა შემეცნებითია და ჩემს გაოგნებას არ აქვს საზღვარი“, – აღნიშნავს თამარი.

ციხეში წერაც დაიწყო, ნარმოშობით გურიიდანაა და პირველი მოთხრობა „მონატრება გურიაზე“ სწორედ ოზურგეთში, მისი ფანჯრიდან დანახულ აჭარა-გურიის მთების პეიზაჟს, იქაურ წვემას და იმ ყველაფერს ეხება, ასე ძალიან რომ ენატრება. ახლა ახალ მოთხრობას წერს – „თეთრი და შავი“. თუმცა ამბობს, რომ სტენდალს არ ძაძავს.

„აქ მოხვედრამდეც წიგნი ჩემთვის ყოველთვის განუყოფელი ნაწილი იყო, ბავშვობიდან მოყოლებული დედაჩემი მიმალავდა წიგნებს. მახსოვს, ბალზაკს რომ ვკითხულობდი, იმდენად მის სამყაროში ვიყავი, რომ სარეცხის მანქანასთან მჯდომიც კი არ ვკარგავდი დროს. დღესაც ასეა. სხვათა შორის, მიუხედავად აქაური ჭრელი კონტინგენტისა, არაერთ მოაზროვნე, ინტელექტუალ ადამიანს შეხვდებით“, – ამბობს თამარი.

■ ნინო 27 წლისაა, სამსახურში თბილი-სიდან დადის. რამდე-ნიმე ტრანსპორტის გამოცვლა უწევს, ციხის გადასახვევიდან დაწესებულებამდე კი ავტოსტოპით უხდება მგზავრობა. ამბობს, რომ ორ სამყაროს შორის უწევს მოგზაურობა, თუმცა თავს გარედან შემოსულად არ გრძნობს. არასდროს გასჭირვებია სამსახურთან შეგუება და „ციხეში შესვლისანავე თავადაც ერთ-ერთი რიგითი პატიმარია“. ფიქრობს, რომ დანაშაულისგან დაზღვეული არავინაა, რადგან შეცდომას ყველა უშვებს და არც ის აინტერესებს, თუ რა დანაშაული ჩაიდინეს აქ მყოფმა ადამიანებმა.

■ აქ მოხვედრამდეც  
წიგნი ჩემთვის ყოველ-  
თვის განუყოფელი ნა-  
წილი იყო, ბავშვობიდან  
მოყოლებული დედაქე-  
მი მიმალავდა წიგნებს.  
მას სოვს, ბაზაკს რომ  
ვკითხულობდი, იმ-  
დენად მის სამყაროში  
ვიყავი, რომ სარეცხის  
მანქანასთან მჯდომიც  
კი არ ვკარგავდი დროს.  
დღესაც ასეა. სხვათა  
შორის, მიუხედავად  
აქაური ჭრელი კონ-  
ტინგენტისა, არაერთ  
მოაზროვნე, ინტე-  
ლექტუალ ადამიანს  
შეხვდებით“, – ამბობს  
თამარი.

თამარიც და ნანაც კმაყოფილები არიან ცი-  
ხის ბიბლიოთეკით, თუმცა სურვილი აქვთ,  
რომ ბიბლიოთეკას ბოლოს დროს თარგმნილი  
წიგნებიც დაემატოს, ვიდეოთეკა განახლდეს.  
როგორც ჩანს, რომ ეს არამხოლოდ მათი, არა-  
მედ ბიბლიოთეკით მოსარგებლე ქალი პატი-  
მრების საერთო სურვილიცაა.

## საჯელალსრულების №11

### პრასრულლოვნების დანერგულება

მტვრი, მტვრიანი გზა და მტვრის ღრუ-  
ბლები – მშრალ ამინდში სასჯელალსრულე-  
ბის №11 დაწესებულების ადმინისტრაციის  
შენობამდე არცთუ კომფორტული გზით თუ  
მიხვალთ. შემოწმების სტანდარტული, მკაცრი  
პროცედურისა და რამდენიმე რეინის კარის  
გავლით არასრულნლოვნათა სარეაბილიტა-  
ციო დაწესებულებაში მოხვდებით.

მელავებმოსვირინგებული, 14-დან 18 წლამდე  
მოზარდების დაკვირვების ობიექტად ქცევის შე-  
მდევ აშკარად გრძნობთ, რომ აქ უცხო ხართ.

ოფიციალური მონაცემებით ამ დაწესებუ-  
ლების ბიბლიოთეკაში, რომელიც ერთ სამუ-  
ალო ზომის თაბაშია განთავსებული, 4549  
წიგნია დაცული. არდადეგების დროს მო-  
ზარდებს დილიდან-სალამომდე შეუძლიათ  
ბიბლიოთეკაში ყოფნა, სკოლის პერიოდში კი  
(არასრულნლოვნები თბილისის ერთ-ერთი  
საჯაროს სკოლის მოსახლეებად ირკხებიან  
და სასწავლო პროგრამას სასჯელალსრულე-  
ბის დაწესებულებაში გადიან) – გაკვეთილების  
შემდეგ.

თამარ შათირიშვილი №11 დაწესებულების  
სოციალური მუშაკი მოზარდების ფსიქოლო-  
გიურ რეაბილიტაციაზე მუშაობს. ამბობს, რომ  
მოზარდთა ცხოვრებაში ბიბლიოთეკა ძალიან  
დიდ როლს თამაშობს. აქვთ მკითხველთა  
კლუბი, სადაც ამა თუ იმ ნანარმოებს კითხუ-  
ლობენ, შემდევ კი განიხილავენ.

„როგორც სოციალურ მუშაკს გარეთაც მი-  
მუშავია და ყველაზე მეტად იმან გამაკვირ-  
ვა, რომ შეიქმნავ შემთხვევაში, დაწესებულებაში  
მყოფ მსჯავრდებულებს უფრო მეტი ინტერე-  
სი აქვთ წიგნების მიმართ, ვიდრე გარეთ მყოფ  
ბავშვებს. ვფიქრობ სახლში ბევრს არა აქვს  
წიგნთან ურთიერთობის საშუალება იმის გამო,  
რომ მშობლები უმეტესად დაკავებული არიან,  
ან საშუალება არ აქვთ, რომ ბავშვს ესა თუ  
ის ნანარმოები გააცნონ“, – გვეუბნება თამარ  
შათირიშვილი.

ბიბლიოთეკაში მსჯავრდებულები შემოდიან.  
დამშვიდობებისას ციხის დირექტორის მოად-

გილის ფრაზა – „უურნალისტებთან საუბარ  
აქ ცოტა არ არის მოდაში“ – არასრულნლო-  
ვანთა შემოსვლისთანავე იგრძნობა. კითხვები  
მოკლედ, ან საერთოდ არ პასუხობენ, თუმცა  
ერთი-ორი მოზარდი შედარებით ვრცლადაც  
საუბრობს.

„მე უფრო დროის გასაყვანად ვკითხულობ  
თან მაინტერესებს“.

„სახალისოდ“.

„დეტექტივები უფრო მაინტერესებს“.

„მე არ ვკითხულობ“.

„რელიგიაზე ვკითხულობ ხოლმე ხშირად  
ქრისტიანულზე“.

ერთდებათო, ამბობენ მეთვალყურეები.

„ახლა „99 ფრანგს“ ვკითხულობ. კითხვა  
იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სხვათ  
ცხოვრებით იცხოვრო, ანუ ის პერსონაჟი იყო,  
რომლის შესახებაც კითხულობ“.

„ფავორიტი ნანარმოები ან პერსონაჟი?  
ალბათ „დორიან გრეის პორტრეტი“. აქ მო-  
ხვედრამდე არც ისე ხშირად ვკითხულობდი.  
ცხოვრებისეულადაც მეტი გამოცდილებაა და  
დროის გასაყვანადაც კარგია. მინდა, აქედან  
რომ გავალ, კითხვა გავაგრძელო, თუმცა არ  
ვიცი, რამდენად მომიხერხდება“.


ქეთი კობალაძე, №11 დაწესებულების  
ფსიქოლოგი, ასევე, სოციალური, საგანმა-  
ნათლებლო, აღმზრდელობითი მიმართულე-  
ბით დირექტორის მოადგილე აღნიშნავს, რომ  
მოზარდთა უმეტესობამ აქ დაიწყო კითხვა –  
თავიდან დროის გაყვანის მიზნით, შემდევ კი  
სერიოზული ინტერესი გაუჩინდათ.

„ხშირად ვსაუბრობთ, კონკრეტულ თემებს  
ვარჩევთ, ზოგჯერ გვეკითხებიან კიდევ – რა  
ჯობია, თქვენ თუ გაქვთ წაკითხულით. გარდა  
იმისა, რომ ამ მოზარდებს ცხოვრების მარ-  
თლა დიდი ზოგჯერ სამწუხაროც გამოცდილე-  
ბა აქვთ, დამატებით ცდილობენ, რომ რაღაც  
გაკვეთილი კიდევ მიიღონ და ამაში წიგნები  
ნამდვილად ეხმარებათ“, – ამბობს ქეთი კო-  
ბალაძე.

მართალია, სასჯელალსრულების №11 და-  
წესებულების ბიბლიოთეკაში 5000-ათასმდე  
წიგნია დაცული, თუმცა მას გადახალისება და  
ახალი გამოცდებით გამდიდრება სტანდარტი,  
განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით,  
რომ აქ არასრულნლოვნები იხდიან სასჯელს.

## სასჯელალსრულების №8 დანერგულება

გლდანის „ცნობილ“ ციხში, დახურულ და-  
წესებულებაში, რომელიც სხვადასხვა დროს  
საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშ-



სასჯელალსრულების №8  
დაწესებულების ბიბლიოთეკა

■ დამშვიდობებისას, კითხვაზე, რომელიმე პერსონაჟთან თუ აიგივებს თავს, იღიმის და არა როგორც სასჯელალსრულების №8 დაწესებულების მსჯავრდებული, არამედ როგორც „კარცერი ლუქსის“ პატიმარი ისე მპასუხობს - რა თქმა უნდა, „კაცთან, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

შე ჰატიმართა უფლებების უგულვებელყოფისა და სხვადასხვა დარღვევების გამო ხვდებოდა, ხოლო საზოგადოებას სკანდალური „ციხის კადრებით“ დაამახსოვრდა, პატიმრებმა წელს პირველად აირჩიეს ბიბლიოთეკარი.

გიორგი ჯავახაძე, სასჯელალსრულების №8 დაწესებულების ბიბლიოთეკარი, რადიატერული ნივთიერების გადატანის პრალდებით იხდის სასჯელს. სასამართლომ 7 წლით თავისუფლების ალევეთა მოუსაჯა. ის სასჯელს 2011 წლიდან იხდის. მსჯავრდებულებმა ბიბლიოთეკარი საკუთარი რიგებიდან წელს პირველად შეარჩიეს. არჩევანი სწორედ მასზე შეაჩერეს.

სამუშაო მაგიდასთან მჯდომი გიორგი ჯავახაძე ამბობს, რომ უნიგნოდ ცხოვრება არ შეიძლება და როცა კითხულობ, ნანარმოების გმირთან ერთად უნდა ითევზაო, იმუშაო, ირბინო, იჯირითო. სხვანაირად არ გამოვა, უნიგნოდ ვერ იცხოვრება.


„დაასატიმრებამ არ გამაბოროტა. თითოეული ჩვენთაგანის ხვედრი ღვთის წებაა. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, მიშას დროს ვერ გაბედვი ამა თუ იმ წიგნის მოთხოვნას, რასაც მოგიტანდნენ, ის უნდა წაგეკითხა. ჩვენც ასე ვიყავით – რაც მოჰქონდათ, იმას ვკითხულობდით. ბოლო აღწერით 11 ათას წიგნზე მეტი გვაქვს. მათი დაახლოებით 40% კორპუსშებზეა გატანილი. როდესაც პატიმარი წიგნს ითხოვს, ჩემთან სოციალური მუშაკი მოდის, შეკვეთას მაძლევს – ვურჩევ, ვულაგებ და ვუგზავნი.

პოეზიას ბევრი კითხულობს. აქ არიან პატიმრები, რომლებიც ლექსებს წერენ. აინტერესებთ დეტაქტივები, ასევე, საქართველოს ისტორია. ახალი აღთქმა და ლოცვები იმ რაოდენობით გვაქვს, რომ ყველა კამერაშია. აგერ, ხომ ხედავთ, ყურანიც გვაქვს. მსჯავრდებულებს პროფესიული მინარსის წიგნებიც აინტერესებთ, უფრო სოფლის მურნეობის მიმართულებით, მაგალითად, როგორ კეთდება სათბურები და ასეთი პრაქტიკული საკითხები. იცით რა ხდება? თუ ერთი კაცი მაინც არის კამერაში, ვინც ახლოს არის წიგნთან, შემდეგ ძალაუნებურად სხვებიც ინტერესდებიან“, – ამბობს ბიბლიოთეკარი.

დამშვიდობებისას შეკითხვაზე, რომელიმე პერსონაჟთან თუ აიგივებს თავს, იღიმის და არა როგორც სასჯელალსრულების №8 დაწესებულების მსჯავრდებული, არამედ როგორც „კარცერი ლუქსის“ პატიმარი ისე მპასუხობს – რა თქმა უნდა, „კაცთან, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

მართალია „კარცერი ლუქსი“ პოზიტიურ შინანარსს ატარებს და ბევრისთვის საოცნებო ადგილიც კია, მაგრამ სტატიის გმირები, ისევე, როგორც დაახლოებით 10 000 ადამიანი, საქართველოს სასჯელალსრულების სხვადასხვა დაწესებულებების საკნებში რეალურად იხდის სასჯელს და კარგი იქნება, თუ ციხის ბიბლიოთეკა მაინც არა მხოლოდ წიგნების სიმრავლით, არამედ ტექნიკური აღჭურვილობითაც დაემსგავსება ლუქსის.

# ნიბნიჩიანის ცვლილები



ლიტერატურა თავისთავად დიდი და მაღალი ლირებულებაა და დამატებითი ახსნა, თუ რას იძლევა, რას გვჩუქნის ის, თითქოს არ სჭირდება, თუმცა ლიტერატურის ავტორიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ბავშვები და მოზარდები სვამენ, მათი აზრით, სამართლიან შეკითხვებს – რატომ უნდა წავიკითხოთ? რა იქნება, თუ არ წავიკითხავთ? ბავშვები ძალიან უფრთხილდებიან თავიანთ რესურსს, ძვირფას დროს, რომელიც უშურველად შეიძლება დახარჯონ კომპიუტერულ თამაშებზე, სხვა გასართობზე, ოლონდ არა კითხვაზე. მათ გაუჩნდათ შეკითხვა, უფროსები კი მზად არ აღმოჩნდნენ პასუხის გასაცემად.



ლევან ბერძენიშვილი

პასუხი – წაიკითხე წიგნები და წარმატებული იქნები, ფარისევლობის ელემენტებს ატარებს, იმიტომ რომ საქართველოში არაერთმა ადამიანმა მიაღწია წარმატებას (დღევანდელი გაგებით) ისე, რომ არაფერი წაუკითხავს. ზოგიერთი ამით ტრაბახობდა კიდეც: ეს ტრაბახი ჩვენთვის ჯერ კიდევ კლასიკური ქართული ლიტერატურიდანაა ცნობილი. ლუარსაბი ამბობდა: „მე თუ წიგნი არ წამიკითხავს, ფერი მაჟლია თუ ხორცი?“ „წიგნი რა კაცის საქმეა“ და შ.

მოკლედ, დადგა დრო, როდესაც შეკითხვებს – რამი გვჭირდება ლიტერატურა და რას იძლევა ის – აღმოაჩნდა საფუძველი და მას პასუხი სჭირდება.

ყოველთვის არსებობდა ხალხი, რომელიც კითხულობდა და პირიქით, არსებობდნენ ისეთებიც, რომლებიც არაფერს კითხულიბდნენ. ამ უკანასკნელებს, მათ შორის სტუდენტებსა და პროფესორებსაც კი, რომლებმაც ფაქტობრივად არაფერი იციან, დღესაც შეხვდებით.

წორმალურ ვითარებაში უწიგნური კაცი იოლად ცხოვრობს. უწიგნური კაცის ქვეყანას განვითარებული ქვეყანა ჰქვია. ჩვენ ამის ფულუნება არა გვაქვს. დიახ, ადამიანი შეიძლება უწიგნური იყოს პრერიკის რომელიმე შტატში, იმიტომ რომ იქ შრომის მაღალი კულტურაა, რითაც ამის კომპენსირებას მოახერხებს. თუმცა გაუათლებელი ადამიანი ბევრს ვერაფერს მიაღწევს.

მხატვრული ლიტერატურა იძლევა სპეციფიკურ განათლებას, არა მარტო ესთეტიკურს, არამედ შემოქმედებით განათლებასაც, ანუ გვაძლევს წარმოსახვის საშუალებას. წარმოსახვას ვერცერთი სხვა დარგი ისე მძაფრად ვრ ავითარებს, როგორც ლიტერატურა. მხატვრული, გამოგონილი სამყარო, გაცილებით უფრო ნამდვილია, ვიდრე ცხოვრება. ეს ჯერ კიდევ არისტოტელებმ აღმოაჩნა, რომელმაც ოქა, რომ ლიტერატურაში მოვლენები ხდება აუცილებლობით ან მაღალი ალბათობით, ხოლო ცხოვრებაში კი – შემთხვევითობით. თუკი ცხოვრებას აღწერ ისეთს, როგორიც არის, დამაჯერებელი არ იქნება. ცხოვრება არ არის დამაჯერებელი, ცხოვრებით ვერავინ ვერაფერს სწავლობს. ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ, დიდად დაბრძენებულები უნდა ვიყოთ, თუმცა, სამწესაროდ, ამის ნიშნები მაინცდა-მაინც არ გვეტყობა.

ჩვენი საზოგადოების დიდი ნანილი უწიგნურია, ამ სიტყვის პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით. პირდაპირ მნიშვნელობაში ვგუ-

ლისხმობ, რომ წიგნი ხელში არ უჭირავს, ირიბ მნიშვნელობაში კი ფაქტს – საკმაოდ ღრმად არიან დარწმუნებული, რომ იციან, ვინ არის მტყუანი, ვინ დამნაშავე... როცა ადამიანი დარწმუნებულია, რომ ეს იცის, ნათელია – იგი გაუნათლებელი, ბნელია. შეუძლებელია განათლებულმა და მხატვრულ ლიტერატურაზე გაზრდილმა ადამიანმა ზუსტად იცოდეს, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. მას უნდა ჰქონდეს მთავარი ინტელექტუალური ლირებულება – ეჭვი, სკეფსისი, კითხვები. ხოლო, როცა კაცმა მყარად იცის, რომ A არის A და B არის B, ჩვენ წინაშეა მსატოდონტი, გარკვეული გაგებით ურჩხული, დრაკონი. მან იცის, რომ ადამიანი უნდა იყოს ქართველი – არ შეიძლება ადამიანი იყოს სომეხი; ქართველი ადამიანი უნდა იყოს მართლმადიდებელი – არ შეიძლება ქართველი ადამიანი იყოს კათოლიკე, კირისტი ხომ საერთოდ! იმაზე არაფერს ვიტყვით, რომ „სწორი“ ორიენტაცია უნდა ჰქონდეს. აუცილებლად უნდა იყოს მეოჯახე, მისთვის დაუოჯახებლობაც კი სერიოზული ცოდვაა, უშეილობაზე დიდ უბედურება კი არ არსებობს. მოკლედ გამოდის, რომ გალაკტიონმა, ილია ჭავჭავაძემ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და შესაძლოა მოთა რუსთაველმაც ტყუილად გააცდინეს დრო დედამინაზე.

ისეთი ხალხიც ვიცი, რომელიც კითხულობს, თუმცა აზრი არ ან ვერ გამოაქვს. ეს ადამიანები იბნევიან, როგორც კი ცხოვრებაში პირობითობას წააწყებიან. თუ გახსოვთ, მარტინ იდენი იმის გამო ლელავდა, რომ ოპერაში ასაკოვან და ჭარბონიან ადამიანებს შეხვდა, არა ისეთებს, როგორებიც „უნდა“ ყოფილიყვნენ.

რა თქმა უნდა, მხატვრული ლიტერატურის გარეშე შეიძლება ცხოვრება, წარმატების მიღწევაც, მაგრამ მხატვრული ლიტერატურის საფუძვლის გარეშე თითოეული წარუმატებლობა ადამიანისთვის კრახის ტოლფასია.

ჩვეულებრივ, ადამიანისთვის წარუმატებლობა დაახსლებით იმას ჰგავს, გამარჯვება და დამარცხება და-ძმანი რომ არიან – ხან გაიმარჯვებ, ხან დამარცხდები. უწიგნური ადამიანისთვის, მხატვრულად უვარვაშებელი გონებისთვის, პირველივე წაფორხილება უკანასკნელი შეიძლება აღმოჩნდეს, მან შეიძლება წარმოიდგინოს, რომ სამყარო თავზე დაექცა.

საკმაოდ ხშირად ლიტერატურას მომხმარებლის კუთხიდან ვუდგებით, ანუ ვცდილობთ, რომ ის ცოტა, რაც წაგვიკითხავს, რაც შეიძლება ძვირად გავასალოთ. ასეთ ადამიანებს

■ შეუძლებელია  
განათლებულმა და  
მხატვრულ ლიტერა-  
ტურაზე გაზრდილმა  
ადამიანმა ზუსტად  
იცოდეს, ვინ არის მარ-  
თალი და ვინ მტყუანი.

მას უნდა ჰქონდეს  
მთავარი ინტელექტუ-  
ალური ლირებულება –  
ეჭვი, სკეფსისი, კითხვე-  
ბი. ხოლო, როცა კაცმა

მყარად იცის, რომ A  
არის A და B არის B,  
ჩვენ წინაშეა მასატო-  
დონტი, გარკვეული  
გაგებით ურჩხული,  
დრაკონი. მან იცის,

რომ ადამიანი უნდა  
იყოს ქართველი - არ  
შეიძლება ადამიანი  
იყოს სომეხი; ქართვე-

ლი ადამიანი უნდა  
იყოს მართლმადიდებე-  
ლი - არ შეიძლება ქარ-  
თველი ადამიანი იყოს  
კათოლიკე, კირისნაიტი  
ხომ საერთოდ!

# გთავარი თემა

■ **საკმაოდ ხშირად ლიტერატურას მომხმარებლის კუთხიდან ვუდგებით, ანუ ვცდილობთ, რომ ის ცოტა, რაც წაგვიკითხავს, რაც შეიძლება ძვირად გავასალოთ. ასეთ ადამიანებს იოლად იცნობთ, ისინი მუდმივად ციტირებენ. მათ ჰქონიათ, რომ ლიტერატურაში მთავარია „დაასტუკო“, ანუ ადგილზე მიხვიდე და თქვა – მე აქ ვიყავო. ეს ის ხალხია, რომელიც ათენში აკროპოლისზე წარნერის გაკეთებას შეეცდება, რომ პირობითად – „აქ იყო ვანო“. ბერძნები ასეთ რამეს არ გაგაკეთებინებენ, თუმცა ბავრაზე ან სხვაგან ისინი ამას აკეთებენ.**

„მე აქ ვიყავო“ ლიტერატურაში საკმარისი არ არის, თუმცა პირველი ნაბიჯია. ჩვენ ვიცით მისი დამათობელი ძალა. ფაქტია, რომ ლიტერატურაზე „შეჯდომაც“ ხდება და გარკვეული გაგებით იგი მოქმედებს როგორც ნარკოტიკი, კეთილი ნარკოტიკი, რომელიც ცდილობს გაგანათლოს და გასწავლოს უპირველეს ყოვლისა ის, რომ ყოველთვის მართალი არ ხარ, რომ სხვაც ადამიანია.

ზოგიერთებს უჭირთ წარმოიდგინონ, რომ რომელიმე კულტურაში ვიღაცას ჩვენსავით უყვარს შეილი. ლიტერატურა გვეხმარება გავიგოთ, როგორია ის სხვა. ლიტერატურა გვეხმარება გავიგოთ, რომ პურს ჭამ თუ ბრინჯას, მანც ერთ მოდგმას ეკუთვნი. რად გინდათ მსოფლიოს მოვლა, ყველაფერი აქაო, გვითხრა ლაო ძიმ. ეს ის კაცია, რომელმაც თქვა, რომ ათასი ლის მანძილი ერთი ნაბიჯით იწყება. ლიტერატურა სწორი მიმართულებით გადადგმული სწორედ ეს ერთი ნაბიჯია.

ლიტერატურის ძალა ის გახლავთ, რომ მხოლოდ სიტყვებში არსებულ უძრავ პერსონაჟს ადამიანი გულში უშვებს და მათ მატერიალურებას ახდენს. ჩვენ ვამთავრებთ ლიტერატურას, კულტურის იმ სახეობას, რომელიც მზა ფორმით არ არსებობს. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ყველაფერი, რასაც ვკითხულობთ. სწორედ ადამიანები ვემნით ხელოვნურ, ვირტუალურ სამყაროს, რომელიც გაცილებით მყარი, გაცილებით ნამდვილია, ვიდრე, ენ. რეალისტური სამყარო. მაგალითად, როდესაც კაფუანერს, რომ იოსეფ კ. დააპატიმრეს და ნანარმოების მიხედვით ვერ ვიგებთ, რას ერჩოდნენ, რას ემართლებოდნენ, რისთვის მოკლეს – ეს უფრო ნამდვილი და შემზარავი ამბავია, ვიდრე გაზიერში გამოქვეყნებული ქრონიკა, სადაც ახსნილია ვინ, როდის და რატომ მოკლეს.

არაფერს აქვს განმანათლებლობის ისეთი უნარი, როგორიც ლიტერატურას. დარწმუნებული ვარ, ვერასდროს ვერავინ მოშლილა და ფრანგებში გილიოტინას, რომ არა ალბერ კამიუ, ადამიანი, რომელმაც დაწერა „ამბოხებული კაცი“, „უცხო“ და მთელი ცხოვრება მხატვრული სახეებით სიკვდილით დასჯის წი-

იოლად იცნობთ, ისინი მუდმივად ციტირებენ. მათ ჰქონიათ, რომ ლიტერატურაში მთავარია „დაასტუკო“, ანუ ადგილზე მიხვიდე და თქვა – მე აქ ვიყავო. ეს ის ხალხია, რომელიც ათენში აკროპოლისზე წარნერის გაკეთებას შეეცდება, რომ პირობითად – „აქ იყო ვანო“. ბერძნები ასეთ რამეს არ გაგაკეთებინებენ, თუმცა ბავრაზე ან სხვაგან ისინი ამას აკეთებენ.

„მე აქ ვიყავო“ ლიტერატურაში საკმარისი არ არის, თუმცა პირველი ნაბიჯია. ჩვენ ვიცით მისი დამათობელი ძალა. ფაქტია, რომ ლიტერატურაზე „შეჯდომაც“ ხდება და გარკვეული გაგებით იგი მოქმედებს როგორც ნარკოტიკი, კეთილი ნარკოტიკი, რომელიც ცდილობს გაგანათლოს და გასწავლოს უპირველეს ყოვლისა ის, რომ ყოველთვის მართალი არ ხარ, რომ სხვაც ადამიანია.

ზოგიერთებს უჭირთ წარმოიდგინონ, რომ რომელიმე კულტურაში ვიღაცას ჩვენსავით უყვარს შეილი. ლიტერატურა გვეხმარება გავიგოთ, როგორია ის სხვა. ლიტერატურა გვეხმარება გავიგოთ, რომ პურს ჭამ თუ ბრინჯას, მანც ერთ მოდგმას ეკუთვნი. რად გინდათ მსოფლიოს მოვლა, ყველაფერი აქაო, გვითხრა ლაო ძიმ. ეს ის კაცია, რომელმაც თქვა, რომ ათასი ლის მანძილი ერთი ნაბიჯით იწყება. ლიტერატურა სწორი მიმართულებით გადადგმული სწორედ ეს ერთი ნაბიჯია.

ლიტერატურის ძალა ის გახლავთ, რომ მხოლოდ სიტყვებში არსებულ უძრავ პერსონაჟს ადამიანი გულში უშვებს და მათ მატერიალურებას ახდენს. ჩვენ ვამთავრებთ ლიტერატურას, კულტურის იმ სახეობას, რომელიც მზა ფორმით არ არსებობს. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ყველაფერი, რასაც ვკითხულობთ. სწორედ ადამიანები ვემნით ხელოვნურ, ვირტუალურ სამყაროს, რომელიც გაცილებით მყარი, გაცილებით ნამდვილია, ვიდრე, ენ. რეალისტური სამყარო. მაგალითად, როდესაც კაფუანერს, რომ იოსეფ კ. დააპატიმრეს და ნანარმოების მიხედვით ვერ ვიგებთ, რას ერჩოდნენ, რას ემართლებოდნენ, რისთვის მოკლეს – ეს უფრო ნამდვილი და შემზარავი ამბავია, ვიდრე გაზიერში გამოქვეყნებული ქრონიკა, სადაც ახსნილია ვინ, როდის და რატომ მოკლეს.

არაფერს აქვს განმანათლებლობის ისეთი უნარი, როგორიც ლიტერატურას. დარწმუნებული ვარ, ვერასდროს ვერავინ მოშლილა და ფრანგებში გილიოტინას, რომ არა ალბერ კამიუ, ადამიანი, რომელმაც დაწერა „ამბოხებული კაცი“, „უცხო“ და მთელი ცხოვრება მხატვრული სახეებით სიკვდილით დასჯის წი-

ნაალმდეგ ბრძოლას მიუძღვნა. ეს იმ ფონზე, რომ სამარცხებინდ გვიან, რეფერენციებზე, სათანაბერის მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ მეტმა მშვიდობიანობის დროს სიკვდილით დასჯის აკრძალვას დაუჭირა მხარი.

დღესდღეობით ევროპის კონტინენტის 48 ქვეყნიდან არცერთში არ არის სიკვდილით დასჯა. ამ ყველაფორის სათავე და საფუძვლი კი ლიტერატურაა. ეს ამბავი ვიქტორ პიუვომ ნამოინც, რომელმაც დაწერა „სიკვდილის ერთი დღე“. შემდეგ სტენდალმა „ნითელი და შავით“ სიკვდილით დასჯაზე მსოფლიო სერიოზულად დააფიქრა, როცა გამოავლინა მექანიზმები, ვინ, რისთვის და ვის კლავს. ეს მექანიზმები ლიტერატურული იდეალის პიკზე აიყვანა კამიუმ. მის „უცხოში“ ადამიანს კლავენ მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ისე არ დაიტირა, როგორც საზოგადოებას მოწონებოდა. მკვდარი დედის პატრონი საყვარელ ქალთან ერთად ზღვაშიც შევიდა, ფილმსაც უყურა. ხომ წარმოგიდნენიათ საზოგადოება როგორ გაღიზიანდა?! ამის შემდეგ არავინ იხსენებს, რატომ მოხდა მკვდელობა, მოწმებადაც ის ადამიანები გამოიძახეს, რომლებიც კიცხავდნენ – კუბი არ გადასხდევინა, მკვდარ დედას არ დახედა და ემოციები ისე არ გამოხატა, როგორც საჭირო იყო. კამიუმ გვითხრა, რომ ჩვენ განსხვავებულებს ვერჩით, ამ განსხვავებულობის მთვარი იდეა კი ქრისტეა. იგივე აზრი მანამდე დოსტოევსკიმ „დიდ ინკვიზიტორში“ გამოთქვა. მისმა პერსონაჟება, ივანე კარამაზოვმა დაწერა პოემა, სადაც გვითხრა, რომ თუკი დედამინაზე ქრისტე გამოწინდება თავისი არსით – სიკეთით, სიკვდილის დამარცხებით და სხვა, დედამინა იზრუნებს იმაზე, რომ იგი კოცონტენტ დაწვას და საერთოდაც, მას ჩვენთან არაფერი ესაქმება.

რა თქმა უნდა, არსებობენ საზოგადოების, რომლებიც არ კითხულობენ, თუმცა არსებობენ საზოგადოებები, რომლებიც აგვინებენ განვითარებას. განვითარების დაგვიანება ნიშნავს, რომ ან ეკონომიკურად ხარ ჩამორჩენილი, ან სულიერად, ან უარესი – ეკონომიკურადაც. ასეთ დროს გერმენება, რომ შენ ხარ ვუღლიზე მაღალი სულიერების მქონე. ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც „ვეფხისტეობასანთან“ ერთად „ქართველი ერის სულიერი მისა“ აქვს დაწერილი. ეს იმ დროს, როგორც უარესი ხალხი ერთობენ და რატომ მოკლეს. სულიერი მისა და რა მაღალით მივეცით მსოფლიოს, ეს გასაგებია.

შის თქმა მინდა, რომ განათლების გარკვეული დეფიციტი ყოველთვის აჩენს საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულობის განცდას და ეს კველაზე საშიშია. ჩენი საზოგადოების დიდი ნწილი, რომელსაც წიგნებთან ახლოს არც კი გაუვლია, დარწმუნებულია, რომ ზუსტად იცის, როგორ უნდა იყოს სამყარო მოწყობილი, ვინ არის მართალი და ვინ – მტყუანი, ვის რა უნდა ეცვას, რას უნდა ფიქრობდეს, ვინ რომელ საათზე რომელ ლოცვას უნდა ამბობდეს. ამაში ისევე ღრმად არიან დარწმუნებული, როგორც მავანი, რომ მათი ცოლები „დეკოლტეს“ ვერ ჩაიცვამენ. მინდა ყველა გავაფრთხილო – ცოლს გააჩნია! შეიძლება ცოლი უკვე კითხულობს ლიტერატურას, და არაერთ ცოლს ჩაითრევია ქმარი ამ საქმეში. ეს ოჯახის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფუნქციაა.

ასლოუტურად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს გარკვეული პროგრამა უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში წიგნერების მაჩვენებელი გაიზარდოს. ეს არ ნიშნავს კონკრეტული მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეს იშნავს ქართველი ხალხის გადარჩენას. წიგნების კითხვას ბეჭინერება არ მოაქვს. წიგნების კითხვას მოაქვს საქუთარი თავის წესება და, როგორც წესი, მეოთხეული კაცი თავს არ იკლავს, კრიტიკულ მომენტში ცდილობს იმოქმედოს. ესაა საბოლოო შედეგი. განვითარებული, განათლებული კაცი ოდნავ უფრო უშიშარი ხდება და იგი შეადაა განსაცდელისთვის, განსაცდელი კი კულტურასთან მიდის. ფოლვნერი ამბობდა, წიგნერი კაცი გაუძლებს და არა მარტო გაუძლებს, არამედ გადარჩება. ძალიან მნიშვნელოვნი ფორმულაა და არ ვიცი დაუვერებს თუ არა ქართველი ხალხი მას, მაგრამ რუსთაველს მაინც დაუჯეროს, მის სიბრძნეს: „სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის ნამისად“ და „შემი ვერ ისნის სიკვდილსა, ცუდია დალრევილობა“. ეს ბრწყინვალე ფორმულები ლიტერატურამ გვაჩუქრა. რუსთაველი გვიხსნის, რომ კი ბატონო, გეძინია, მაგრამ ამ შიშის აზრი არა აქვს! ლიტერატურა დალრევილობის წამალი, სიცოცხლის ძირითადი. საფუძველი და ამ სიცოცხლეში შიშის დაძლევის მთავარი იარაღია.

ფილოსოფიურად, ლიტერატურა გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ხელოვნების რომელიმე სხვა დარგი. თუმცა ხელოვნების თითოეული დარგი, რა თქმა უნდა, ადამიანის გაუმჯობესებას ემსახურება. ლიტერატურამ მოახერხა და დღესაც ახერხებს ადამიანში იმაზე მეტის

პოვნას, ვიდრე თავად ადამიანია. ერთხელ პოლ ვალერიმ თქვა – ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ უცდია ლმერთებს დამსგავსებოდა, უფრო ნაკლებია, ვიდრე ადამიანიო. აუცილებელი არ არის, ყველასგან ზეკაცი დადგეს, მაგრამ ადამიანი უნდა ცდილობდეს მასთან მიმსგავსებას და ამის ერთადერთი საშუალება ლიტერატურაა.

უნიგნური კაცი შეის ვერ ხედავს. ლაო ძის სიტყვებია – ვნებებისგან თავისუფალი და ვნებებით სავსე ადამიანი – ორივე ადამიანია. ვნებებისგან თავისუფალი ხედავს საგანს, არსს, ხოლო ვნებებით შეპყრობილი – მხოლოდ კონტურებს. ამ თავისუფლებას კი მხატვრული განათლება იძლევა. ილია ჭავჭავაძემ აღნიშნული აზრი ასე გამოთქვა – „უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“.

ზოგჯერ ამბობენ, რომ – მოუმზადებლად კითხვაც არ ვარგა; ძალიან აღრე დაინყო ნიცვეს კითხვაო და სხვა. ეს ყველაფერი სისულელეა, ნერა-ჟითხვის დრო ყოველთვის არის. მარტო მარსელ პრუსტის ამბავი რად ლირს?! ამიტომ ნურავინ მეტყვის, რომ კითხვა ან ნერა დაგვიანებულია. გოთეს 80 წლის ასაკისთვის რომ არ გადაებიჯვებინა, ფაუსტის მეორე ნაწილი არ გვექნებოდა და ამ შემთხვევაში ვერც პირველი ნაწილის არსს გავიგებდით.

ლიტერატურაზე საუბრისას გამუდმებით უნდა გვახსოვდეს, რომ ის სიცოცხლის ფუნქციაა. ის ადამიანს მეტად შემწყნარებლად გახდომის შანსს აძლევს. არ ვაბობ, რომ ლიტერატურას ნაკითხავ და ლიბერალი გახდები. ამაზე არ ესაუბრობ. უბრალოდ არ მჯერა, რომ უკიდურესად მემარჯვენე იდეოლოგიის ყველა ადამიანს შეუძლია ბავშვები გაზის კამერაში შეყაროს. არ მჯერა და ნამდვილად ვიცი, რომ ასე არაა, რადგან არსებობს სტატისტიკა – ჯალათებს უფრო ოპერა უყვარდათ.

მოგეხსენებათ, როდესაც ჰიტლერს რაინცარდ ჰიადურის მკლელობის ამბავი ამცნეს, ფიურერი თავის საყარელ ვაგნერს, კერძოდ, „ტრისტანისა და იზოლდას“ ფინალს უსმენდა. წარმოიდგინეთ, ჰიტლერი განიცდის მელოდიას, ტირის და იმ დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც ჰაიდრინის მკვლელობის გამო 1000 ჩეხი უნდა დაიხვრიტოს, ერთ ნულს ამატებს და ისე ანერს ხელს. მუსიკას არ აღმოაჩნდა ის ძალა, რაც ლიტერატურას აქვს, ლიტერატურას სხვაგვარადაა აგებული. ამბობენ, ჯალათებს ოპერა უყვართო, თუმცა გამონაკლისებიც არის – ამხანაგ სტალინს ლიტერატურა ერჩივნა. 

**■ განათლების გარკვეული დეფიციტი ყოველთვის აჩენს საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულობის განცდას და ეს ყველაზე საშიშია. ჩენი საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელსაც ნიგნებთან ახლოს არც კი გაუვლია, დარწმუნებულია, რომ ზუსტად იცის, როგორ უნდა იყოს სამყარო მოწყობილი, ვინ არის მართალი და ვინ – მტყუანი, რას უნდა ფიქრობდეს, ვინ რომელ საათზე რომელ ლოცვას უნდა ამბობდეს.**



## საინიციატივო ბაზევის ტაიპი

ნალექს ცენტრიდან  
მოშორებით, ყოფილი  
რაომინდლი სააგანგმოფოს  
ძველ შენობაში, სადაც  
ადამიანებს უკვე  
რამდენიმე წელია აღარ  
მკურნალობენ, უსახლეაროდ  
დარჩენილი ოჯახები  
არიან შესახლებული.  
ოთხსართულიანი  
ნაცრისფერი შენობის  
ფანჯრების ნანიღვად შუშების  
ნაცვლად პოლიტოლენის  
პიტბის გაზინდული ერთ,  
ორ, სამ ფუნად. ნალექში  
მკაფიო ზამთარი იცის.  
ოჯახებმა ერთი ასეთი  
ზამთარი აქ უკვე გაატარეს,  
უფანჯროდ და უშეუტიდ.  
ელექტრომინიმრაგბას  
დღემდე ელოდებიან,  
ელოდებიან საცხოვრებელი  
პირისებრის გაუმჯობესებასაც,  
ზოგი კი სულაც ახალ ბინას.



ეკა მაღალდაძე

ყოფილი საავადმყოფოს შენობა თავშე-საფრად მას შემდეგ იქცა, რაც ათეულობით ოჯახი გასულ წელს კიდევ ერთხელ დარჩა უსახლვაროდ. წალკის რაოთის 24 ყოფილ ბერძნულ სოფელში, მიტოვებულ სახლებში ადამიანები 20-30 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სახლდებოდნენ. სახლების უმეტესობა ეთნიკურად ბერძენ მოსახლეობას ეკუთვნოდა. 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაქნისში ბინების მესაკუთრე ბერძნები საქართველოს მასობრივად ტოვებდნენ. სტიქით დაზარალებულ ადამიანებს ხელისუფლებამ საცხოვრებლად სწორედ მათი სახლები შესთავაზა. ზოგიერთი იმასაც ისხენებს, რომ აქ ჩამოსახლებულებმა რამდენიმე დღე სახლების მესაკუთრეებთან ერთადაც გაატარეს. ზოგმა პირობა მიიღო, რომ სახლი სამუდამოდ მათი იქნებოდა, თუმცა მხოლოდ სიტყვიერად, ზუსტად ისე, როგორც ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება პირდებოდა – რომ წალკაში მშენდება იცხოვრებდნენ, ნაყოფიერ მინას დაამუშავებდნენ და აქედან არასადროს არავინ გაყრიდათ.

თუმცა მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც ბერძნებმა საკუთარ სახლებში დაბრუნება დაიწყეს. ჯერ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაბრუნდა, ბოლო წლებში კი ასიმით სახლს დაუბრუნდა მეპატრონები. იქ შესახლებულ ადამიანებს სახლების დაცლა მოუხდათ. ნანილი „ოცნების ქალაქში“ ნაგებ ფიცრულებში გადაბარგდა, ნანილმა ჯერ ისევ უპატრონოდ დარჩენილი სხვა სახლი მოძებნა, ნანილი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობებში შესახლდა. წალკის ყოფილი რაიონული საავადმყოფო ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც დერეფნებში გამომავალი ყოფილი პალატების კარების უმეტესობას შავი ფლომასტრით აწერია – „დაკავებულია“.

## შუგანა

შემანა შანიძის ოჯახი საავადმყოფოს პირველ სართულზე ორ ოთახშია შესახლებული. ეს უკვე მეხუთე ადგილია, სადაც აჭარიდან წამოსვლის შემდეგ ცხოვრობს. მისი ნამდვილი სახლი 2005 წელს ხულოში, სოფელ ტაბამელაში მეწყერსაშიშ ზონაში მოჰყვა. ამბობს, რომ ყოველ წამს მეწყრის ჩამონილას ელოდებოდნენ. ამ დროს კი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ტელევიზიით გაკეთებული მოწოდებებითაც და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც გაიგო, რომ „წალკაში ყველაფერი იყო, რაც დასჭირდებოდათ“. მეუღლესთან, დედამთილ-მამამთილთან და ორ შვილთან ერთად ჩამოვიდა.

„აქ ყველაფერი უკეთესად უნდა ყოფილიყო, ასე ამბობდნენ. ჩვენთანაც ამოვიდნენ, გვითხრეს, გვეგონა ბინებს შეგვისყიდდნენ. ყველა საჭირო ცნობა გვქონდა. ჩამოვედით, მაგრამ მოტყუებულები დავრჩით“.

სოფელ ავრანლოში ბერძნების მიტოვებული სახლის დაცლა რამდენიმე წელინაში მოუხდა. პატრონი დაბრუნდა. შემდეგ სხვაგან შესახლდა. წელინადნახევარში იმ სახლის პატრონმა ქირა მოითხოვა. ვერ გადახადეს, კიდევ სხვაგან გადასახლდნენ. ბოლო სახლის პატრონმაც გარკვეული ხნის შემდეგ ქირა მოითხოვა, თვეში 100 ლარი. ოქტომბრის პირველ რიცხვში კი ლამე უკვე ყოფილი საავადმყოფოს შენობაში გაათენეს.

სახლისა და შემოგარენი მინის ექსპერტული შეფასების დასკვნები შემანას მეუღლებმ ხულოს რაიონის გამგეობიდან აიღო, გასულ წელს კი დეენილთა სამინისტროშიც ჩაიტანა. ბოლოს სამინისტროში ორი წლის წინ იყო, უთხრეს, რომ ოჯახი ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა და როგორც ეკომიგრანტს, სამინისტრო შეუსყიდვიდა სახლს.

„შეარჩიეთ 2-3 სახლი, რომლის დოკუმენტაციაც წესრიგში იქნება და შემდეგ ჩვენ ვიყიდითო. ავარჩიეთ, მოვიდნენ სამინისტროდან, მაგრამ ბერძნები ფასებს მაღლა სწევენ, 20-30 ათასი დააფასეს. კომისიის წევრებმა უარი გვითხრეს, ამდენს ვერ გავწვდებითო. ამაზე წაკლებად კი სახლი ჩვენ ვერ ვნახეთ. წასულისას

ვკითხეთ, რა გვეშველებოდა, სხვა რა უნდა გვექნა, რა გვეცადა, არ ვიციო, გვითხრეს“. უფრო ნაკლებ ფასად წალკაში სახლი ვერ წახეს, სხვაგან კი ვრცელდებოდა.

მეუღლე BP-ის დაცვაში მუშაობს. მისი ოჯახი ერთ-ერთია იმ ორი ოჯახიდან, ვისაც საავადმყოფოში მცხოვრებთაგან ტელევიზორი აქვს. საწვავისთვის მეზობლები ფულს აგროვებენ, საღამობით კი „ტელევიზორიანებათან“ იკრიბებან და საინფორმაციო გამოშვებებს ან სხვა გადაცემებს უცურუბენ, 2-3 საათით, მობილურ ტელეფონებს ტენიან.

შემანას უცროსი შვილი მეექტულაშია, უფროსი – მეთერთმეტეში. დედა ამბობს, რომ ბავშვებს გამუდმებით საცხოვრებლის შეცვლა უჭირთ, მაგრამ მაინც ერვევიან, თუმცა ზამთრის სიცივეს „ცელოფანაკულული“ ფანჯრებით შეხვდნენ. გამგეობამ თითო ოჯახს ზამთრისთვის 5 ლიტრი „სალიარკა“ აჩუქს.

საავადმყოფოს სიახლოეს 300-300 მეტრი მინის ნაკვეთები გაიყვენს, მაგრამ შემანას ოჯახს მინა ჯერ არ დაუმუშვებია, ამის არც საშუალება აქვს და არც ამინდმა შეუწყო ხელი.

ამბობს, რომ სტიქიის მოლოდინის გარდა, ყველაფერს გაუძლებდა, აჭარაში სახლში დაბრუნება რომ შეეძლოს.

„თქვენ არ იცით, რა ძნელია ყველურის შიშიში ცხოვრება, იმის შიშიში, რომ მინა დაიძრება. ეს რომ არა, დაბრუნებაზეც კი ვიფიქრებდი. ამაზე უარესი მხოლოდ ის არის, რომ მოსალოდნელ სტიქიას წინ ვერაფრით აღუდები. თორებ მინის სიმცირე, უმშევერობა და გაჭირვება არც იქ გვაკლადა“, – ისხენებს ხულოში ცხოვრების წლებს შემნა. უახლოეს მომავალში კი მხოლოდ ელექტროენერგიის ჩართვას ელოდება.

## რაინდი

17 წლის რაინდი კახაძე მეთერთმეტე კლასშია და წელს სკოლაში იოხი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. ყველაზე მეტად ფიზიკის გამოცდის გამო ღელავს. რომ შეეძლოს, ინტერნეტში განთავსებული ტესტებით ივარჯიშებდა, მაგრამ ყოფილ საავადმყოფოს იოხი კომპიუტერი აქვს და არც შუქი. ძელი ელექტროენერგიას მოშლილია და მომარაგებაც



ბერძენი მოსახლის ბინის დატოვება ორი თვის ნინ, მოულოდნელად მოუხდათ, ერთადერთი თავშეფარი ყოფილი საავადმყოფოს შენობა იყო.

შეწყვეტილი. რამდენიმე თვის განმავლობაში მიღებული დაპირებების მიუხედავად, ამ დროიდე შენობაში ელექტრომომარაგება ჯერაც არაა აღდგნილი.

„როცა ინტერნეტი ყველაზე მეტად დამჭირდა, მაშინ მოვწყდი ყველაფერს. ამ პირობებში გამოცდებისთვის მომზადება აღბათ ძალაან გამიჭირდება, მაგრამ საბოლოოდ უმაღლესშიც ვაპირებ ჩაბარებას, ბიზნესის მართვას ვისავლი. ძლიერი სკოლა გვაქვს. რეგიონისთვის განკუთვნილი 13 საგრანტო ადგილიდან 4 წელს ჩვენმა სკოლამ აიღო. არ მინდა, რომ მომავალში ისევ ასეთ პირობებში მომიხდეს ცხოვრება“. რაინდის თბილისში უნდა წასვლა, „იქ მეტი ჰერსპექტივა“.

## ნათელა

ნათელა დეკანაძის ოჯახი ხულოდან, სოფელი ქედლებიდან ზვავის საშიშროებას გამოექცა. მეცამეტე წელია წალკაში ცხოვრობს. გასულ წლამდე სოფელ ტბეთში, ეთნიკურად ბერძენი მოსახლის სახლში ცხოვრობდა.

„აյ გადმოსულს წასვლისას დამიბარა, ოღონდ ჩემი შვილის სავალავს მიხედე და არასდროს არც არაფერს მოგთხოვ და არც სახლს დაგატოვებინებო, მაგრამ რამდენიმე თვის წინ დაპრუნდა და სახლის დაცლაც მოგვიხდა“, – ჰყვება ნათელა. წალკაში ცარიელი სახლი იპოვა და იქ გადასახლდა, მაგრამ მალე მეპატრონის ნათესავებმა იმის დაცლაც მოსთხოვეს. უკვე ორი თვეა ოჯახის ხუთი წევრი ყოფილი საავადმყოფოს შენობაშია შესახლებული.

ოჯახის არცერთი წევრი მუდმივად არ მუშაობს. ერთი შეილი სამეგრელოში ცხოვრობს, გოგონები ქმრებთან გადავიდნენ, უფროსი ვაჟი კი ცოლთან, 6 თვის შვილთან და მშობლებთან ერთად ყოფილ პალატებშია დაბინავებული. დროდადრო, ჩას კრეფის სეზონზე სამუშაოდ თურქეთში მიდის. სოციალური დახმარება არ აქვთ, უახლოეს დღეებში ნათელას პირველ პენსიას ელოდებიან.

ამბობს, რომ მისი ოჯახის მდგომარეობა არასდროს შეუფასებიათ, როგორც ეკომიგრანტი იჯახს არც არანაირ დამარება მიუღია იღესმე. ერთადერთი, რასაც ახლა ელოდება, ისაა, რომ ყოფილი საავადმყოფოს შენობაში შეუქი ჩართონ.

## პოტე

ნალკის რაიონის სოფელ ტბეთში, ტბის პირას მდგარი ერთსართულიანი სახლის ირგვლივ მინა ახალი მოხნულია. სახლის ფანჯრების ნანილს შუშები არ აქვს, ნანილი პოლიეთილურის პარკებითა დაფარული. კოტე მიქელაძის ოჯახი აქ ხუთ წელზე მეტია ცხოვრობს. მათი წამდვილი სახლი ხულოში, სოფელ დანისპარაულში 22 წლის წინ დაიმერწია. სხვა დაზარალებულებთან ერთად ადიგენში, კახეთში გადასახლებული ოჯახების სახლებში გადასახლებულება. 2-3 წელინადში ბერძნების მსგავსად, ისინიც საუკუთარ სახლებს დაუბრუნდნენ, ეკომიგრანტებს კიდევ ერთხელ მოუხდათ საცხოვრებლის შეცვლა:

„მერე გვითხრეს, წალკაში წადითო, აქ ჩამოსულებისთვის სახლები უნდა ეყიდათ. საბუთები, რომლებშიც ეწერა, რომ სახლი ეროზიულ ზონაში იყო და დაიმერწია, ხულოში ჩავაბარე, მათ უნდა გადაეგზავნათ თბილისში. წლების შემდეგ ხულოში ჩასულ მითხრეს თბილისში, სამინისტროში გავგზავნეთ ეს საბუთებით. სამინისტროში მიპასუხეს, საბუთებს რომ მივიღებთ, დაგიკავშირდებითო“.

წალკაში ჩამოსული ჯერ სოფელ გუმბათში დასახლდა, შეძლევ განთიადში გადავიდა, მიტოვებულ ბარაკებშიც ცხოვრობდა, მერე ბერძნების მიტოვებულ სახლში შეუშვა მეპატრონის ნათესავმა, მერე იქიდანაც წამოვიდა და ტბეთში დასახლდა. ტბის პირა სახლში ცხოვრებისთვის მეპატრონებს წელინადში 300\$-ს უზდის. მაგრამ ამისთვის მთელი წლის განმავლობაში მიღებული სოციალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დის პენსიის მოგროვება უწევთ. ეს თანხა თვეში 250 ლარს არ აღმატება.

ოჯახი დიდია: კოტე, მისი მეუღლე, და, ვაჟი, რძალი და 4 შვილიშვილი. ბიჭს სეზონურად თურქეთში უნდოდა სამუშაოდ წასვლა, მაგრამ მაშინ იჯახი სოციალურ დახმარებას დაკარგავდა, ამიტომ ახლა სამუშაოს ფოთას და ბათუმში ეძებს. მანამდე წალკაში კოტე ცდილობს ოჯახის შენახვას. „ცხენი მყავს, ხან ტვირთი გადამაქეს, ხან კვლებს ვაკეთებ, ხან ბარგაში ვეხმარები სხვებს, ფულს ვაგროვებ“. კოტესთან სახლში მისი მდგომარეობის

შესაფასებლად ან როგორც ეკომიგრანტთან, არასდროს არცერთი სახელმწიფო სტრუქტურიდან არ მისულან. სახლის მეპატრონები 20 წელია საქართველოში არ ჩამოსულა, მაგრამ ცოტა ხნის წინ შემოუთვალეს, გაისად ჩევნოც ჩამოვალოთ.

ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, წალკის ცენტრისა თუ სხვა სოფელებში უსახლეარო სხვა ოჯახიც ბევრია.

გურამ ირემაძე ხულოდან მცირებინიანობის გამო ადიგენში გადასახლდა, საბოლოოდ წალკის ყოფილ საავადმყოფოს შენობაში აღმოჩნდა. ჯემალ ჭელიძეს სამი შვილი და ათი შვილიშვილი ჰყავს, მძიმე ეკონომიკურ-სოციალური პირობების გამო წალკაში ჩამოსახლდა. ამბობს, რომ ეს ტელევიზიონით პრეზიდენტ საავადმყოფის მონოდების მოსმენის შემდეგ გააკეთა. ჩოხატაურის სახლიც გაყიდვა და უსახლეაროდ დარჩა. ქეთო დავთახ თაძე შუახევში სტიქით დაზარალდა, ქობულებთში ბინაში 6 შვილთან ერთად შესახლებს, მაგრამ შემოსავლის არანაირი წყარო რომ არ ჰქონდა, წალკაში გადმოსახლდა. აქ მინას ამუშავებდა. ახლა კი ყოფილი საავადმყოფოს შენობაშია, სამი მცირებლოვანი ბავშვისთვის განკუთვნილი დახმარება 300 ლარს აღწევს. იციან, რომ ეკომიგრანტებისთვის განკუთვნილ ბინებს ვერ მიიღებენ, მაგრამ სახელმწიფოსა უსულ მცირე საავადმყოფოში დარჩენის უფლებას და ელექტროენერგიის ჩართვას ითხოვენ.

ყოფილი საავადმყოფოს შენობა ვერ ნომიერის სამინისტროს ბალანსზეა, ამიტომ ათთვის უშეუბობის შემდეგაც გამგებელი, „ენერგოპრო ჯორჯია“ და მოსახლეები პასუხს თბილისიდან ელით.

„ამ თანხმობას ალბათ სულ მალე მივიღეთ. თან გაყიძილობა მწყობრიდანა გამოსული. გარდა ამისა, მოსახლეობა იქ უკანონოდა შექრილი და ესეც ისე უნდა მოვაკიროთ, რომ კანონი არ დაკარგვით“, – ამბობს გამგებელი. რამდენი ეკომიგრანტი თვეში რაიონში, ზუსტად არ იცის, ამბობს, რომ ამით სამინისტრო დაკარგებული მანამდე კი ნაცონაში დის მეშვეობით სხვებს თბილისიდან ელით. „ამ თანხმობას ალბათ სულ მალე მივიღეთ. თან გაყიძილობა მწყობრიდანა გამოსული. გარდა ამისა, მოსახლეობა იქ უკანონოდა შექრილი და ესეც ისე უნდა მოვაკიროთ, რომ კანონი არ დაკარგვით“, – ამბობს გამგებელი. რამდენი ეკომიგრანტი თვეში რაიონში, ზუსტად არ იცის, ამბობს, რომ ამით სამინისტრო დაკარგებული მანამდე კი ნაცონაში დის მეშვეობით სხვებს თბილისიდან ელით. სთავაზობს.



„მე მხოლოდ დროებით შემიძლია და-ვქმარო, მეტი არაფერი“, – ამბობს ნალის გამგებელი ილია საბაძე. კითხვაზე შესაძლებელია თუ არა, რომ გამგება იჯახებს საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ფანჯრების ჩასმით ან სხვა გზით დაეხმაროს, გვპასუხობს: „რა უფლება მაქვს სხვისი შენობა გავა-რემონტო? თქვენ არამიზნობრივ ხარ-ჯვაზე მესაუბრებით“.

ეკომიგრანტების გაურკვეველი სამარ-თლებრივი სტატუსი, ჯერ კიდევ ფრაგ-მინტული კონონმდებლობა, ერთაანი მო-ნაცმითა პაზის არარსებობა – ამ და სხვა საკითხებს სახალხო დამცველი და არა-სამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი სტრიქის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების წინაშე მდგარ სისტემურ პრობლემებად მიიჩნევენ.

2010 წლიდან ეკომიგრანტების პრო-ბლემებს სახალხო დამცველის პრაქტი-კულად ყველა ანგარიში ცალკე თავი ეთმობა. 2013 წელს კი ამ თემაზე სპეცია-ლური ანგარიშიც მომზადდა. მაშინაც და ახლაც ობბუდსმენი უპირველესად იმას აღნიშნავს, რომ სახელმწიფოში დღემდე



კოტეს ოჯახი ტბისპირა სახლში  
საცხოვრებელი ქირის გადასახდელ  
თანხას – 300 შ-ს მოელი წლის  
განმავლობაში აგროვებს.

ფოტოები მარტი აბაშიაშვილი

არ არსებობს კანონი, რომლითაც ეკომი-გრანტთა სტატუსი, უფლებრივი მდგო-მარება და მათი სოციალური უზრუნვე-ლყოფის საკითხი განისაზღვრება.

### კანონს მოღამა

2014 წლის 1 ივნისს ოკუპირებული ტე-რიტორიებიდან იძულებით გადაადგილე-ბულ პირთა, განსახლებისა და ლტოლ-ვილთა სამინისტროში ეკომიგრანტთა

საკითხების დეპარტამენტი შეიქმნა და ამავე წლიდან სტიქით დაზარალებულ იჯახებს შესაძლებლობა მიეცათ, სა-ცხოვრებელი ფართის მიღების თაო-ბაზე სპეციალური განაცხადის ფორმა შეევსოთ. თუმცა 2013 წლიდან სამინის-ტროში „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას და-ქვემდებარებული იჯახების განსახლების კრიტერიუმების დატეიცებისა და გან-



ფოტო სამსახურის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის 1 მარტის დღისას

ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, ნალექის ცენტრსა თუ სხვა სოფლებში უსახლკარო სხვა ოჯახიც ბევრია.

სახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიაც“ ფუნქციონირებს.

ეკომიგრანტთა ბინით უზრუნველყოფის საკითხებს სწორედ ამ კომისიის შექმნის შესახებ გამოცემული ბრძანება არ ეცნობა: კანონქენების აქტი, რომელიც ოჯახების განსახლების წესსა და საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიების შეფასების ფორმებს განსაზღვრავს. აქვეა განმარტებული, ვის შეუძლია მოითხოვოს ბინით დაკმაყოფილება.

„ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) იურისტი და სოციალური უფლებების პროგრამის პროექტების კოორდინატორი გიორგი დვალაძე ამბობს, რომ ეს განმარტება არ შეიძლება ეკომიგრანტების დეფიციად ჩაითვალოს, რადგან ის ვიწროდ, მხოლოდ ბინებით დაკმაყოფილებაზეა მორგებული და სხვა არანაირ საჭიროებას არ მოიაზრებს. ამიტომ ის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ნორმად ვერ ჩაითვლება, ვერ იგულისხმებს სოციალური მხარდაჭერის ფორმებს და ა.შ.

კიდევ ერთი კითხვა, რასაც ამჟამად სტატუსთან დაკავშირებით უფლებადამცველები სვამენ, არის ის, თუ რატომ არ მოიაზრებიან ეკომიგრანტები „იძულებით გადაადგილებული პირების“ ზოგადსაკანონმდებლო დეფიციაში. ქართული კანონმდებლობით, იძულებით გადაადგილებულ პირად აღიარებულია მხოლოდ ის, ვინც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იჯებაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველოათ ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო დატოვა. მობუდასმენის განმარტებით, ამ მხრივ ეროვნული კანონმდებლობა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებსაც ეწინააღმდეგება, რადგან ეს პრინციპები იძულებით გადაადგილებულ პირებს გადაადგილების გამომწვევი მიზეზების მიხედვით არ განასხვავებს.


„ასეთი მიდგომა და ის ფაქტი, რომ ამ დრომდე არ არსებობს სისტემაზეზებული საკანონმდებლო ბაზა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სტატუსთან და უფლებებთან

დაკავშირებით, არათანაბარ პირობებში აყენებს მათ იმ პირებთან შედარებით, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობით დევნილის სტატუსი აქვთ. ეკომიგრანტებისთვის არაა ხელმისაწვდომი ის სოციალური შეღავათები, რომელიც დევნილებზე ვრცელდება“, – ამბობს სახალხო დამცველი.

გიორგი დეალაძის განმარტებითაც, საბოლოოდ, შედეგის შეფასების ჟეტით ეკომიგრანტებს იგივე საჭიროებები აქვთ, რაც შესარაღებული კონფლიქტების გამო გადაადგილებულ პირებს.

„დევნილთა შესახებ კანონიდან ეკომიგრანტების გამორიცხვა იმ პირობებში, როდესაც მათ მიმართ მეტ-ნაკლებად გამართული სისტემა მოქმედებს და პოლიტიკაც გარკვეულ სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს, ეკომიგრანტებს ავტომატურად დისკრიმინაციულ ვითარებაში აყენებს, მათ პრობლემებსა და საჭიროებებს კი სახელმწიფო თითქოს მხოლოდ ნახევრად აღიარებს“, – ამბობს EMC-ის იურისტი.

სამინისტროში არსებულ კომისიის



უმეტესობა აქ შემოღვიძებაზე გადმოსახლდა. იმ დროიდან მოყოლებული შექის ჩართვას ელოდებიან.

ფოტო მარიამ აბაშიძე

უკრაინის უფრო და დასტური განობრივი მომზადება შექმნისთანავე დაევალა. ამ კანონს ყველა ცალკეული საკითხისთვის უნდა მოეყარა თავი, მათ შორის ბინებით უზრუნველყოფისა და სოციალური გარანტიებისთვის. სამინისტროს კანონპროექტი უკვე თვეებია შეადგინება და ამისთვის ომშუალებისგან დადგებითი შეფასებაც დაიმსახურა, თუმცა მისი ინიცირება დღემდე არ მომხდარა.

უკრაინის უფროსი კოტე რაზმაძე ამბობს, რომ არ იცის, რა ბედი ეწია კანონპროექტს, როდის მოხდება მისი ინიცირება, ან მოხდება თუ არა საერთოდ.

„ინიცირება ალბათ ჩვენ უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ვერ გეტყვით, როდის მოხდება ან რატომ არ მოხდა აქამდე. თუმცა პირადად მე ამ კანონპროექტის საჭიროებას ვერ ვხედავ, რადგან ნორმატიული აქტით ეკომიგრანტის სტატუსიც განსაზღვრულია და ყველაფერი, რაც საჭიროა ბინის საკუთრებაზე მისაღებად. არ ვიცი, მეტი რა უნდა ენეროს ცალკე

კანონში. – ამბობს რაზმაძე და დასტური რომ კანონით ეკომიგრანტებისთვის არც სოციალური ბენეფიტების მინიჭება მიაჩნია მიზანშენონილად, – თუკი ჩვენ ვყიდულობთ მათივე მიერ შერჩეულ სახლებს და გადაცემთ საკუთრებაში, მათვე რჩებათ სტიქით დაზიანებული მინის ნაკვეთიც, რატომ უნდა მისცეს სახელმწიფომ დამსტებითი სოციალური ბენეფიტი? მით უმეტეს, რომ ოჯახების უმეტესობა ისედაც იღებს სოციალურად დაუცველთაოვის განკუთვნილ დახმარებას“.

EMC-ის სოციალური უფლებების პროგრამის პროექტების კოორდინატორი ამბობს, რომ კანონპროექტმა ამ დრომდე დღის სინათლე სწორედ შესაბამისი პოლიტიკური ნების არარსებობის გამო ვერ იხილა.

„ეკომიგრანტებთან დაკავშირებული მდგომარეობა ამჟამად ფაქტობრივად გაყინულია. ერთიანი კანონპროექტი, განსახლების საკითხებთან ერთად, სოციალური ინტეგრაციისა და დახმარებების საკითხსაც დაარეგულირებდა. მანა-

მდე კი, სანამ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა არ შეიცვლება, ცალკეული კომპონენტების მოგვარებით პრობლემა არ მოგვარდება“, – ამბობს იურისტი გიორგი დვალაძე.

პროცედურულად კი იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც შეფასებისას მაღალი ქულა მიერის, სამინისტრო 20 000 ლარის ფარგლებში ყიდულობს სახლს. ოჯახებს დაახლოებით ერთი თვის ვადა ეძლევათ იმისთვის, რომ სასურველ ადგილას და სასურველი ტიპის სახლი შეარჩიონ.

ორმაგი შემოწმება თუ სუბიექტური მიდგომა – რას ეფუძნება ბინებით დასაკმაყოფილებელი ოჯახების შეფასება?

სტიქით დაზიანებულმა, იძულებით გადაადგილებულმა ოჯახებმა სახელმწიფოსან საცხოვრებელი სახლის მისაღებად სპეციალური განაცხადის ფორმა უნდა შეავსონ. ამის შემდეგ დეპარტამენტი ამავებზე ინფორმაციის შეგროვებას იწყებს: მუნიციპალიტეტი, რომელშიც ოჯახები დაზიანდენ, სახლის დაზიანებას აფასებს და მონაცემებს სამინისტროს უფასოს. იმ მუნიციპალიტეტის

წარმომადგენლები კი, სადაც ეს ოჯახები ამჟამად ცხოვრობენ, მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ამონებენ, უკლევენ ოჯახების შემადგენლობას, წევრთა საუკონებაში არსებულ ქონებას და ა.შ. ბინის მისაღებად არსებობს ორ უმთავრესი კრიტერიუმი: სახლის დაზიანების კატეგორია და აქვს თუ არა ოჯახის რომელიმე წევრს ალტერნატიული საცხოვრებელი სახლი. თუ ამ მაჩვენებლებით მათ დაბალი ქულები მიენიჭებათ, ბინის მისაღებად რიგში უკან გადანაცვლებენ.

გიორგი დვალაძე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაშიც სისტემა გამართულად არ მუშაობს. ერთი მხრივ, არ არის ზუსტად განერილი კრიტერიუმები, როგორ უნდა მოხდეს სახლის დაზიანების კატეგორიის შეფასება და არც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს აქვთ ამის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. სწორედ ამიტომ დაზიანების შეფასებისას არაერთი დარღვევა გამოვლენილა, რის გამოც კომისიის წევრები მუნიციპალიტეტის მიერ ერთხელ უკვე შეფასებულ სახლებს გადაწყვეტილების მიღებამდე თავად ნახულობენ.

დვალაძის თქმით, ინიდევიდუალურ ალექსაზე დამოკიდებული ისიც, რა შემთხვევაში როგორ განმარტავენ კომისიის წევრები „ოჯახის წევრს“ და „ალტერნატიულ საცხოვრებელს“.

კომისიას არ აქვთ შემუშავებული „ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილის“ განმარტება. ამიტომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც მაგალითად სიდედრის საცხოვრებელი მიერჩნევით ასეთად, ანდა ზრდასრული, 50-ს გადაცილებული შეიღის სახლი, რომელიც ათეულობით წელია დამოუკიდებლად ცხოვრობს, რაც არღვევს ოჯახერთ ცხოვრების და კერძო საცხოვრების სტანდარტებს ადამიანის უფლებათა ჭრილში. შეიძლება ოჯახის რომელიმე წევრმა სხვადასხვა მიზეზით ბოლო პერიოდში გაასხინა ბინა, ასეთ დროს კომისიის წევრები მიიჩნევენ, რომ ეს დამატებითი საცხოვრებლის მისაღებად მოხდა. საუბარია ისეთ მოცემულობებზე, რომელიც რეალურ მტკუცებულებებს არ ეფუძნება“, – ამბობს დვალაძე.

თუმცა კოტე რაზმაქ EMC-ისა და

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისანი იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში ეკომიგრანტების განსახლების მიზნით ბოუჯეტიდან დაიხარჯა 601 297.8 ლარი. შეისყიდვების 32 სახლი.**  
**2014 წლის განმავლობაში საცხოვრებელი სახლის მიღების თაობაზე შევის 210 განაცხადი, დაზიანებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადი კი 1 786-მა იჯახმა შეავსო. „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის“ საფუძველზე 33 ოჯახს 2013 წელს შესყიდული და სახელმწიფო საცხოვრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები გადაეცა, ხოლო „დაზიანებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადის“ საფუძველზე 32 ოჯახი დაგაყიდულია. ამასთან, 2014 წელს „შევიცარის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან“ დადებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 4 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი.**  
**სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული 35 204 ოჯახია დარეგისტრირებული. თუმცა ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობის შესახებ სამინისტროს ზუსტი მონაცემები არ გააჩნია. 2004-2014 წლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 1131 საცხოვრებელი სახლი შეიძინა.**

სახალხო დამცველის შეფასებებს არ ეთანხმება და ამბობს, რომ „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქაველის“ (CENN) და გარემოს ეროვნული სააგრენტოს ექსპერტების დახმარებით დეემბერში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შესაბამისი ტრენინგები ჩაუტარდათ. გარდა ამისა, სწორედ სუბიექტური მიღების გამოსარჩხად კომისია ყველაფერს ადგილზე ამონებს. ამასთან, ინფორმაციას იღებენ ჯანდაცვის სამინისტროსა და საჯარო რეესტრის

მონაცემებიდან, ე.ნ. „დაზიანების მუნიციპალიტეტებიდან“, უპის ინსპექტორებისგან, სოფლის რემნენებულებისგან, მეზობლებისგან.

„ბშირია ისეთი შემთხვევებიც, რომ საც აჭარიდან გადმოსახლებული ოჯახებიც გაიზარდა და გაიყო. ახლა ისინი ერთხე მეტ ბინას ითხოვენ, მაგრამ სამუხარიდ, ასეთ ოჯახებს პირველ ეჭავებიც მაინც ვერ დავამაყოფილები“, – ამბობს რაზმაძე.

## არასაცმარისი ფინანსები

ამ დრომდე სამინისტროში ბინის მოძიებისა თუ დაკავილფილების თაობაზე 2000-მდე განაცხადია შესული. უმეტესობაზე ეკომიგრანტთა დეპარტამენტი პასუხს აქარის მუნიციპალიტეტებიდან ელოდება. დეპარტამენტის შექმნიდან ამ დრომდე ბინა საცხოვრებაში 78 ოჯახს გადაეცა. 2015 წლის ბოლომდე კიდევ 50 ოჯახის დაკავილფილება დაგემილი.

2013-2014 წლებში ეკომიგრანტების ბინებით უზრუნველსაყოფად 600-600 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. 2015 წელს ეს ბიუჯეტი მილიონ 800 ათასშე გაიზარდა, თუმცა კოტე რაზმაძე მოშვალი წლისთვის გასამმაგებული ბიუჯეტის მოთხოვნასაც არ გამოიცხავს, რადგან საჭიროება მზარდია.


სახალხო დამცველის რეალმენდაციონ, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო რესურსების თვალსაზრისით კი იქნება და არ უნდა იყოს ეკომიგრანტების განსახლებისა და მათ ინტეგრაციაზე პასუხისმგებელი ერთადერთი სახელმწიფო უწყება. აუცილებელია კომპეტენციების სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და თვითმმართველობებს შორის გადანაწილდეს.

ეკომიგრანტთა განსახლების შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესშის აუცილებლობას ომბუდსმენთან ერთად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ. თუმცა სამინისტროს, მოუხდედავად დებულებით გამოსარჩხად კომისია ყველაფერს ადგილზე ამონებს. ამასთან, ინფორმაციას იღებენ ჯანდაცვის სამინისტროსა და საჯარო რეესტრის

ეკომიგრანტებზე საუბრისას, EMC-ის იურისტი გიორგი დვალაძე იმ უსახლარო ადამიანებზეც საუბრობს, რომელიც



შენობაში წყალგაყვანილობა მოშლილია.  
ბავშვებს წყლის მოტანა ეზოდან უწევთ.



ოჯახში 7 ბავშვია, პატარები ბალში არ დადიან. ოჯახს ყოფილი საავადმყოფოს შენობაში მოხედა გადმოსახლება.

მათ მსგავსად, გამუდმებით თავშესაფრის ძიებაში არიან.

„საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს გარევეული სისტემა, სადაც ერთჯერადი დახმარების გზით მაინც, გამონაკლისის სახით თანდათან დააკმაყოფილებს ამ ადამიანებს, რადგან სხვა შემთხვევაში

ისინი მუდმივად განაგრძობენ ამ პირობებსა და რეჟიმში ცხოვრებას, ეთნიკურად მტრულ და ფიზიკურად გაუსაძლის გარემოში. ამიტომ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ხედვის შეცვლა აუცილებელია“, – ამბობს დვალაძე.

რაც შეეხება 1300-მდე სახლს, რომ-

ლებიც 2009 წლამდე სახელმწიფომ ეკომიგრანტებს მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობაში გადასცა, რაზმაძის თქმით, დეპარტამენტმა ამ სახლების დაზუსტებული საკადასტრო ნახაზების შედგენა უნდა უზრუნველყოს. წლის ბოლომდე კი ამ სახლების საკუთრებაში გადაცემაც დაიწყება.

ეკომიგრაციის კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სტიქიური უბე-დურებების პროგნოზირება და პრევენცია დგას. სამინისტროს ერთ-ერთი ვალდებულება სწორედ სტიქიასაშიში რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირებაა. მანამდე კი, სანამ სტიქიით დაზარალებული და გადაადგილებული ოჯახების შესახებ ზუსტი, ერთიანი მონაცემები არ არსებობს, გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2015 წლის დამდეგს, შესმავლილი 2231 ოჯახიდან სტიქიის ექსტრემალური გააქტივირების საშიშროების გამო, 465 ოჯახს აუცილებლად სჭირდებოდა გადაადგილება. 500-ზე მეტი ოჯახი კი მუდმივი მონიტორინგის ქვეშაა. ■

# ეარნაშვილი მსხვილი

ოჯახში ძალადობის პრობლემა საქართველოში რომ ძალიან მწვავედ დგას, ეს ბოლო წლებში უკეთესად გამოჩნდა. გარდა იმისა, რომ ქალი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ხდება, ძალადობამ ის შესაძლოა დანაშაულამდეც მიიყვანოს და ქმრის აგრესისგან თავდაცვის მცდელობამ მკვლელის როლიც მოარგოს.



ქეოვან ლევაშვილი

ოჯახში ძალადობისას ქალები უფრო ხშირად არიან მსხვერპლი, ვიდრე მოძალადები. ამაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. 2014 წლის 9 თვის მონაცემებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 90% ქალია, ხოლო 10% – მამაკაცი. რაც შექება მოძალადეთა სტატისტიკას, მათგან მხოლოდ 7%-ია ქალი, 93% კი – მამაკაცი.

სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი 307 ქალიდან სხვისი სიცოცხლის ხელყოფის გამო სასჯელს არაერთი ქალი იხდის.

ერთ-ერთი მათგანი 41 წლის ნათელა გაჩერილაძეა. მას ბრალად „უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთა“ ედება, რამაც „დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა“ გამოიწვია (სსკის 143-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები).

როგორც თვითონ ჰყება, მან სახლში მისულ ნასვამ მუსულეს ხელები შეუურა, რის შემდეგაც მან აღებინა და გაიგუდა. ამბობს, რომ თუ მეუღლეს განზრახ მოკლავდა, ალბათ არასოდეს ინანებდა, მაგრამ ეს გაუაზრებლად, მისი ხუთი შვილისა და საკუთარი სიცოცხლის დასაცავად გააკეთა.

„ეს აფექტის მდგომარეობაში გავაკეთე სრულიად შემთხვევით მოხდა, ჩემთვის დღემდე ბნელითაა მოცული ის პერიოდი. არ ვიცი რამ მიბიძგა, ალბათ იმან, რომ შვილები და თავი დამეცვა“.

სასამართლოს მიერ მისთვის მისჯული ცხრა წლიდან სამი უკვე მოიხადა, ამნიჭით სასჯელი  $\frac{1}{4}$ -ით შეუმსუბუქდა, მაგრამ დაწესებულებაში კიდევ 3 წლისა და 9 თვის გატარება მოუწევს.

ნათელამ დაკავებისას გაიგო, რომ მეცხსელის ელოდებოდა. ახლა მისი გოგონა უკვე 2 წლისა და 4 თვისაა და დედასთან ერთდრუსთავის ქალთა №5 დაწესებულებაში ცხოვრობს. დარჩენილ სასჯელზე მეტად ნათელას ის უფრო აღლვებს, რომ მისი შვილი დაწესებულებას 3 წელი შესრულებისთანავე დატოვებს.

ნათელამ მეუღლესთან 19 წელი იცხოვრა, ურთიერთობა ბოლო 6-7 წლის განმავლბაში, მას მერე დაეძაბათ, რაც მისა ქმარმა სისტემატიკური სმა დაიწყო. ამბობს, რომ ოჯახიდან ნასვლის შემთხვევაში მშობლები და დედმამიშვილები მის მიღებაზე უარს არ იტყონდნენ, მაგრამ სურდა, რომ ბავშვები მამის გვერდით გაზრდილიყვნენ და არსად მიდიოდა.

თუმცა ბოლოს ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ნათელას ქმრის ძალადობრივი იურიშებისგან თავდასაცავად დაწებისა და ჩანგლების დამალვაც კი უხდებოდა.

„ვერ აღვნერ იმას, რასაც მე ვიტანდი – ჩართული „დრუუბით“, ნაჯახით, ყველანარი იარაღით დაგვდევდა სახლში. ჩემს სახლში ვერც დანას ნახავდით, ვერც ჩანგალს და ვერც კოვზს. ყველაფერს ვმალავდი. ასე რომ



არა, ამდენ ხანს ვერ ვიცოცხლებდი, ვერავინ მიშველიდა“, – იხსენებს ნათელა გაჩეჩილაძე.

მან მეუღლის მხრიდან ძალადობის დროს სიკვდილს არაერთხელ ჩახედა თვალებში. თუმცა ყველაზე რთული მისთვის ის იყო, როცა სახლში მისულს ცუდის მოლოდინისგან აკანკალებული ბავშვები ხვდებოდნენ.

„შველის განწირული კივილი რომ მესმოდა, მიშველეო, რა მდგომარეობაში ჩავვარდებოდი?! ჩემს ადგილზე ნებისმიერი სხვა დაუფიქრებლად მოკლავდა მას“.

ახლა, ყველაფრის გაანალიზების შემდეგ ფიქრობს, რომ მეუღლე აუცილებლად უნდა მიეტოვებინა, თუნდაც სანაცვლოდ ქუჩაში ეცხოვრა. მიაჩნია, რომ ბავშვებს ასეთი მსხვერპლის გაღება არ სჭირდებათ, რადგან ოჯახში ძალადობა ბოლოს ისევ მათ ფსიქიკას ანგრევს.

„ძალადობის მსხვერპლი ქალების რიცხვი ძალიან დიდია. მე მათ ვეტყოფდი – ძალ-ლონე მოიკიბონ, ცხოვრება ხელახლა დაიწყონ მისთვის, რომ თავს უშველონ. ასეთ ოჯახში ნურასოდეს გაჩერდებიან. იცხოვრონ თუნდაც თავშესაფარში, თუნდაც ქოხში, ოლონდ ამ ტრაგედიას აარიდონ თავი. თუ არ განქორნინდი და არ წავედი, ვერაფერს შეცვლი და ტრაგედიამდე მიხვალ“. ამჟამად მისი შვილები მამის სახლში მარტინი ცხოვრობენ. იმის გამო, რომ არასრულნოვნები ბავშვთა სახლში ან სხვა ოჯახში არ წაეყვანათ, ნათელამ მათზე მეურვეობა

უფროს შვილს, 21 წლის ბიჭს დააკისრა. მათი ნახევის საშუალება თითექმის არ აქვს, თუმცა ტელეფონზე ხშირად ეკონტაქტება. ამჟამად მისი ერთადერთი სურვილი თავის პატარა გოგონასთან ერთად ციხის დატოვებაა.

ნათელას ერთადერთი იმედი შეწყალების კომისია, საიდანაც რამდენიმე თვის წინ უარი მიიღო. ხელახლა მიმართვას კი მაშინ აპირებს, როცა მისი გოგონას დაწესებულებიდან ნასვლის დრო მოვა. ნათელა ფიქრობს, რომ სასჯელის დანიშვნისას აუცილებელია დანაშაულის მოტივის გათვალისწინება.

„ჩემი თხოვნაა, პრეზიდენტი ისეთ ადამიანებს დაეხმაროს, ვინც ჩემ მსგავსად განზრახ ასეთ დანაშაულს არასოდეს ჩაიდენს. მხოლოდ ციხე არაა სასჯელი“, – ამბობს ნათელა.

კიდევ ერთი მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს მეუღლის განზრახ მკულელობისთვის (სსკის 108-ე მუხლი) იხდის, 25 წლის ნინო ხაბეგიშვილია. სასამართლოს მიერ მისჯილი 10 წლიდან სამწელინადნახევარი უკვე მოიხადა.

ნათელას მსგავსად, დაკავებისას ნინოც ორსულად იყო. მისი მეორე შვილიც ქალთა №5 დაწესებულებაში დაიბადა, 2014 წლის ბოლოს კი პატარას 3 წელი შეუსრულდა და იქაურობა დატოვა.

მკულელობა, რომელსაც ნინო არ აღიარებს, 2011 წლის დეკემბერში მოხდა. ის იხსენებს, რომ სახლში დაბრუნებულ ნასვამ მეუღლესთან

■ მან მეუღლის მხრიდან ძალადობის დროს სიკვდილს თვალებში არაერთხელ ჩახედა. თუმცა ყველაზე რთული მისთვის ის იყო, როცა სახლში მისულს ცუდის მოლოდინისგან აკანკალებული ბავშვები ხვდებოდნენ.

■ ნინომ მეუღლესთან ერთად 3 წელი იცხოვრა. ამ ხნის განმავლობაში მისი ქმარი მუდმივად სვამდა, შემდეგ კი სცემდა. ამის გამო ორსულს ბავშვის შესანარჩუნებლად საავადმყოფოში წოლა არაერთხელ მოუწია. ძალადობისგან დასაცავად ის ძმამ რამ-დენჯერმე ნამოიყვანა, თუმცა ყოველ ჯერზე უკან პრუნდებოდა.

უთანხმოება მოუხდა, რის შემდეგაც ოთხიდან გამოვიდა და ტელეფონზე დაიწყო საუბარი. დაახლოებით ხუთ წუთში მასთან მეუღლე შემოვიდა და შველა ითხოვა. ნინოს თქმით, ის გულის ზემოთ იყო დაჭრილი.

როგორც თვითონ ჰყვება, სასწრაფო გამოიძახა, 3 თვის ბავშვი მეზობლებს დაუტოვა და მეუღლეს საავადმყოფოში გაჟყვა. მისმა მულმა და ერთ-ერთმა მეზობელმა კი სახლში მკვლელობის იარაღის ძებნა დაიწყეს და სისხლიანი დანა იპოვეს. თუმცა ნინო ამბობს, რომ ეს დანა არც მანამდე და არც სასამართლოში არ უნახავს და მისთვის ხელიც არ შეუხია.

ნინომ მეუღლესთან ერთად 3 წელი იცხოვრა. ამ ხნის განმავლობაში მისი ქმარი მუდმივად სვამდა, შემდეგ კი სცემდა. ამის გამო ორსულს ბავშვის შესანარჩუნებლად საავადმყოფოში წოლა არაერთხელ მოუწია. ძალადობისგან დასაცავად ის ძმამ რამდენ-ჯერმე ნამოიყვანა, თუმცა ყოველ ჯერზე უკან პრუნდებოდა. ამბობს, რომ მისთვის მთავარი ოჯახი იყო და მეუღლის გამოსწორებასაც ათასგვარი გზით ცდილობდა. თუმცა ვერაფერს გახდა.

„ქარელში მე, ჩემი მეუღლე, მამამთილი და ბავშვი ვცხოვრობდით. ჩემს მეუღლეს პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა და როცა სახლში ნასვამი მოდიოდა, მე და ჩემი მამამთილი ან გავერიდებოდით, ან მის დამშვიდებას ვცდილობდით ხოლმე“. ნინო თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. სიმართლის დასამტკიცებლად მან არაერთხელ მიმართა პროკურატურას, სახალხო დამცველსა და „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“. მაგრამ ყველასგან ერთნარი პასუხი მიიღო – მისი დახმარება ვერავინ შეძლო, რადგან აღიარებაზე ხელი ჰქონდა მონეროლი, თანაც დანაშაულის ჩადენიდან დიდი დრო იყო გასული.

„მე დანაშაული აღიარებული არ მქონდა. რაღაც საბუთები შემომიტანეს, ამას ხელს მოაწერთ და თავისუფალი იქნებით. მოტყუცით მომაწერინეს ხელი. დანაშაული რომ ჩამედინა, ვაღიარებდი და სასჯელიც შემიმსუბუქდებოდა, მაგრამ რთულია აღიარო ის, რაც არ ჩაგიდენია“. ფსიქოლოგი მაია ცირამუა მიიჩნევს, რომ მკვლელობას გამართლება მხოლოდ ფსიქოლოგიურად და მეცნიერულად შეიძლება მოეძებნოს, მაგრამ არა სამართლებრივად. თუმცა გამოძიებამ და სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის მიზეზბი, რამაც ქალი დანაშაულამდე მიიყვანა.

„პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში იმაზეა, ვინც ეს ჩაიდინა. თუმცა იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რამდენად იცავს სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლ ქალებს“. მაია ცირამუა იმ ფაქტორებზე საუბრობს, რამაც შესაძლოა მსხვერპლი დანაშაულადე მიიყვანოს. მისი თქმით, როცა ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში ძალადობის ქვეშა, ის მუდმივად თავდაცეის, თვითგაგარჩენის რეჟიმში იმყოფება, საფრთხეს იქცევის, სადაც არა და მუდმივად საბრძოლო და განწყობილი.

თუმცა საზოგადოება ხშირ შემთხვევაში მოძალადე მამაკაცის მხარდაჭერია, ქალს კი მაპროვოცირებელ ქმედებებში ადანაშაულებს. თუკი ამას ქალის მხრიდან თუნდაც თავდაცეის მიზნით ჩადენილი დანაშაულიც დაემატა, მსხვერპლი საზოგადოებისთვის თავად ხდება მოძალადე. სინამდვილეში კი არავის უჩინდება კითხვა, რატომ სჩაფლი ქალი დანაშაულს. მაია ცირამუა ამას მოძალადე მამაკაცის ორსახოვნებით ხსნის, რომელიც საზოგადოებისთვის დახვეწილი ინტელიგენტი, პატიოლოგისთვის კი ძალის სატიკი ადამიანია.

„დიდი მუშაობა ჩასატარებელი იმისთვის, რომ საზოგადოებამ მსხვერპლის მდგრმარეობის გააზრება შეძლოს. დიდია მედის პასუხისმგებლობაც – როგორ აშუქებს ქალადობის ფაქტებს, დისკუსიას აწყობს ამ თემაზე თუ მყვირალა ჰედლაინები გამოაქს, სადაც კიდევ ერთხელ ქალი გამოჰყავს და მანაშავედ“. მაია ცირამუასთვის გამოსავალი საზოგადოების განათლების დონის ამაღლება, ქმედობის შექმნა და დისკრიმინაციული სპერროტიპებისგან თავისუფალი პოლიციელის ყოლა. ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ კანონი მსხვერპლზე ორიგინტირებული უნდა იყოს, რაც იმას ნიშანებს, რომ მან თავი დაცულად უნდა იგრძნოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო კურსების არსებობა როგორც მსხვერპლისთვის, ასევე მოძალადისთვის.

ვიდრე კანონმდებლობა ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ქმედით ბერკეტებს არ შემოგვთავაზებს, საზოგადოება კი სტერეოტიპებისგან არ გათავისუფლდება, ყოველთვის იარსებებს რისკი, რომ ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა თვითონვე სცადონ საკუთარი თავის დაცვა და დანაშაულამდე მივიღენ. შეფრთვად კი საზოგადოების თვალში მსხვერპლის ნაცვლად მოძალადებად იქცნენ. ცა

# ლასაქონის და სახითანაო ნინევის შესაძლებლობა იწყება ა



საქართველოს პრეზიდენტის  
მინისტრის  
უნივერსიტეტი

მომავალი აუგუსტი

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი 2013 წელს დაარსდა. სტუდენტების პირველი ნაკადი 2014 წელს მიიღეს. უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს, მომავალი წლიდან საბალაკავრო საფეხურზე ორი ახალი პროგრამის დაწერვა იგეგმება. აღსანიშნავია, რომ მიღებული სტუდენტების საუკეთესო 10%-ს უნივერსიტეტი სწავლას დაუფინანსებს. შემდეგი 20% კი სწავლების საფასურს სწავლის დასრულების შემდეგ გადაიხდის. უნივერსიტეტის სამომავალო გეგმებზე საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის რექტორს, აკაკი ხელაძეს ვესაუბრეთ.



აკაკი ხელაძე, საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის რექტორი

თქვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიზანი ქართულ საგანმა-ნათლებლო სივრცეში მაღალი სტანდარტების დამკვირდებაა. კონკრეტულად რას აკეთებთ მაღალი საგანმანათლებლო სტანდარტების დაწერვას?

მაღალი სტანდარტი ნიშნავს ღირებულ საგანმანათლებლო პროდუქტს. საგანმანათლებლო პროგრამის შექმნამდე ვაკეთებთ კომპიუტერუ ანალიზს. ვიკელევთ დამსაქმებლების, პოტენციური კონფიდენციალური საჭროებების საფრთხეებს. ჩვენთან კარგად ორგანიზებული სასაკულო პროცესია. ვთვალისწინებთ ყველა მნიშვნელოვან დეტალს: ჯაფუში სტუდენტთა რაოდენობას, სწავლების მოქნილ გრაფიკს, პროფესიონალური მასალების და თანამშენებლივ კონკრეტულ ურთისებებს.

სტუდენტთა აზრის გასაგებად საგალდებულ წესით სისტე-მატურად ვატარებთ გამოკითხვას. ყოველთვის ვთვალისწინებთ მათ საჭიროებს, რასაც ჩვენი სტუდენტები კარგად გრძნობენ.

ხარისხიანი და საერთაშორისო/ევროპულ სტანდარტებზე მიერთებული კვლევითი საქმიანობის განხორციელება ქართულ საგანმანათლებლო სივრცისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. თქვენი უნივერსიტეტის მისით მიხედვით, უნივერსიტეტისთვის კვლევითი საქმიანობა ერთ-ერთი პრიორიტეტია.

მაგისტრატურის საფეხურზე არსებობს კვლევის კომპონენტი. ჩვენს სტუდენტებს მოუწევთ თეზისის გაკეთება. იმისთვის, რომ სტუდენტებმა კვლევითი კომპონენტი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების გათვალისწინებით მოამზადონ, სწავლების პროცესშივე კურსს იმგვარად ვგეგმავთ, რომ სტუდენტმა კარგად გაითავისოს, რას ნიშნავს კვლევის პროცესი. სწავლების პროცესში გადიან ისეთ საგნებს, რომელიც მათ კვლევითი კომპონენტისთვის ამზადებს. ეს-ნია: კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება, აკადემიური წერა. ამას დამატებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად შერჩეული არიან გამოცდილი და კვალიფიციური ადამიანები. მათი კვალიფიკაცია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზეა აღიარებული.

როგორ ფიქრობთ, რა გამოარჩევს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში? რა არის მისი ყველაზე ძლიერი და უნიკალური მხარე?

დასახუმიში უნდა აღნიშნოს, რომ უნივერსიტეტის გახსნის შესახებ გადაწყვეტილება იმის მისაღები არ იყო. თუმცა უკვე სიამაგით შეგვიძლია იმის თემა, რომ პრეზენტი მიღება ერთ-ერთი ყველაზე ღილა მიღება იყო კერძო სასწავლებლებში ამ ფასის ფარგლებში. უნიკალურს რასაც ვთვაზობთ, ეს პრაქტიკისა და თეორიის ბალანსია. გარდა პრაქტიკისა და კარგი თეორეტიკოსს ლექტორებისა, პროგრამის განხორციელებაში საქართველოს ბანკიდან ჩართული არიან დირექტორატის წევრები და TOP მენეჯერები. დარწმუნებული ვარ, თქვენთვისაც ადვილი ნარმოსადგენია, რა ღირებულ ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს ლექტორი, რომელიც საქართველოს ბანკში სტრატეგიული მიმართულების მენეჯერია. ჩვენთან სწავლების მოქნილი გრაფიკია. სწავლა კვირაში სამ დღეა, საღამოს შეიძინება 10 საათამდე. სტუდენტს შეუძლია დღე იმუშაოს და საღამოს ლექციებს დაესწროს. გარდა ამისა, ჩვენ ვთვაზობთ დაფინანსებას. მიღებული სტუდენტების საუკეთესო 10% უფასოდ ისანავლის. შემდეგი 20% კი სწავლების საფასურს შეიძინება ნლის შემდეგ გადაიხდის. ლიტერატურა და სასწავლო მასაღები უფასოა. ჩვენთან სწავლობენ სხვადასხვა კომპანიის და ბანკის ნარმობადგენლები, რომლებიც უკვე მუშაობენ მენეჯერულ პოზიციებზე. სწავლების დაწყების შემდეგ რამდენიმე სტუდენტი სამსახურში დაწინურდა. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყოველ ტრიმეტრში სასწავლო პროცესში ერთი საერთორისო ლექტორი მონაბილუობს, რადგან ჩვენთან ჯერ კიდევ არის საგნები, რომლებიც კარგად არ ან ვერ ისანავლება და, შესაბამისად, საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტები გვაჭირდება. აკადემიურ წერაში ახლაც უცხოული ლექტორი გვყავს, ისევე როგორც კორპორაციულ ფინანსებში.

გეგმათ თუ არა საბაკალავრო პროგრამების დაწერვა?

კა, ჩვენ ვგეგმავთ ორი საბაკალავრო პროგრამის დაწერვას – ინფორმატიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში. ვიცით, რომ ინფორმატიკა ყველა განვითარებულ ქვეყანაში საჭირო და აუცილებელი დარგია, მაგრამ სწავლების კუთხით ჩვენთან ჯერ კიდევ პრობლემურია ეს საკითხი. ჩვენ გადაწყვეტილ იმ პროგრამის განვითარება, რომელიც საჭიროა დამსაქმებლისა და ბაზრისტვის. გვექნება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიც. ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამაზე მუშაობა დასრულებულია. სექტემბრიდან ფიქრობთ სტუდენტების მობილობით აყვანას. რაც შეეხება ბიზნესადმინისტრირებას, გაისაძ ავიყვანთ სტუდენტებს. მას, ვისაც რეალურად დასავლური განათლების საქართველოში მიღება სურს, ვისაც მოწვეული მნიშვნელოვანია კარიერული წინსვლა და დასაქმება, სწავლის დაფინანსების რეალური შესაძლებლობა, პრაქტიკული გამოცდილების მიღება, ყურადღება, ინდივიდუალური მიღებობა, სწორედ საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში უნდა ჩაბაროს. რადგან ჩვენი მთავარი მიზანია, შევქმნათ მაღალი კვალიფიკაციის კადრი, ოცენასტორულად დასაქმების თუ კარიერული წინსვლის მიზნით.

რეკლამა

# 2015 წარმატების SPOTLIGHT 2015-ის პროგრამის სამსახურის და მასში მონაცემთა ინიციატივის გადამტკიცებული დოკუმენტი

24 მაისს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა წლის მთავარი მარკეტინგული ღონისძიება – Spotlight 2015. პაშა ბანე ღონისძიების პლატინის სპონსორი იყო.

Spotlight 2013 წლიდან ტარდება და აქ ქართველი მარკეტერები და სხვა პრაქტიკოსი პროფესიონალები მსმენელს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ.

ღონისძიებაზე გაიმართა პაშა ბანეის მიერ ინიცირებული პროექტის – Spotlight Marketing Library პრეზენტაცია, რომელიც Spotlight-სა და თბილისის მედიათეკასთან ერთად განხორციელდა. პროექტის მიზანია ერთ კომფორტულ სივრცეში მოუყაროს თავი მარკეტინგის, ბრენდინგის, PR და სხვა მომიჯნავე დარგების თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას და ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი მსურველისთვის.

„ჩვენ ნათლად ვხედავთ Spotlight-ის მნიშვნელობას ადგილობრივი ბიზნესაქმიანობის განვითარების და პროფესიონალიზმის ამაღლების კუთხით. შესაბამისად, გადავწყვიტეთ აღნიშნული პროექტის პლატინის სპონსორობა. უფრო მეტიც! ჩვენ მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით არ შემოვიფარგლეთ და ძალის სასარგებლო და საინტერესო პროექტი წარვადგინეთ თბილისის მედიათეკასა და Spotlight-თან ერთად. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველომი, სამწუხაოდ, მარკეტინგის შიმართულებით ლიტერატურა მარტივად ხელმისაწვდომი არ არის, გადავწყვიტეთ, ამ სფეროთი დაინტერესებულ ნებისმიერ მსურველს მივცეთ საშუალება, ისარგებლოს თანამედროვე პროფესიული ლიტერატურით Spotlight Marketing Library-ში და ვინვევთ ნებისმიერ კომ-

პანიას, შემოუერთდეს პროექტს და შეაგვისოს ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით!“ – აღნიშნა ანანი ქორქამ, პაშა ბანეის PR და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა.

პაშა ბანე ბაქოში სათავო ოფისის მქონე ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ოპერირებს აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში. პაშა ბანე მსხვილ და საშუალო ზომის საწარმოებს რეგიონალურ კორპორაციულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებას სთავაზობს.

პაშა ბანე, მთავარი ლირებულებებიდან გამომდინარე, გრძელვადიან და ჯანსაღ პარტნიორულ ურთიერთობებზე ფოკუსირდება. ბანე პარტნიორთან თანამშრომლობას მომავალშიც განაგრძობს. ქვემოთ შეგიძლიათ, იხილოთ ნიგნების ჩამონათვალი, რომელიც საჩუქრად გადაეცა მედიათეკას:


- Marketing Hardcover – Robbin Phillips, Greg Cordell, Geno Church, John Moore
- Rules for Revolutionaries – Guy Kawasaki
- Ignore Everybody and 39 Other Keys to Creativity – Hugh MacLeod
- What Great Brands Do – Denise Lee Yohn
- The Art of the Start: The Time-Tested, Battle-Hardened Guide for Anyone Starting Anything – Guy Kawasaki
- Contagious: How to Build Word of Mouth in the Digital Age -Jonah Berger
- How Brands Grow – Byron Sharp
- The Passion Conversation: Understanding, Sparking, and Sustaining Word of Mouth
- Decoding the New Consumer Mind – Kit Yarrow
- Hello, My Name is Awesome – Alexandra Watkins
- Unconscious Branding – Douglas Van Praet
- The Brand Gap – Marty Neumeier
- The Philosophy of Branding – Thom Braun
- The Power of Visual Storytelling – Ekaterina Walter and Jessica Gioglio
- LoveMarks – Kevin Roberts
- Whatever You Think, Think the Opposite – Paul Arden
- Positioning: The Battle For Your Mind – Al Ries and Jack Trout
- Loveworks – Brian Sheehan
- Ogilvy on Advertising – David Ogilvy
- The Hero and the Outlaw: Building Extraordinary Brands Through the Power of Archetypes -Margaret Mark, Carol Pearson, Carol S. Pearson
- The New Rules of Marketing & PR: How to Use Social Media, Online Video, Mobile Applications, Blogs, News Releases, and Viral

- Marketing to Reach Buyers Directly – David Meerman Scott
- Word of Mouth Marketing: How Smart Companies Get People Talking – Andy Sernovitz
- Confessions of an Advertising Man – David Ogilvy
- The Tipping Point: How Little Things Can Make a Big Difference – Malcolm Gladwell
- Purple Cow – Seth Godin
- Truth, Lies & Advertising: The Art of Account Planning by Jon Steel
- The Psychology of Selling – Brian Tracy
- Enchantment: The Art of Changing Hearts, Minds, and Actions – Guy Kawasaki
- Reality Check: The Irreverent Guide to Outsmarting, Outmanaging, and Outmarketing Your Competition – Guy Kawasaki
- Making Ideas Happen: Overcoming the Obstacles Between Vision and Reality – Scott Belsky
- What the Dog Saw and Other Adventures – Malcolm Gladwell
- Logo Design Love: A Guide to Creating Iconic Brand Identities – David Airey
- Brand Thinking and Other Noble Pursuits – Debbie Millman
- Managing the Customer Experience: Turning Customers Into Advocates – Shaun Smith, Joe L. Wheeler
- The Creative Habit: Learn It and Use It for Life – Twyla Tharp
- Symbol by Steven Bateman – Angus Hyland
- Logo – Michael Evamy
- Global Content Marketing – Pam Didner
- HBR 10 Must Read Boxes Set Brand Bible – Debbie Millman



**SPOTLIGHT  
MARKETING LIBRARY  
INITIATED BY  
PASHA BANK**

# Book Challenge



Spotlight Marketing Library არის პაშა ბანკის მეცნიერებული პროექტი, რომელიც განხორციელდა Spotlight-სა და თბილისის მედიათეკასთან ერთად.

პროექტის მიზანია ერთ კომფორტულ სივრცეში მოუყაროს თავი მარკეტინგის, ბრენდინგის, PR და სხვა მომიჯნავე დარგების თანამედროვე პროფესიულ ღირებულებურას და გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისთვის\*

\* წიგნები ხელმისაწვდომია მედიათეკის ყველა მკითხველისთვის და წლიური საწევრო შეადგენს 15 ლარს.  
მედიათეკის მისამართი.: ვაკის ბარკი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 76

**# Book Challenge**

პორტატიული საჭურადღებოდ

მიღებთ პაშა ბანკის მამოწვევები და ჩამორთეთ ამ სასარგებლო ნამონებაბი - შეავსეთ Spotlight Marketing Library პარტნიორი წიბნებით!  
მრთად ვიზრუნოთ ახალგაზრდას მარკეტინგის!

B R A N D I N G      S T R A T E G Y  
T R E N D      M E D I A

C O M M U N I C A T I O N      M A R K E T I N G  
M A R K E T I N G      S A L E S  
S A L E S      A D V E R T I S I N G  
D E S I G N      P R  
C R E A T I V E      V I R A L

# ბავშვები საოცის ბახით

ქალაქის ქუჩებში მოწყალების სათხოვნელად, სხვადასხვა ნივთების გასაყიდად, თვეობით ცხვარში მწყემსებად, ზღვის სანაპიროზე მზისგან დამწვარ ზურგზე ტომარააკიდებულები, ფეხსაცმლისა და წიგნების გარეშე – ასეთია მძიმე სოციალური მდგომარეობის, ნაადრევი ქორწინების, უბრალოდ გულგრილობის თუ სხვა მიზეზების გამო სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების ცხოვრება. განათლების მიღმა დარჩენილ ბავშვებზე სახელმწიფოს ზუსტი სტატისტიკა არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ცხრაკულასიანი განათლების მიღება სავალდებულოა, ხმირ შემთხვევაში ბავშვები საბაზისო განათლებასაც ვერ იღებენ. ამ ფაქტს საჯარო სკოლების სხვადასხვა კლასიდან გასული მოსწავლეების რაოდენობაც ადასტურებს.



თათია ხალიანი

„13 წლის ვარ. სკოლაში რვა კლასამდე და-  
ვდიოდი. ახლა არ დავდივარ. რაონში დე-  
დასთან ერთად ვცხოვრობდი, სახლში წყალი  
ჩამომდიოდა, წიგნები მისველდებოდა. ხანდა-  
ხან რაჭაში მივდიოდი ბებიასთან, საქონელს  
ვუვლიდი, მთამი ცხენით დავდიოდი. მერე  
სახლიდან გამოვიპარე. ყველაზე მეტად სკო-  
ლაში სიარული მინდა. აქ მეუბნებიან სექტემ-  
ბრამდე ვერ ივლიო“.

„მალე 14 წლის გავხდები. სკოლაში არას-  
დროს მივლია. თბილისში ვცხოვრობ. მშო-  
ბლებს კი ჰქონდათ სურვილი, სკოლაში მე-  
ვლო, მაგრამ არ ვიცი, რატომ არ დავდიოდი...  
ვერ მოვახერხეთ. სახლში ჩემით რაღაცას  
ვსწავლობდი, არ მომწონდა, წერა-კითხვა რომ  
არ ვიციოდი. ახლა ვიცი. ხუთი თვე, აქ ვარ“.


„სკოლაში არ დავდიოდი, არ ვიცი რატომ. სურვილი მქონდა. 13 წლის ვარ. გარეთ ვიყა-  
ვი, ფულს ვშოულობდი, როგორც სხვა ბავშ-  
ვები. დედაჩემიც გამოდიოდა. აქ ვისწავლე  
წერა-კითხვა. ახლა სკოლაშიც დავდივარ, მეშ-  
ვიდე კლასში ვარ. როცა მივედი ყველა ბავშვი  
მე ჩამოხუტა, ჩემი მეგობრები არიან. აღარას-  
დროს წამოვალ სკოლიდან“.

გიორგი, დათო და ნინო თბილისის ერთ-  
ერთი კრიზისული ინტერვენციის ცენტრში  
ცხოვრობენ, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და  
მომუშავე ბავშვებს თავშესაფართან ერთად  
სხვადასხვა მომსახურებას სთაგაზობს. ცენ-  
ტრის თანამშრომლების დახმარებით ბავშვებ-  
მა სკოლაში სიარული დაიწყეს. ამჟამად ოჯა-  
ხური ტიპის დღის ცენტრში 6-დან 18 წლამდე

30 ბავშვი ცხოვრობს, მათგან რამდენიმე ღ-  
მითაც ცენტრში რჩება, დანარჩენები კი დღის  
ბოლოს ოჯახებს უბრუნდებიან. დღის ცენტრ-  
ში მოხვედრილი ბავშვების უმეტესობას სკო-  
ლაში არასდროს უვლია. 8 ბავშვის ჩარიცხვა  
უკვე მოხერხდა. მაგრამ დაბადების მომზონის  
თუ სხვადასხვა საბუთების მოუწესრიგებლო-  
ბის გამო რამდენიმე ბავშვი ვერ ისევ სკოლის  
გარეთ რჩება.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები  
განათლების მიღმა დარჩენილთა ყველაზე  
მრავალრიცხოვან კატეგორიას მიეკუთვნე-  
ბიან, მაგრამ მიზეზები, რომლის გამოც ბავშ-  
ვები სკოლის გარეთ რჩებიან განსხვავებულია.

„უშუალოდ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშა-  
ვე ბავშვებთან ვმუშაობ. ჩვენს სეგმენტში  
სერიოზული პრობლემაა განათლების მიღმა  
დარჩენილი ბავშვები. ქუჩას ბავშვების უმრა-  
ვლესობა, თუ ყველა არა, განათლებას არ  
იღებს. ზოგადად, მიზეზები საკმაოდ განსხვა-  
ვებულია, ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა,  
სოციალური პრობლემა, ტანსაცმელის, ფე-  
საცმელის, სასკოლო ინვენტარის არქონაა.  
მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხია განათლების  
მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა და კულ-  
ტურული ცნობიერების დეფიციტი სხვადასხვა  
ეთნიკურ თემში, მათ შორის ქართულ კონტე-  
ქსტში. კახეთში არის შემთხვევები, როდესაც  
ბავშვებს სეზონურ სამუშაოებზე ნაყვანის  
მიზნით სწავლის აწყვეტილებები. მშობლები  
თვეების განმავლობაში საძოვრებზე უშვებენ  
შვილებს“, – ამბობს მაია მგელიაშვილი, ორ-



ფოტო მარჯა არაგავაძე

განიზაცია „world vision“-ის წარმომადგენელი, რომელიც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად კრიზისული ინტერვენციის ცენტრებში ბავშვებს უნდა მომსახურებას.

სამი წლის წინ დაწყებული პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მხარდაჭერას, მათ რეაბილიტაციასა და საზოგადოებში ინტეგრაციას ისახავდა, 400-ზე მეტ ბავშვს დაეხმარენ. პროექტი ევროკავშირმა დააფინანსა და მასში სოციალური მომსახურების სააგენტოს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც იყო ჩართული.

პროექტის ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით 6 დღის ცენტრი მუშაობს. ეს ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც სახელმწიფო ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს ეხმარება.

როგორც განათლების სამინისტროში ამბობენ, ე.წ. „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის“ არსებული სერვისების შენეფიციარებიდან სკოლაში სულ 28 ბავშვი ჩაირიცხა.

2013 წლიდან საქართველოს განათლების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის

(UNICEF) ერთობლივი ინიციატივით დაიწყო პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“. პროგრამის მიზანია სხვადასხვა მიზეზით საგანმანათლებლო სივრცის მიღმა დარჩენილ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველყოფა და ყველა ბავშვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვის ხელშეწყობა. თუმცა პროგრამის ფარგლებში განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა. როგორც პროგრამის კოორდინატორი ამბობს, ამ ეტაპზე პროგრამა სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის პოლიტიკის განსაზღვრას ემსახურება.

„სამწუხაროდ, არ არსებობს სტატისტიკა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ. მივმართეთ საქართველოში მოქმედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერცერთმა მათგანმა ვერ წარმოგვიდგინა მონაცემები ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ ბავშვთა რაოდენობის შესახებ. მათ შორის პრობლემაა სანდო ინფორმაცია და საკანონმ-

■ „სკოლაში არ დავდიოდი, არ ვიცი რატომ. სურვილი მქონდა. 13 წლის ვარ. გარეთ ვიყავი, ფულს ვშოულობდი, როგორც სხვა ბავშვები. დედაქმიც გამოდიოდა. აქ ვისწავლე წერა-კითხვა. ახლა სკოლაშიც დავდივარ, მეშვიდე კლასში ვარ. როცა მივედი ყველა ბავშვი მე ჩამესუტა, ჩემი მეგობრები არიან. აღარასდროს წამოვალ სკოლიდან“.

# საზოგადოება

## ■ მონიტორინგმა

აჩვენა, რომ განათლების გარეშე დარჩენილი

**ბავშვების ყველაზე მაღალ რისკურსის, ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები მიეკუთვნება; ასევე, ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან; ბავშვები, რომლებიც სეზონურ სამუშაოების გამო ან ოჯახური საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე ხანგრძლივად არ ესწრებიან სწავლის პროცესს ან არ ირიცხებიან სკოლაში; მოქალაქეობის არმქონები და პირადი ნომრის არმქონები ბავშვების მიზანის მიერთება; ასევე, ბავშვების გარეშე დარჩენილი ბავშვების ყველაზე მაღალ რისკურსის განათლების მიზანი დარჩენილი რისკის მქონე ბავშვითა კერძოდ, გამოიკვეთა ის მოწყვლადი კატეგორია, რომელთაგან მოზარდი ყველაზე ხშირად რჩება ფორმალური განათლების გარეშე.**

მონიტორინგმა აჩვენა, რომ განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვების ყველაზე მაღალ რისკურსის განათლების განათლების მიზანი ან ოჯახური საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე ხანგრძლივად არ ესწრებიან სწავლის პროცესს ან არ ირიცხებიან სკოლაში; მოქალაქეობის არმქონები და პირადი ნომრის არმქონები ბავშვები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელები (ბოშები, აზრბაიჯანელები და ა.შ.); არასრულწლოვანი პრობაციონერები, დევნილები, ბავშვები საპატრიარქოს ბავშვთა სახლებიდან და სხვადასხვა ინსტიტუციებიდან.

**ბავშვები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელები (ბოშები, აზრბაიჯანელები და ა.შ.); არასრულწლოვანი პრობაციონერები, დევნილები, ბავშვები საპატრიარქოს ბავშვთა სახლებიდან და სხვა-დასხვა ინსტიტუციებიდან.**

დებლო ბარიერი პერსონალური ინფორმაციის დაცვის რეგულაციების გამო", – ამბობს პროგრამის კონფიდენციალორი ლელა გაფრინდაში.

მიუხედავად სტატისტიკის არარსებობისა, პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა განათლების მიზანი დარჩენილი რისკის მქონე ბავშვითა კერძოდ, გამოიკვეთა ის მოწყვლადი კატეგორია, რომელთაგან მოზარდი ყველაზე ხშირად რჩება ფორმალური განათლების გარეშე.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვების ყველაზე მაღალ რისკურსის, ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები მიეკუთვნება; ასევე, ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან; ბავშვები, რომლებიც სეზონურ სამუშაოების გამო ან ოჯახური საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე ხანგრძლივად არ ესწრებიან სწავლის პროცესს ან არ ირიცხებიან სკოლაში; მოქალაქეობის არმქონები და პირადი ნომრის არმქონები ბავშვები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელები (ბოშები, აზრბაიჯანელები და ა.შ.); არასრულწლოვანი პრობაციონერები, დევნილები, ბავშვები საპატრიარქოს ბავშვთა სახლებიდან და სხვადასხვა ინსტიტუციებიდან.

"სამწუხაოოდ, დღეისთვის ქვეყანაში არ არსებობს სკოლის მიღმა დარჩენილი იმ ბავშვების მონიტორინგის სისტემა, რომლებიც არასადროს ჩარიცხულან სკოლაში, არ აქვთ საგანმანათლებლო ისტორია და სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში მათზე არავითარი მონაცემები არ არსებობს. მნიშვნელოვანია, შეიქმნას სხვადასხვა ორგანიზაციებში რეგისტრირებულ მონაცემთა ბაზებში ასახული ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი. დღესთვის პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაციების გამო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს უკვე არსებულ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებათ", – ამბობს ლელა გაფრინდაში.


განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვების რაოდენობაზე ინფორმაცია არ აქვს არც სახალხო დამცველის ბავშვების უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელს, მათა გედევანიშვილს. თუმცა მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვების ზუსტი რაოდენობის ცოდნისა და პრობლემის მასშტაბების შეფასების გარეშე გადაჭრის გზების მოძებნა გართულდება.

მათა გედევანიშვილი ასევე ფიქრობს, რომ პრობლემა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ბავშვების სკოლის გარეთ დარჩენა მათი მშობლების განათლებასა და ცნობიერებაზეა მიმმული, ხშირად მათთვის შვილების განათლება პრიორიტეტული არ არის.

"უნდა შემუშავდეს ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ეროვნული მოდელი და შეგროვდეს სტატისტიკა. ასევე მნიშვნელოვანია უწყებებს შორის კოორდინაცია და ინფორმაციის გაზიარება. ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა, მაგრმ ვისურვებდი მას უფრო აქტიური და სისტემური ხასიათი ჰქონდეს", – ამბობს მათ გედევანიშვილი.

კანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროოსი გა კაკაჩია „ლიბერალთა“ საუბარში ჰყება, რომ შემოდგომაზე სოციალურად დაუცველთა ბაზაში არსებული ბავშვების მონაცემები განათლების სამინისტროდან გამოთხვილი სასკოლო ვაუჩერების ბაზას შეადარა. აღმოჩნდა, რომ 800-ამდე ბავშვი, რომელიც სოც.დაუცველთა სიებში ირიცხებოდა, ვაუჩერს არ იღებდა, ანუ ეს ბავშვები სკოლაში საერთოდ არ დადიოდნენ. მისი თქმით, თუკი სახელმწიფოს ნება იქნება თუნდაც ამ კატეგორიის ბავშვების იდენტიფიცირება ძალიან მარტივია და ამის დარცელებისა მთავრობის ნორმატიული აქტითაა შესაძლებელი.

"არსებობს ხელმისაწვდომობის პრობლემა, რადგან საკითხი რეალურად პირად ინფორმაციას ეხება, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ სოც. დაუცველთა ბაზებს სხვადასხვა ორგანოები სხვადასხვა პროგრამების დაგეგმვის დროს იყენები. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო დიდი პრობლემა, რომ ბავშვები სკოლაში არ დადიან და მათი კონსტიტუციით გარანტირებული – განათლების უფლება ირლევა. ძალიან მარტივია დეისტიური ამის დარეგულირება. რეესტრიდანაც შეიძლება ინფორმაციის ამოღება, თუმცა სოც. დაუცველთა ბაზა ყველაზე იპტიმისტურია იმ კუთხით, რომ ფაქტობრივად მუდმივია დონე მდგრადი ეს ოჯახები და იცი, რომ ბავშვი საქართველოში იმყოფება. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოწყვლადი კატეგორიაა და ამიტომაც შევადარე ეს ორი ბაზა ერთმანეთს. ამის დარეგულირება მთავრობის ერთი განკარგულება მთავრობის ერთი განკარგულება



ბითაა შესაძლებელი. როცა 7 წლის ბავშვი სკოლაში არ დადის, ეს ტრაგედია და მარტივად შეიძლება მისი აღმოჩენა და პრობლემის გადაჭრა“, – ამბობს გია კაკაჩია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იმ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ (მხოლოდ 2011-2012 სასწავლო წლის სტატისტიკა) მოგვაწოდა ინფორმაცია, რომლებმაც სხვადასხვა საკლასო საფეხურზე სწავლა შეწყვიტეს. მეცხრე კლასამდე სკოლიდან გასული მოსწავლების რაოდენობით თბილისის საჯარო სკოლები ლიდერობენ, შემდეგ მოდის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სკოლები.

თბილისის საჯარო სკოლებიდან 2011-2012 სასწავლო წელს მეცხრე კლასამდე 364-მა ბავშვმა შეწყვიტა სწავლა – პირველი კლასიდან 40 ბავშვი გავიდა, მეორედან - 50; მეცხრე კლასიდან კი ჯამში – 1639 ბავშვი.

ამავე წლებში ქვემო ქართლის საჯარო სკოლებიდან მეცხრე კლასამდე 364-მა ბავშვმა შეწყვიტა, მეცხრე კლასიდან კი 1115 ბავშვმა. რაჭა-ლეჩიშვილის, ქვემო სვანეთისა და გურიის გარდა, ყველა რეგიონში ფიქსირდება თითოეული კლასიდან რამდენიმე ბავშვის სწავლის შეწყვეტის ფაქტი. ბავშვების გადინების მაჩვენებელი პექს აღნევს მეცხრე კლასში, როცა სასწავლო პროცესს ყველაზე მეტი ბავშვი წყვეტს.

ფსიქოლოგი მაია ცირამუა ამბობს, რომ სკოლა ბავშვისთვის არა მხოლოდ განათლების მიღების, არამედ სოციალიზაციის გარემოცაა, ამიტომ მას განსაკუთრებული მიშვნებისა აქვს მოზარდის განვითარებისთვის. როგორც ის ამბობს, როცა ბავშვი საგანმანათლებლო სივრცის გარეშე რჩება ამან საბოლოოდ ბევრი პრობლემა შეიძლე-

ბა შექმნას – ჩნდება როგორც ქცევითი და ემოციური პრობლემები, ასევე ანტისოციალური და ძალადობრივი ქცევების რისკიც.

„განათლებას, ზოგადად, პრევენციის ძალიან დიდი ძალა აქვს. რაც უფრო მაღალია განათლების დონე და სოციალიზაციის ხარისხი, მით უფრო კლებულობს ანტისოციალური ქცევების ჩამოყალიბების რისკი. თუკი ვსაუბრობთ დანაშაულის პრევენციაზე და იმაზე, რომ ფსიქიურად ჯანსაღი თაობა გაგზარდოთ, ასეთი დამოკიდებულებით – როცა ბავშვი სკოლაში არ დადის და ამით მისი ფუნდამენტური უფლება ირღვევა – ამას ვერ შევქმნით. ვერდათ ბავშვებს, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ სკოლაში სწავლობდნენ, საქველმოქმედო თანხას აგროვებენ, ქუჩაში სხვადასხვა ნივთებსა და ყვავილებს ყიდიან. ეს ბავშვის უფლებების პირდაპირი დარღვევაა და ადმინისტრაცია, რომელმაც ამის შესახებ იცის, უნდა განაცხადოს და მიმართოს სოც.სააგენტოს, სახელმწიფო აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში, რადგან გამოდის, რომ ჩვენ ვერ ვიცავთ ბავშვების ფუნდამენტურ უფლებას“, – ამბობს მაია ცირამუა.

მიმდინარე წელს პროგრამის - „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დაწინებილი ბავშვებისთვის საქართველოში“ ფარგლებში დაგეგმილია სკოლის მიღმა დაწინებილი ბავშვების იდენტიფიცირების მიზნით არსებული საინფორმაციო ბაზებიდან განათლების სამინისტროსთვის ინფორმაციაზე წვდომის საკითხის დარეგულირება. ასევე, სამინისტრო პირებს საჯარო სკოლის პედაგოგთა მომზადებას ადრეული განთხესვის რისკის მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციისა და სასწავლო პროცესში მათი ინტეგრაციისთვის. □

შეადლისთვის თბილისის კრიზისული ინტერვენციის  
ცენტრში ბავშვები  
კომიტეტერული თამაშებით  
ირთობენ თავს

0411363420

კორონი და გარემო მოსახლეობის მაჯურად  
კოლეგიუმის გარემონტის მიზანი გადა-  
ლიპა სამითება კურსის წინ დაკავშირების  
წინააღმდეგ დასასრულდებოდა, რადგან ფი-  
ქტორისტები, რომ ასე სხვა გენერაციებს თა-  
ვინონ სექსუალურისა და ურიგონობრივე-  
ბრჩე ლიან საუნიკის მოტივაციებს მისცემონ.

—“ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ ଫେଲୁଥାର ମେଲୁଗ୍ରାହିତ କିମ୍ବା  
ରୂପୀ ନିମ୍ନ ପାଦି ଶୈଖରାଜୀ ନିର୍ବାଚି ମେଲୁଗ୍ରାହୀଁ  
ହେବୁ ଗମିଲାଯୁଗରେଣ୍ଟିଲ୍ ମେଲୁଗ୍ରାହିତ ମେଲୁଗ୍ରାହୀଁ  
ପାଶ୍ଚାତ୍ୟ ତ୍ରୈଳି ଶୈଖରାଜୀରୁ ଏବଂ ମେଲୁଗ୍ରାହିତ ମେଲୁଗ୍ରାହୀଁ  
ଶୈଖରାଜୀରୁ ମେଲୁଗ୍ରାହିତ ମେଲୁଗ୍ରାହିତ ପାଦି ଶୈଖରାଜୀରୁ  
ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ ଫେଲୁଥାର ମେଲୁଗ୍ରାହିତ କିମ୍ବା  
ରୂପୀ ନିମ୍ନ ପାଦି ଶୈଖରାଜୀ ନିର୍ବାଚି ମେଲୁଗ୍ରାହୀଁ  
—“ପରିମାଣରେ ଫେଲୁଥାର ମେଲୁଗ୍ରାହିତ କିମ୍ବା  
ରୂପୀ ନିମ୍ନ ପାଦି ଶୈଖରାଜୀ ନିର୍ବାଚି ମେଲୁଗ୍ରାହୀଁ



27 ნოემბრის გორგანი კუკურის გელი ინდუსტრიული ცენტრის მდგრადია. სხვა დასახურის სხეულისას კუკურის გელი კუკურის მდგრადი და კუკურის კუკურის მდგრადი სტაციონარის ურთიერთობის მიზნების ურთიერთობის მიზნები აქცი მოსაფეხულია. მეტყველე გორგანი კა სასახლის მიზნების და გრანიტის დაზიანების დაზიანების დაზიანების მიზნი ნამდვირეობის აუკანით გამოიყენების დაზიანებით.



## ՃՈՐԻԾՈՒՅԹՆ ԵՎ ՃՈՐԻԾՈՒՅԹՆ



ბასტი მეგალობლიშვილი




ମହାକୃତ ରାଜନୀତିଶ୍ଵରୁଙ୍ଗା ଅଛେ-ନ ଦୟାକାଳୀନ  
ମିଶ୍ର, ଗୁଣୀୟପତ୍ରିକା ଗୁଣୀୟପତ୍ରିକା ମିଶ୍ରକୁଟ୍ଟିବ୍ରାତ  
ଶ୍ରୀମତୀ ମିଶ୍ରଙ୍କା ଏବଂ ଶ୍ରୀମତୀ ମିଶ୍ରଙ୍କା  
ମହାକୃତ ରାଜନୀତିଶ୍ଵରୁଙ୍ଗା ଅଛେ-ନ ଦୟାକାଳୀନ  
ମିଶ୍ରଙ୍କା ମହାକୃତ ରାଜନୀତିଶ୍ଵରୁଙ୍ଗା ଅଛେ-ନ  
ଦୟାକାଳୀନ ମିଶ୍ରଙ୍କା ମହାକୃତ ରାଜନୀତିଶ୍ଵରୁଙ୍ଗା









ଉଦ୍‌ଘାଟନା  
ଶବ୍ଦଗୀରମ୍ଭ









## სხვა ზაფხულის ნიბნთა ბამო

მთიან სოფელში კი არა, ისეთ ადგილას, ზღვისპირა სოფელი რომ ჰქვია. მანდარინის ხეების სუნი და ნაჭაობარი ადგილების მლაშე სუნი რომ იგულისხმება ღია ფანჯრებიდან.

მარლაგაკურული ფანჯრები – კოლოები ვერ შემოვლენ. მთვარის შუქი შემოვა - ისიც მორიდებული მეზობელივით, ყოველდღე ორი კოვზი შაქრის სასესხებლად რომ შემოდის.

შენი ძალი ცივად ყეფს. ყმუილშერევით. ბაყაყები ყიყინებენ თუ არა, აღარ მახსოვს. წესით - კი, თან თუ წვიმას აპირებს. ამ სურათში მთავარი პირველის ათი წუთია. ამ დროს მატარებელი შემოივლის, ხუთი წუთით გაჩერდება, დაიკივლებს და გავა. არავინ იცის, ვინ ხვდება სადგურზე ან რატომ ხვდება. შეიძლება ლოთი კოტია და მესემიჩკე ირა. უფრო არავინ. ბათუმი-ოზურგეთი. შენ ლოგინში წევხარ, უკვე ორი საათია, იმ ხუთ წუთს უცდი და მერე დაიძინებ. მატარებელი შემოივლის, გაჩერდება, დაიკივლებს და გავა. ზაფხულია. ცხელი ღამე. არაფერია ამ წუთებზე სევდიანი და ამაო. უმიზეზოდ სევდიანი და ამაო. მაგრამ ხანაც ეს წუთები სხვა საქმეს ეთმობა. საქმეს რა – ფიქრს. მაგრამ ხან ფიქრიც ხომ საქმეა. ჩვენს დროში მაინც.



გიორგი კეკელიძე

მოკლედ, იმას გიყვებით, რომ ამგვარ ზა-ფხულებში, ძილამდე ვიდრე ხუთი წუთით ადრე არის იმ წიგნის გახსნების დროც, რაც დღის განმავლობაში წაიკითხე. ზაფხულის საათები კი, თუ სოფელში ხარ, თუ ოთხ-მოცდაათიანი წლებია – წიგნის კარადების ქაქასაც გულისხმობს. მით უფრო, რომ ყველანაირი გასართობი დაზვერილია და დაგემოვნებული. მანდარინის ხეებს შორის გავლებულ თხრილებში ომბანას თამაში და ახლო ხილულ სამყაროში ერთადერთი, მეზობლის მაგიდის ჩიგბურთის რიგში მი-ცვლამდე დგომა. გვიანი ბლის და საადრეო მსხლის ხეების დალაშქვრა და სხვანი. სხვა-

თაგან მთავარიც: ზღვაზე წასვლა. ამაზე ადრეც დავწერე და ახლაც ვიტყვი. ზღვა, მაგალითად სოფელ ნატანებიდან კილომეტრებშია – ცოტა მონდომებისას, ფეხით დასაძლევ გზაზე. მაგრამ იქ წასვლის სიხარული და მზადება, ბენზინის ფულის მოგროვება, მაგ: ნოდარას მარშუტკისთვის, უტოლდება გაცილებით შორიდან ჩამოსული სტუმრების რიტუალს. მიზეზი მარტივია და რთულიც – არაფერია ისე ახლო და შორი ქართველისთვის, როგორც ზღვა. ჩემთვისაც. არასდროს მომსვლია აზრად იქ მცხოვრებს, ზამთრის ან შემოდგომის სანაპირო მენასა. ზღვა ჩენჭში მხოლოდ ზაფხულობით იღვიძებს. ისიც უცნაურად, ძალიან უცნაურად. მოკლედ, ეს სხვა საქმეა. მე ღამის ჩაფიქრებების მიზეზებზე ვლაპრაკობდი.

ბიბლიოთეკებს, როგორც წესი, გურულები იდაში აწყობენ. ანუ მეორე სართულზე, „მასტიკიან“ ოთახში. მასტიკიანი ოთახი ცოტა მისტიკიანიცაა. მისტიკურობას ისიც იწვევს, რომ შიგნით შესვლისას საგარეო ფეხსაცმელი უნდა გაიხადო და ჩხაფუტები ჩაიცვა. მერე ცოტა გასრიალდე და პირდაპირ შეეჯახო ერთ გიგანტურ და გარეკანდალილ გამოცემას – საოჯახო წიგნს. დამავიწყდა მეთქვა, რომ ამგვარ ოთახებში, მზისგან დასაცავად, როგორც წესი, გაუმჯოვალე ფარდები ჰქიდია და გარეკანთა სახეებს ცოტა ამუქებს. ჰოდა, ეს საოჯახო წიგნი რაღაც ჰორორისას უფრო ჰგავდა, ვიდრე 1956 წლის ტექნიკისა და შრომის სახელმძღვანელოს. საერთოდ, ამ გამონაკლისის გარდა, წინა პლაზაზე სულ „კაი წიგნები“ ეწყო. „კაი წიგნები“ გულისხმობდა პრიალაყდიანებს, როგორც წესი, რაღაც სერიის ნანილებს, რომლის მთლიანად შეძენა ან პატრონმა ვეღარ შეძლო ან გამომცემელმა შეწყვიტა. ვისაც ახსოვს, საბჭოთა დროის მერე, რაღაც ხანი ამოქმედდნენ კოოპერატივები, რომლებიც პოპულარულ ავტორებს გამოსცემდნენ. მაგალითად, მაინ რიდს ან უიულ ვერნის. რაღაც ფურცელი ჰქონდათ, ტალონის მსგავსი, იმას ყიდულობდი და მერე ნელ-ნელა შლიდნენ ზედ დატანილ უკვე დაბეჭდილი წიგნების დასახელებებს. როგორც წესი, ნაუშლელი მეტი რჩებოდა, რადგან კოოპერატივი კოტრდებოდა ან სადღაც, მაშინდელ ახლო სამალავში იკარგებოდა და ახალი სახელით წამოყოფდა თავს. დაკარგვასთან დაკავშირებით თემატურია ერთი ასეთი წიგნი უკვე ხსენებული ავტო-

რისა „ოკეანეში დაკარგულები“, რომელიც ბარე ხუთჯერ წავიკითხე. ეს მეორე, მესამე წრე და ასე შემდეგ გარდაუვალი ამბავია, თუ ახალი წიგნები აღარ არის და ზაფხული კი, რა გასაკვირია, მეორდება. დიუმას „დედოფალი მარგო“, ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, კიტა ბუაჩიძის „შავი წიგნი“, გურამ ფანჯიკიძის „ფორცა, იტალია“, კონსტანტინე გამსახურდიას წოველები, მურმან ლებანიძის ლექსები გალაკტიონისადმი, უურნალ „მართვეს“ ათი წომერი და გერმანიიდან საიდანლაც ბებიაჩემის თაროზე მოხვედრილი მოდის კატალოგი, 1989 წლის. თვალის შეჩვევა გადამწყვეტი საქმეა, ეს და სხვა წიგნები, რომელსაც ყოველდღე ვხედავდი, აუცილებელი ნაწილი გახდა – მერე, როცა კარადა დაძეველდა, გამოიცვალა და წყობა დაიშალა, თავი უცხო სახლში მეგონა.

სოფლის ბიბლიოთეკის ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ეგეცაა, რომ იქ სელექცია აზრს კარგავს. ალბათ ასეთივეა ციხის ბიბლიოთეკაც, თუ იშვიათად ახლდება. კითხულობ ყველაფერს და ახლოს ხარ მდგომარეობასთან, ყველაფერი მოგწონდეს. უცნაური ამბავია. ძნელად გადმოსაცემი და დასასაბუთებელი, მაგრამ ასეა. ის წიგნები, რაც იმ კარადიდან წამიკითხავს, ალბათ დღევანდელ მკითხველს თავს ვერ შეახსენებს: ვანო ურჯუმელაშვილის „სამხრეთის ვარსკვლავი“, იაკინთე ლისაშვილის „ვარდნილი“, პარმენ ლორიას „ჩემი პატარა ოჯახი“, „ფილმი – ზღაპრები“ – რაღაც ანიმაციები ტექსტად, უტლევიზორობას რომ არ გაგრძნობინებდა. ჰოდა, ის წიგნები არანაკლებ მიყვარს, ვიდრე ტვენის, ფოკლენერის, მანის რომანები. სხვადასხვა მიზეზით წაკარნახევი სიყვარულა, მაგრამ თანაბრად ძლიერი.

კიდევ: სულ მანვალებდა ორი კითხვასურვილი. ჩემი სახლის წიგნების კარადიდან გამომყვა – რა ერქვა „ბების“ ავტორ ფზალტენს (რაღაც დროს საბჭოთა წიგნებს სახელს ასე აწერდნენ) და როგორ მთავრდებოდა იური ლევას „სამი გოდორა“. ფელქის ამბავი ადრევე გავიგე, გოდორას სამი გვერდი დღეს წავიკითხე, ამ სტატიას რომ ვწერდი.

ყველა წიგნს ვერ ჩამოვთვლი, ასზე ცოტა მეტია. ეს წიგნები მაფიქრებდნენ ღამ-ღამით, ზაფხულის ნესტიან დღეებში, ჩემს სოფელში, რომელიც ზღვასთან ძალიან ახლოს იყო და ძალიან შორს. ■

## ■ ბიბლიოთეკებს,

როგორც წესი, გურულები იდაში აწყობენ.

ანუ მეორე სართულზე, „მასტიკიან“ ოთახში.

მასტიკიანი ოთახი

ცოტა მისტიკიანიცაა.

მისტიკურობას ისიც იწვევს, რომ შიგნით

შესვლისას საგარეო ფეხსაცმელი უნდა

გაიხადო და ჩხაფუტები ჩაიცვა. მერე ცოტა

გასრიალდე და პირდაპირ შეეჯახო ერთ

გიგანტურ და გარეკანდალილ გამოცემას – საჯახო წიგნს.

დამავიწყდა მეორევა, რომ ამგვარ ოთახებში,

მზისგან დასაცავად, როგორც წესი, გაუმჯობესები

დამავიწყდა მეორევა, რომ ამგვარ ოთახებში,

მზისგან დასაცავად, როგორც წესი, გაუ-

მჭვირვალე ფარდები ჰკიდია და გარეკანთა სახეებს ცოტა ამუქებს.



პატიმრების ჯგუფი ბოხისით ნიკო ელიაშვა მისგან მარცხნივ  
თამამშევი ლიზიკო გაბუნიას კოლექცია, 1907 წელი.

# უფრისეულობრივი სასაფრაო

ფანტასტიკის უანრის ფილმების მოყვარულებისთვის უცხო არ არის სიუჟეტი, როდესაც გარკვეულ ადგილას „დროისა და სივრცის“ გამრუდება ხდება, წარმოიქმნება „პორტალი“ და იქ მოხვედრილი ადამიანები უკალოდ ქრებიან – სხვა განზომილებაში გადაინაცვლებენ ხოლმე.

არაეთიკური შედარების მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა მსგავსი ადგილები რეალურად დაუტოვა მის მსხვერპლ საზოგადოებებს. თბილისში კი ყველაზე ტრაგიკულ, მასობრივი გაუჩინარების ადგილად ორთაჭალის ციხე იქცა.

მეფის რეჟიმის დროს ორთაჭალის საგუბერნიო ციხის, ე.ნ. „გუბერნსკის“ რეპუტაცია მეტების საპატიმროს ფონზე უფრო ნაკლებად საშიში და „ლიბერალური“ იყო. მეტების ციხე ძირითადად პოლიტიკური პატიმრებისთვის განკუთვნილ მეცნიერებების საპატიმროდ იქცა და „უგალოონიკების“ ძირითადი მასის მიმღებად და გადამამუშავებლად ორთაჭალის ციხე დარჩა.

საბჭოთა ოკუპაციის პირველივე თვეებიდან, მასობრივი რეპრესიების დაწყების კვალობაზე, რომლის მთავარი სამიზნე პოლიტიკური მონინაალმდეგები იყვნენ, გადაიტვირთა მეტების საპატიმრო. მთელი 1920-იანი წლების განმავლობაში ორთაჭალას მეტებთან და ჩეკას წინასწარი დაკავების იზოლატორ-სარდაფებთან „პოლიტიკურების“ დიდი ნაკადების მიღება და მიმოცვლა უწევდა. ამ დროისათვის პოლიტპატიმრები ჯერ კიდევ ახერხებდნენ მეფის ციხეებში დამყარებული სტატუსკვის შენარჩუნებას და „უგალოვნიკებსა“ და „ბიტოვიკებისაგან“ განცალევებულ კოლონიად არსებობას, თუმცა საყოველთაო კრიზისის და გაღატაკების პირში, შიძიშილი და ეპიდემიები ერთნაირად ურტყამდა უკვე „№1 გამასწორებელ სახლად“ გადანათლულ „გუბერნსკის“ ყველა ბინადარას:

„...ჩვენ აქ ცივი წყალიც სანატრელი გვაქვს. უკვე სიცივეები დაიწყო და ვყრივართ

იატაკზე ფანჯრებჩამტვრეულ საკნებში, იატაკი კი ცემენტისაა. ავად გახდები და იმედი არ უნდა გქონდეს საავადმყოფოსი; წამლობას თავი დაანებე, საჭმელსაც არ გვაძლევენ, ჩვეულებრივი „კომუნისტური ულუფა“ არის იქაც და მეტი არაფერი. პირდაპირ ომი გვაქვს სიკვდილთან, ომი უთანასწორო და მსხვერპლიც დღითიდღე მატულობს. ერთი ვირის ტაჩქა აქვსთ სპეციალურათ ამ საქმისათვის და ძლივ აუდის. ეჭ, ისევ ჩვენი ვირი. მხოლოდ ამ პორუტყვს აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა: მუდამ მზათაა, გაბმულია; ნაიღებს ერთს, დატოვებს სასაფლაოზე და მოდის დაღონებული, თითქო ტირისო (არავინ იცის, მხოლოდ ხალხს სტირის თუ თავის ჯანს); მოვა საავადმყოფოს კარებთან, მოაბრუნებს „ტაჩქას“ და შემოსძახებს თავისებურ მაღალ ხმაზე, ორთაჭალის ჰანგებზე, თითქო მსახურთ უძახის – გამოიტანეთ ვისიც რიგიაო. ან იქნებ ტუსაღებს ამხნევებს – ნუ გეშინიათ, არც თქვენ დაგტოვებთო. ვირი მაინც უყვარსთ ტუსაღებს და ნატრობენ: ნეტა საავათმყოფოს ქონდეს ასე შეგნებული თავის დანიშნულება, მაშინ საწყალ ვირსაც ნაკლები ჯაფა ექნებოდაო...“

1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან ერთდროულად ორმა მოვლენამ განაპირობა ორთაჭალის ციხის ერთ-ერთ ყველაზე საზარელ ადგილად გადაქცევა. 1920-იან წლებში „კონტრრევლუციასთან“ პრძმლისას „წითელი ტერორის“ საუკეთესო ტრადიციების დაცვით საბჭოთა რეჟიმი არ ერიდებოდა მსხვერპლთა განადგურების ფაქტის გასაჯაროებას, მათი დახვრეტის შესახებ ცნობის პრესაში განთავსებასაც კი. როგორც წესი, ციხიდან პატიმრის პირადი ნივთების და ტანისამოსის ახლობლებისათვის დაბრუნება ან



ირაკლი ხვადაგიანი

■ ორთაჭალის ციხე ერთგვარ „შავ ყუთად“ იქცა, სადაც უკანასკნელ მომენტამდე თავად პატიმრებიც ვერ ხვდებოდნენ, საით მიჰყავდათ: „უკან ხელახალ დაკითხვაზე – შინსახუმში, დასახვრეტად თუ „ეტაპზე“. 1937-38 წლების მასობრივი ტერორის მძიმე წლებში ორთაჭალის კედლებში გამეფებული რეჟიმი ალბათ წარმოუდგენლად ჩანდა 1920-იან წლებგამოვლილი ვეტერანი „პოლიტიკურებისათვის“.

„პერედაჩის“ მიღებაზე უარი მსხვერპლის დახვერტის ან სიკედილის არაოფიციალური ნიშანი იყო. გადასახლების შემთხვევაში კი, როგორც წესი, პატიმარს თადარიგის დაჭერის საშუალებას აძლევდნენ და თარიღსაც ატყობინებდნენ.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ოფიციალური პროპაგანდით საბჭოთა სახელმწიფომ ლამის უკვე მიაღწია სოციალისტური საზოგადოების ფორმაციას, „კონტრევოლუციაც“ დამარცხდა, სამოქალაქო მოისა და წითელი ტერორის პრაქტიკაც ოფიციალურად წარსულს ჩაპარდა. თუმცა მალევე დაწყებული „შეფარული მტრების“ გამომტებულების კამპანიისას, 1937-38 წლებში შუალამით სახლიდან გაყალიბილი ადამიანების კვალი ძალზე დამოკლდა და ძველ დროსთან შედარებით ძნელად მოსახლეობის გახდა.

ამასობაში მეტების ციხე გაუქმდა – ძველი კორპუსების ნაწილი დაანგრიეს, ნაწილში კი ხელოვნების მუზეუმი განათავსეს. შესაბამისად, პატიმართა არნახული ნაკადი „გუბერნაციის“ დააწვა და ჭირისუფლების გრძელმა რიგებმაც ტრამვაის „კრუგთან“ გადანაცვლა, სადაც 1936-1937 წლებიდან მასობრივი „წმენდის“ მსხვერპლთა კვალი წყდებოდა. აქედან მოყოლებული, 1940-იანი წლების ბოლომდე, ერთეული გამონაკლისების გარდა, სასიკედილო განაჩენი პრესით არ გამოცხადებულა. პატიმართა ათეულ ათასობით ახლობლები კი ციხესთან მრავალთვიანი მორიგეობის შემდეგ ერთხელაც სტანდარტულ პასუხს იღებდნენ ხოლმე – „გადასახლებულია მიმოწერის უფლების გარეშე 10 წლით“.

ამ დროიდან ორთაჭალის ციხე ერთგვარ „შავ ყუთად“ იქცა, სადაც უკანასკნელ მომენტამდე თავად პატიმრებიც ვერ ხვდებოდნენ, საით მიჰყავდათ: „უკან ხელახალ დაკითხვაზე – შინსახუმში, დასახვრეტად თუ „ეტაპზე“. 1937-38 წლების მასობრივი ტერორის მძიმე წლებში ორთაჭალის კედლებში გამეფებული რეჟიმი ალბათ წარმოუდგენლად ჩანდა 1920-იან წლებგამოვლილი ვეტერანი „პოლიტიკურებისათვის“.

„...აბაზანისა და ტუალეტის ნესტიანი, ბინძური და მრუმე სალებავით დაფარული კედლები აჭრელებული იყო ფრჩხილებით ან შემთხვევით შერჩენილი თმის სარჭებით ამოკანრული წარწერებით. ამ წარწერებით ჩვენი შვილების შესახებ ვეკითხებოდით და

„ახლებიც“ ხშირად გვატყობინებდნენ ცნობებს იმავე გზით. დროდადრო წარწერებს შლიდები, ჩვენ გვაფრთხილებდნენ, რომ შეგვენყვიტა მიმოწერა და კარცერით გვემუქრებოდნენ, მაგრამ მიმოწერა მაინც გრძელდებოდა. საშინელება იყო ბავშვების წმინდა სახელების ამოკითხვა ამ მყრალ, სამარცხის კედლებზე.

...დადგა მარტის თვე, იშვიათად ცივი, თოვლიანი და ქარიშხლიანი. განთიადისას ფნჯარასა და ფარებს შუა ვხედავდით, როგორ სქალად ბარდნიდა თოვლი. ერთ საღმოს მოულოდნელად ჯუფებად დაიწყეს ჩვენი გაყანა კამერებიდან. ამან მძაფრი მღელვარება გამოიწვია – ჩანს დაკითხვაზე – გადავწყვიტეთ. ყოველმა ჩვენგანმა რეპეტიცია დაიწყო, რას და როგორ ილაპარაკებდა. კორიდორში ჯგროდ შეკრებილი მოველოდით დაკითხვის დაწყებას, მაგრამ საქმე სხვაგვარად წავიდა. ვიღაც სამხედროფორმინი ხალხი გამოჩნდა და თითოეული ჩვენგანს გვარით, სახელით და მამის სახელით გამოძახება დაიწყო და გვეუბნებოდნენ, რომ განაჩენი გამოტანილია. განაჩენი კი – სამიან ხუთამდე ან რვა წელი იყო, სამწლიანები კი სულ ცოტანი. მე რვა წელი მივიღე, ვტირიდით, ვითხოვდით დაკითხვას. ზოგმა უარი განაცხადა განაჩენზე ხელის მონერაზე, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგივე მოხდა სხვა რამდენიმე კამერაშიც. ჩვენც ეტაპის ლოდინი დავიწყეთ. რვა მარტის ღამით გვიპრძნეს ბარგი შეგვერა, ვისაც კი ასეთი რამ გაგვაჩნდა. ჩავიცვით თბილი ტანსაცმელი, უქონლებს გავუზიარეთ. შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს ჩვენი კამერებიდან გამოყვანა და ეზოში ჩაშევბა. ციხის უზარმაზარი ეზოს გავლით დიდხანს მივყავდით სადღაც. სიარულს გადაჩვეულები ვჩერდებოდით ხოლმე, ვჯდებოდით, რათა თეძმის სახსრების ტკივილი ჩაგვეხშო. თაქ დაგვდროალებდნენ და გვაჩეჩარებდნენ. საბოლოოდ ცარიელ, ელექტრონის შუქით მევეთრად განათებულ მოედანზე გაგვიყვანეს, სადაც სტუდებეერები იყო გამწკრივებული. ჩვენამდე განწირულმა ყვირილმა და ყრუგუგუნმა მოაღწია. ეს ციხის მეორე მხარეს, რიგში მდგომი ჩვენი ახლობლები რაღაცნარად მიხვდნენ, რომ მივყავართ და საშინლად აღელვებულები მოვარდნენ. ჩვენ აქ ქვითინი ამოკეშვით და თავისათვად, საპასუხო გუგუნიც მოგვესმა მწუხარებისაგან გაგიჯებული ჩვენების ტალღისაგან. ჩვენ ბავშვებისგან,

დედ-მამისგან, მშობლიური მხარიდან, ყველა-ფრისაგან გვაგლევდნენ, რასაც კი ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდა. ქარი სქელ ფანტელებს ატრიალებდა. გაყინულები დიდხანს ვიდექით, რადგან სხვა კამერების პატიმრების მოლოდინში საბარგოებში ჩასხდომამდე დიდხანს გვაჩრებდნენ. მთელი ამ დროის განმავლობაში, ჩვენ ხან გარკვევით, ხანაც ყრუდ გვემოდა ყვირილი და გუგუნი. ეს ჩვენს ახლობლებს ერეკებოდნენ, მაგრამ ისინი კიდევ და კიდევ ანყდებოდნენ ჩვენები. საპასუხოდ ჩვენ უფრო ძლიერ ვქვითონებდით. ბოლოს გვიპრძნეს ჩასხდომა, ერთმანეთის მიყოლებით ვძვრებოდით საბარგულში და იატაკზე ვთაქსდებოდით. თითოეული მათგანის კუთხეში დაცვა – ოთხი ახალგაზრდა ყმანებილი იდგა, უზარმაზარ ბენვის ქურქსა და ქუდში, ფეხზე შეყენებული თოვებით. ისინი რუსეთიდან სპეციალურად გადმოიყვანეს ამ საქმისათვის..."

1940-იანი წლების ბოლოდან ორთაჭალიდან „10 წლით მიმონერის უფლების გარეშე“ გამქრალი ადამიანების ახლობლებთან „მმარის“ ცონბებმა დაიწყო დენა, რომლებიც გადასახლებაში მყოფი პატიმრების სხვადასხვა ავადმყოფობით გარდაცვალების შესახებ იუნიებოდნენ. საბჭოთა რეჟიმის მამებმა მანც სახიფათოდ მიიჩნიეს იმ ინფორმაციის გავრცელება, რომ „გადასახლებულთა“ დიდი ნაწილი სინამდვილეში მაღევე დახვრიტეს თბილისში. ნაწილი ძიებისას სასტიკ წამებას და ციხის არაადამიანურ პირობებს ემსხვერ-

პლა, გადასახლებულთა ნაწილმა კი საკონცენტრაციო ბანაკამდე ვერც ჩააღნია.

1990 წლს ფარიკის ეზოში მუშების ბარაკების უკან გარაუის მშენებლობა წამოიწყეს. ფერდობზე მიწის მოქრისას დიდი რაოდენობით ნაპოვნმა ძვლებმა, მშენებლები შეაშინა და დასახმარებლად თფიციალურ ორგანოებს მიმართეს. ინფორმაცია გავრცელდა – „რუსთაველის საზოგადოების“ წევრების ინიციატივით, კინოდოკუმენტალისტთა ჯგუფმა ფაქტი ფირზე გადაიღო. ცნობა საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა სავარაუდო სამარხის აღმოჩენის შესახებ პრესაშიც გამოჩნდა. თუმცა საზოგადოების რეაქცია ცივი და მოულოდნეული გამოდგა – ადგილი ძალიან ახლოს იყო – ორთაჭალის ციხესთან – და „ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენლებმაც პირად საუბრებში აღმოჩენებს აგრძობინეს, რომ „ციხის სასაფლაო“ ხსოვნის საყურადღებო ადგილი არ იყო.

დღეს ორთაჭალის ციხის სასაფლაო საყოფაცხოვრებო წარჩენებით და ნაგვით სავსე, მიტოვებული და გაველურებული ადგილია. ადგილი, სადაც გვერდიგვერდ წვანან, პროფესიონალი ჯიბის ქურდი, რამდენიმე კილოგრამი „სოციალისტური საკუთრების“ დამშეული გამტაცებელი, მეფის კატორდაგამოვლილი ძველი რევოლუციონერი და დამფუძნებელი კრების დეპუტატი – იმ ათიათასობით „ზეკის“ მცირე წანილი, რომლებიც ორთაჭალის „პორტალმა“ ახლო მანძილზე გადაამისამართა. □

■ დღეს ორთაჭალის ციხის სასაფლაო საყოფაცხოვრებო წარჩენებით და ნაგვით სავსე, მიტოვებული და გაველურებული ადგილია. ადგილი, სადაც გვერდიგვერდ წვანან, პროფესიონალი ჯიბის ქურდი, რამდენიმე კილოგრამი „სოციალისტური საკუთრების“ დამშეული გამტაცებელი, მეფის კატორდაგამოვლილი ძველი რევოლუციონერი და დამფუძნებელი კრების დეპუტატი – იმ ათიათასობით „ზეკის“ მცირე წანილი, რომლებიც ორთაჭალის „პორტალმა“ ახლო მანძილზე გადაამისამართა.

## ზან მარი ორანისთვის ჩართული ღვინო აღმოჩენა გახდა

ივნისის დასაწყისში საქართველოს რამდენიმე დღით ვაზია და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) გენერალურ დირექტორი უან მარი ორანი ეწვია. 5-7 ივნისს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-კორპიაში“ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენა ჩატარდა, რომლის ფარგლებში OIV-ს ოფიციური პატრონაჟით ღვინის მე-7 საერთაშორისო კონკურსი მართდა. უან მარი ორანი კონკურსის სპეციალური სტუმარი ყო. „მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტით. საქართველოშისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის ძალიან აქტური წევრია. კამაყოფილი ვარ ქართული ღვინის მრავალფეროვნებით, ეს ყველაფერი აღმოჩენა ჩემთვის. საქართველო

უძველესი ღვინის კულტურის ქვეყანაა. ძალიან მნიშვნელოვანი სიმდიდრეა ღვინის დაყენების თქვენი, ადგილობრივი მეთოდები“, – აღნიშნა უან მარი ორანმა კახეთში სტუმრობის დროს, სადაც მან რამდენიმე ღვინის ქარხანა დაათვალიერა. კახეთში ჩავლამდე, OIV-ს გენერალური დირექტორი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჰილაურას სანერგე მეურნეობას და ასევე ერთ-ერთ ღვინის კომპანიას ეწვია. უან მარი ორანს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია შეხვდა.

[www.georgianwine.gov.ge](http://www.georgianwine.gov.ge) [www.facebook.com/Wines.of.Georgia](http://www.facebook.com/Wines.of.Georgia)



# ერი ნატაშის ყველაზე პატარა ნამდვილი ნამდვილი

ლეოპარდი დიდი კატების ყველაზე პატარა წარმომადგენელია, თუმცა ის პატარა ცხოველი სულაც არ არის – სიგრძეში კუდიანად დაახლოებით 2 მეტრამდე აღწევს, კუდის ზომა ერთ მეტრზე მეტიც შეიძლება იყოს. ხვადი ლეოპარდები 90 კილოგრამამდე აღწევენ, ხოლო ძუები 60-მდე. ამ ძალიან ძლიერი ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობა (ტყვეობაში რაც არის დაფიქსირებული) 21 წელს აღწევს. დიდი კატების წარმომადგენელთაგან ლეოპარდი ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. თუკი ვეფხვი მხოლოდ აფრიკაში გვხვდება, იაგუარი მხოლოდ სამხრეთ ამერიკაში, ლომის გავრცელების არეალი კი საკმაოდ შეზღუდულია, ლეოპარდის გავრცელება მოიცავს აფრიკასაც და აზიასაც. წარმოიდგინეთ, ის დღემდე ბინადრობს კავკასიაში.



ზურაბ გურიელიძე

ბოლო ტაქსონომიური კვლევის შესაბამისად, ლეოპარდების 20-ზე მეტი ქვესახეობა 9 ქვესახეობად გააქრთიანეს. ესნი გახლავთ: *Panthera pardus pardus* – აფრიკული ლეოპარდი, *Panthera pardus fusca* – გვევდება ინდოეთის სუბკონტინენტზე, *Panthera pardus kotiya* – ბინადრობს შრი ლანკაზე, *Panthera pardus melas* – იავური ლეოპარდი, *Panthera pardus japonensis* – ჩრდილოეთ ჩინური ლეოპარდი, *Panthera pardus delacouri* – სამხრეთ ჩინური ლეოპარდი, *Panthera pardus nimr* – არაბეთის ნახევარკუნძულზე მობინადრე ლეოპარდი, *Panthera pardus orientalis* – ამურის ლეოპარდი, *Panthera pardus saxicolor* – ნინაზიური ლეოპარდი, რომელიც გავრცელებულია კავკასიაშიც. ამურის ლეოპარდთან ერთად ეს უკანასკნელი ამ ცხოველის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქვესახეობაა.

ლეოპარდი ფიზიკურად ძალიან ძლიერი ცხოველია. მართალია ის დიდ კატებს შორის ყველაზე პატარაა, მაგრამ წონასთან შეფარდებით ის ყველაზე ძლიერია – მას შეუძლია თავის წონაზე ორჯერ მდიმე მსხვერპლის ხეზე ატანა. სიმაღლეში დაახლოებით 3 მეტრამდე, სიგრძეში კი 6 მეტრამდე ხტება. მისი სისწრავე საათში 60 კმ-მდეა. ცხოველი საკმაოდ რთული შესანახია ტყვეობაში – ლეოპარდისთვის მხოლოდ და მხოლოდ დახურული ვოლიერებია რეკომენდებული, რადგან მას ნებისმიერი სიმაღლის ღია ვოლიერიდან შეუძლია გაქცევა.

სიძლიერის მიუხედავად ლეოპარდი გადაშენების საფრთხის პირას მყოფი ერთ-ერთი

სახეობაა. ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის კლასიფიკაციის მიხედვით, ლეოპარდი გადაშენების რისკის ქვეშ მყოფი სახეობაა. შეიძლება ითქვას, რომ შედარებით მრავალ-რიცხოვანი მხოლოდ ინდური და აფრიკული ლეოპარდები არიან. განსაკუთრებით მცირე-რიცხოვანი ჯგუფი ნინაზიური ლეოპარდია, რომელიც, წესით, ჩრდილოეთ კავკასიაში – რუსეთის ნაწილში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, ირანში და შესაბამის ქვეყნებში უნდა იყოს გავრცელებული, თუმცა სად და როგორ გვხვდება, ეს ცალკე საკითხია.

გავრცელების ასეთი ფართო არეალის მოუხედავად, ნინაზიური ლეოპარდი ყველგრი საკმაოდ მცირე რაოდენობით გვხვდება. ამ ქვესახეობის ყველაზე დიდი პოპულაცია ირანში გვხვდება, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის. თურქეთში ბოლო პერიოდში ლეოპარდის არსებობის ნიშნებს მიაკვლიე, 2014 წელს კი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ერთ ცხოველი მოიპოვეს. ასევე არსებობს ინფორმაცია, რომ ლეოპარდი ტრაპიზონთან ნახეს, რაც ძალიან სასიხარულო უნდა იყოს ჩვენთვის, რადგან საქმაოდ ახლოს არის ჩვენს საზღვრებთან. თუმცა ზოგიერთი მკვლევრის ცნობით, ეს ინფორმაცია არ დასტურდება. ლეოპარდები გვხვდება სომხეთშიც, მაგრამ მცირე რაოდენობით, მაგრამ ეს ცხოველები იქ მუდმივად არიან. ანალოგიური სიტუაციაა აზერბაიჯანში. რაც შეხება ჩრდილოეთ კა-



ვეასიას, ცხოველის ინტენსიური ძებნის მიუ-  
ხედავად, ლეოპარდის პოვნა იქ ჯერ ვერ მო-  
ხერხდა.

საქართველოში ლეოპარდი უკვე დიდი  
ხნის განმავლობაში საქმაოდ იშვათ სახეო-  
ბას წარმოადგენს. ჩვენთან მეოცე საუკუნეში  
რამდენჯერმე იყო დაფიქსირებული – 1950  
წელს ლარსთან – ყაზბეგის მახლობლად და  
ზნაურის რაიონში; 1952 წელს ცხინვალთან;  
1954 წელს ზედაზენთან (ყველა ეს ცხოველი  
მოკლეს); 1955 წელს მისი კვალი ლაგოდების  
ნაკრძალში, 1956 წელს კი ბზიფის ხეობაში ნა-  
ხეს. შემდეგ 1977 წელს უკვე ჯიქი გამოჩნდა  
– სპერზას მთაზე ალაზნის სათავეებში, 1979  
და 1986 წლებში უკვე არხოტში ნახეს.

შემდეგ ცხოველი გაქრა და კარგა ხანს გა-  
დაშენებულიც ეგონათ. იყო ინფორმაცია, რომ  
ამა და ამ ადგილას ცხოველს წააწყდნენ. მის  
საძებნელად ექსპედიციები ტარდებოდა თუ-  
შეთში, არხოტში. ისევ მოდიოდ ინფორმაცია  
სპერზის მთიდან, თუმცა, სამწუხაროდ, მისი  
არსებობის უტყუარი ფაქტები არ მოგვეპოვე-  
ბოდა.

სასიხარულო ამბავი გავიგეთ 2004 წელს,  
როდესაც სახეობათა კონსერვაციის ცენტრ  
„ნაკრესის“ მიერ ვამლობანის ეროვნულ პა-  
რკში დაგებულმა ფოტოხატანგმა ლეოპარდი  
დააფიქსირა. კავკასიაში ფოტოზე პირველად  
დააფიქსირებული ლეოპარდი ახალგაზრდა  
ხვადია. ფოტოხატანგების მეშვეობით ამ ცხო-  
ველზე მონიტორინგი ხუთი წლის განმავლო-

ბაში მიმდინარეობდა და არაერთი ფოტოც  
დაგროვდა. ბოლოს მისი კვალი 2009 წელს  
ვნახეთ, შემდეგ ეს ლეოპარდი გაქრა.

ვამლოვანის პარკში ლეოპარდის ნახვა მოუ-  
ლოდნელი იყო. აქ ამ ბინადრობენ დიდი ზო-  
მის ჩილიქსნები, მხოლოდ ღორი გვხვდება  
პერიოდულად. ასე რომ, ლეოპარდისათვის  
საკვები ბაზა ძალზედ დარიბია. მიუხედავად  
ამისა, როგორც ჩანს, ვამლოვანში ლეოპარდ-  
მა საკუთარი ადგილი ნახა და მისი ძირითადი  
საკვები სავარაუდოდ ქვენარმავლები და კურ-  
დღლები იყო.

ლეოპარდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარუ-  
ლი, ე.წ. ვარსკვლავი სახეობაა და მის აღდ-  
გენასთან დაკავშირებით საქმაოდ სერიოზუ-  
ლი ინტერესია. ერთ-ერთი ასეთი პროექტი  
რუსეთში, სოჭთან ახლოს მიმდინარეობს. ამ  
სახეობის აღდგენა საქართველოშიც გვაქვს  
განზრახული. მოვაწყვეთ ვოლიერები და სა-  
ფრანგეთიდან ჯერჯერობით ორი ხვადი ლეო-  
პარდი ჩამოვიყანეთ. გარკვეული დროის შემ-  
დეგ უფროსი, 8 წლის ედუარდი სხვა ქვეყანაში  
გაემგზავრება, მის ნაცვლად კი 2 წლის სალა-  
მისთვის ძეს ჩამოვიყვანთ. ამის შემდეგ მათ  
გამრავლებას დავიწყებთ.

თბილისის ზოოპარკში გვყავდა წინააზიური  
ლეოპარდი ლეო, რომელმაც 20 წელზე მეტი  
იცოცხლა და 3 წლის წინ დაიღუპა. ასაკისგან  
დააპატარავებული ლეო ახლომახლო ტყვეო-  
ბაში მყოფი ერთადერთი ლეოპარდი იყო კა-  
ვკასიაში. სწორედ ლეოს დაღუპვის შემდეგ

■ ლეოპარდი ფიზიკუ-  
რად ძალიან ძლიერი  
ცხოველია. მართალია ის  
დიდ კატეპს შორის ყვე-  
ლაზე პატარაა, მაგრამ  
წონასთან შეფარდებით  
ის ყველაზე ძლიერია  
– მას შეუძლია თავის  
წონაზე ორჯერ მძიმე  
მსხვერპლის ხეზე ატანა.  
სიმაღლეში დაახლოებით  
3 მეტრამდე, სიგრძეში  
კი 6 მეტრამდე ხტება.  
მისი სისწრაფე საათში  
60 კმ-მდეა. ცხოველი  
საკმაოდ როტული შესანა-  
ხია ტყვეობაში – ლეო-  
პარდისთვის მხოლოდ  
და მხოლოდ დახურული  
ვოლიერებია რეკომენ-  
დებული, რადგან მას ნე-  
ბისმიერი სიმაღლის ღია  
ვოლიერიდან შეუძლია  
გაქცევა.

■ სასიხარულო ამბავი გავიგეთ 2004 წელს, როდესაც სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესის“ მიერ ვაშლოვანის ეროვნულ პარკში დაგებულმა ფოტოხაფანგმა ლეოპარდი დაფიქსირა. კავკასიაში ფოტოზე პირველად დაფიქსირებული ლეოპარდი ახალგაზრდა ხვადია. ფოტოხაფანგბის მეშვეობით ამ ცხოველზე მონიტორინგი ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და არაერთი ფოტოც დაგროვდა. ბოლოს მისი კვალი 2009 წელს ვნახეთ, შემდეგ ეს ლეოპარდი გაქრა.

გადავწყვიტეთ, ზოოპარკში აუცილებლად მოგვყვანა წინააზიური ლეოპარდი. გვთავაზობდნენ შორეული აღმოსავლეთის ლეოპარდს, ამჟრის, იგივე, ციმბირულ ლეოპარდს, ან აფრიკულს, რომელიც მკაფიო შეფერილობით გამოირჩევა. დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდით ადგილობრივი ქვესახეობის ცხოველების პოვნას. დღეს ისინი უკვე თბილისის ზოოპარკში ცხოვრობენ.

საერთოდ ლეოპარდი დიდი ზომის ცხოველებით იყვებება და მისი საკვები ბაზა ძალიან მინშვნელოვანი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ლეოპარდი უპირატესობას დიდი ზომის ძუძუმწოვრებს ანიჭებს, თუმცა მას ძალიან ბევრი სახეობით შეუძლია კვება, მათ შორის, ქვეწარმავლებითაც კი. მაგალითად, აფრიკაში მისი ძირითადი საკვები ანტილოპა გახლავთ, მსხვერპლი, რომელიც ლეოპარდებს ხეზეც კი ააქვთ ხოლმე. წარმოიდგინეთ ცხოველის ძალა, რომელსაც თავისივე წონის ან უფრო მძიმე ცხოველი პირით შეუძლია აიტანოს ძალიან დიდ სიმაღლეზე და იქ დაკიდოს. ეს იმის გამო ხდება, რომ ლომებმა და აფთირებმა საკვები არ წაართვან.

ლეოპარდი აფრიკაშიც კი ძალიან რთულად მოსახელთებელი ცხოველია. აფრიკის დიდი ხუთეულის ცხოველებიდან, რომელთა ნახვაც ადამიანებს ყველაზე მეტად აინტერესებთ (სპილო, ლომი, მარტორქა, გარუული კამერი და ლეოპარდი), ყველაზე რთული სანახავი სწორედ ეს უკანასკნელია, თუმცა მათი რაოდენობა არც ისე მცირეა.

აფრიკაში ერთ-ერთი ვიზიტოსას ორი ლეოპარდისა და ძულომის ჩხუბს შევესწარი. ლეოპარდები ერთმანეთის ალერსით იყვნენ გართული, როცა ბუჩქარიდან გამოვარდა ძულომი და თავს დაესხა ლეოპარდების ნევილს. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ ისინი ხეზე აძვრნენ. შესაბამისად, ძულომმა დაიკავა ტერიტორია და ლეოპარდები დიდხანს ელოდებოდნენ მის წასვლას.

სიძლიერისა და მოქნილობის მიუხედავად, ლეოპარდი საკმაოდ სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი წადირობა და ბრაკონიერობა. ცოტა ხნის წინ აფრიკაში აღმოჩინეს ერთი მონადირის საცავი, სადაც ლეოპარდის დახსლობით 200-მდე ტყავი ინახებოდა.

ჩვენთანაც, წინააზიური ლეოპარდის გადაშენება ძირითადად ბრაკონიერობის „დამსახურებაა“. დიდი ხანია, რაც საქართველოში ეს ცხოველი იშვიათობაა. 1950-იან წლებში ზე-

დაზენზე ერთი ლეოპარდი მოკლეს. როგორც ამბობდნენ, კვალი ლაგოდების ნაკრძალსა და აფხაზებთში ნახეს. 60-იან წლებში ცხოველზე არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა. 70-იან წლებში კი ზვავში ლეოპარდის კუდი და სხეულის ნანილები იპოვეს. ამავე პერიოდში საქაოდ ხშირად მოდიოდა ინფორმაცია არხოტიდან. 1980-იან წლებში ამ ინფორმაციის მოდინება შეწყდა. 90-იან წლებში ისევ იყო საუბრები, რომ ამა და ამ ადგილას ლეოპარდი ნახეს. 2004 წელს კი ეს ცხოველი დოკუმენტურად დაფიქსირდა ვაშლოვანის ეროვნულ პარკში, ანუ იმ ადგილას, სადაც ყველაზე ნაკლებად ვეძებდოთ.

რაც შეეხება ლეოპარდის რეინტროდუქციის საკითხს, ერთია ცხოველების გამრავლება, მეორე კი, გაცოლებით რთული, მათი ბუნებაში დაბრუნების საკითხია. ზოგადად დიდი მტაცებლების რეინტროდუქცია საკმაოდ რთული და პროცედურული საკითხია. ერთი მხრივ, რთული ტექნიკურად, იმიტომ რომ ეს ცხოველი ინტელექტუალურად კარგად არის განვითარებული, ეზვევა ადამიანს და შემდეგ მისთვის ძალიან რთული ბუნებრივ გარემოსთან ადაპტირება. მეორე რთული საკითხი ის გახლავთ, რომ ლეოპარდი საკმაოდ სახიფათო ცხოველა. მაგალითად, ინდიეთში ზოგჯერ ლეოპარდი კაციქამიობითა დაკავებული და საკმაო რაოდენობით ადამიანებიც ჰყავს მირთმეული. ლეოპარდი ყველა შემთხვევაში უნდა აღდგეს, მაგრამ როგორ უნდა მოხერხდეს ბუნებაში მისი დაბრუნება, ამ მიმართულებით ძალიან ბევრი და რთული სამუშაოა ჩასატარებელი.

ლეოპარდი სოლიტარული (მარტოსული) ცხოველია, ის მარტო ცხოვრობს და საკმაოდ დიდი ინდიებულური ტერიტორია აქვს. ხვადი მხოლოდ გამრავლების პერიოდში პოულობს ძუს. მისი ტერიტორია 3-4 ძუს ტერიტორიას გადაფარავს და ხვადიც მორიგეობით სტუმრობს სხვადასხვა ძუს. ისეთ ადგილებში, სადაც სხვა დიდი მტაცებლებიც ცხოვრობენ, ლეოპარდი ძირითადად ხეზე ყოფნას არჩევს. მას ძალიან კარგად შეუძლია ცოცვა და ხტომა. რაც შეეხება კავკასიას, აქ ლეოპარდისთვის ხეზე ყოფნა უკვე ნაკლებადაა დამახასიათებელი. ის ძირითადად მთიან ადგილებში ცხოვრობს და მინახეც ჩვეულებრივ გადაადგილდება, რადგან აქ მას პრინციპში კონკურენტი არ ჰყავს, ანუ არ არის ცხოველი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს.

ლეოპარდს შეუძლია გადაიაროს დასახლებული პუნქტები, მათ შორის დიდი ქალაქები ისე, რომ საერთოდ ვერ დააფიქსირონ. იყო

შემთხვევა, როდესაც ლეოპარდი გამოჩნდა კეიპტუნთან. Table mountain ჰქვია ადგილს, სადაც ცხოველები არ ცხოვრობდნენ. ერთხელ შემთხვევით იქ ლეოპარდი აღმოჩნდა. ეს ცხოველი Table mountain-ზე ვერანაირად ვერ აღმოჩნდებოდა, თუ ამ უზარმაზარ მეგაპოლისს არ გადაკვეთდა.

ასევე, მაგალითად, აფრიკაში, შონას ტომის ტრადიციის მიხედვით, რაღაც ასაკამდე ბავშვი არ შეიძლება შშობელთან ერთად იყოს. ღამით პატარებს მაღალ ფეხებზე შეეწყობულ ქოხებში აწვენენ და ქოხის კარს ამოაშენებენ. ერთ-ერთი ვერსიით, ამას სწორედ ბავშვების ლეოპარდისგან დასაცავად აკეთებენ. ეს ცხოველი თავისუფლად გადაადგილდება სოფლებში, თანაც ისე, რომ ადამიანმა შეიძლება საერთოდ ვერც კი შეამჩნოს ის.

კატები ძირითადად სოლიტარული ცხოველები არიან. ერთადერთი სოციალური ცხოველი მათ შორის ლომია, რომელსაც თავისი პრაიდები აქვს. დანარჩენი ყველა კატა მარტო ცხოვრობს. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ფიზიკური მონაცემების გამო მათ დამოუკიდებლად ძალიან კარგად შეუძლიათ საკვების მოპოვება. ამას გარდა, ლეოპარდს ოთხივე თათი ძალიან სერიოზულად აქვს „შეიარაღე-

ბული“ ბრჭყალებით, რომელსაც სანადიროდ იყენებს. სიარულის დროს ისინი ეკეცება და არ ბლავვედება, განსხვავებით მგლისაგან, რომელიც ბრჭყალებს გადაადგილებისას იყენებს.

ლეოპარდის ნადირობის მეთოდი განსხვავდება ძალლისნაირების ნადირობის მეთოდის-გან – ლეოპარდი ჩასაფრებით ნადირობს, გამოდევნების მონაკვეთი კი ძალიან მოკლეა. ასეთ დროს ცხოველი დაახლოებით საათში 60 კილომეტრამდე სისწრაფეს ავითარებს. ლეოპარდს თავისუფლად შეუძლია ხეზე ნადირობაც. საკმაოდ ხშირად მის საკვებს ხეზე მცხოვრები მაიმუნებიც შეადგენენ.

ყველაფერთან ერთად, არსებობს ასეთი ცნება – ვერსატილობა, ადაპტაციის შესაძლებლობა, თუ რამდენ ჰაბიტატში შეიძლება ესა თუ ის ცხოველი ბინადრობდეს. ლეოპარდი კატებში ყველაზე ვერსატილური ცხოველია. მას, ერთი მხრივ, შეუძლია ცხოვრობდეს ძალიან მკაცრ სიცივეში, ისეთ ადგილას, როგორიც არის აღმოსავლეთ ციმბირი და, მეორე მხრივ კი – აფრიკაში. ასევე შეუძლია სტეპში, ტყეში, მთაში თუ ნებისმიერ ადგილას ცხოვრება, თუ-მცა ადამიანმა მაინც მოახერხა ამ საკმაოდ ძლიერი ცხოველის განადგურება. ☐



უურნალ „ლიბერალისა“  
და თბილისის ზოოპარკის  
ერთობლივი პროექტი

## სტამბა „სეზანი“ გთავაზობთ

**ქალალდის შესაფუთი მასალების ფართო სპექტრს:**

კრაფტის ქალალდის ჩანთებს,

ქალალდის ჭიქებს, ყუთებსა

და სწრაფი კვების სხვა შესაფუთ მასალებს

**CEZANNE**  
PRINTING HOUSE



## ყველა შესაძლო ფარი!

საქართველო, თბილისი 0119, წერეთლის 140

ტელ.: +995 32 235 70 02; +995 32 235 70 05

[www.cezanne-web.com](http://www.cezanne-web.com)



© მთავრობის სამინისტრო

## ლუდი საბჭოთა წავშირი

ლუდის თემა საბჭოთა კავშირში მრავალმხრივ საინტერესო იყო. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი იყო ქვეყანა, რომელიც, ასე ვთქვათ, მკაცრი წესებით ცხოვრობდა, მეორე მხრივ კი, ის იყო რუსეთის იმპერიის მემკვიდრე, იმპერიის, რომელსაც ჰქონდა პრობლემა – მისი მოქალაქეები სვამდნენ.



ლევან ბერძენიშვილი

საბჭოთა კავშირში ლუდს ცოტას სვა-  
მდნენ. 30-იან წლებში ერთ სულ მოსა-  
ხლეზე 13 ლიტრი მოდიოდა, მაშინ რო-  
დესაც არყის მაჩვენებელი 7,5 ლიტრი  
იყო (ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული  
მაჩვენებელია განსაკუთრებით იმის  
გათვალისწინებით, რომ არაყს ყვე-  
ლა არ სვამს). ამიტომაც ამ ქვეყანაში  
სმა, უპირველეს ყოვლისა, არაყთან იყო  
დაკავშირებული.

ზოგადად სმა საბჭოთა კავშირში დასაშ-  
ვებ, თუმცა არცთუ კომუნისტურ ჩვეულე-  
ბად ითვლებოდა. ქვეყანას, სადაც ყველა  
არაყს სვამდა, ჰყავდა ხელმძღვანელი,  
რომელიც ალკოჰოლის ამ სახეობას არ  
სწყალობდა. სწორედ ამხანაგმა სტალინ-  
მა მოიფიქრა ცბიერი გეგმა, როგორ უნდა  
შეემცირებინათ არყის მოხმარება ლუდის  
პოპულარიზაციის გზით და ნანილობრივ  
გადაერჩინათ რუსი ხალხი, რომელიც მას,  
მგონი, გულწრფელად უყვარდა.

იცოდა რა რუსების ხასიათი, არაყთან  
მათი ფილოსოფიური და, ვიტყოდი, ეგზის-  
ტენციალური დამოკიდებულება, ამხანაგმა  
სტალინმა გადაწყვიტა ნელ-ნელა შეეპარე-  
ბინა არყის ნაცვლად ლუდი. ეს კაცი რომ  
რამეს რომ მოიფიქრებდა, ეს კიდევ ცალკე  
ამბავი იყო.

30-იან წლებში სტალინს მშრალი კანო-  
ნის მიღებაც კი შესთავაზეს, თუმცა ამე-  
რიკულმა გამოცდილებამაც აჩვენა, რომ ეს  
სისულელე და რთულად შესასრულებელი  
ამოცანა იყო, თანაც პოპულარობის საში-  
ნელ დაცემასაც უკავშირდებოდა. ლუდის  
ნინ ნამონევის „ოპერაცია“ სტალინმა ასე  
წამოიწყო – რომელიღაც ყრილობაზე, ვი-  
თომ შემთხვევით, ჩრდილო ოსეთის ნარ-  
მომადგენლებს შეხვდა და ერთი შეხედვით  
უწყინარი შეკითხვა დასვა – ისევ აღუდე-  
ბენ თუ არა ალანები ლუდს.

ზოგადად კავკასიაში ოსური ლუდი მაში-  
ნაც ცნობილი იყო და ახლაც ცნობილია.

სტალინის კითხვაზე პასუხად გაირკვა, რომ ჩრდილო ოსეთში ლუდი ადუდებდნენ. მეტი არაფერი. ამას მაღალი დონის მოხელებისგან ბრძანება მოჰყვა – არიქა, ოსური ლუდის წარმოება უნდა დაიწყოს და რომელიმე დამსახურებულმა ბოლშევიკმა საგანგებოდ ამხანაგ სტალინისთვის ლუდი უნდა მოხარშოს. ასეთი დამსახურებული ბოლშევიკი ამხანაგი მედოვი აღმოჩნდა, რომელმაც მითითება შეასრულა. სტალინისთვის ლუდის მოხარშვისა და გაგზავნის სპექტაკლს მაყურებელი უხვად ჰყავდა. ეს პროცესი ფოტოფირზეც დაფიქსირდა.

როცა გაცხადდა, რომ ამხანაგი სტალინი ლუდს სვამდა, რუსი ხალხი ლრმად და საფუძლინად დაფიქრდა. ამ უკანასკენელმა ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარება 13-დან 24 ლიტრამდე აიყვანა.

ეს 30-იანი წლების ამბებია. ლუდის მოხმარებელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამ ყველაფერთან დაკავშირებით უამრავი მითი შეიქმნა. ზოგიერთები საკუთრივ ლუდის წარმოების ამბებით დაინტერესდნენ.

საბჭოთა კავშირმა რუსეთიდან მემკვიდრეობით ძირითადად ოთხი სახის ლუდი მიიღო: ე.ნ. ჩეხური ტიპის ლუდი, რომელსაც ახლა „ლაგერს“ ან „პილზნერს“ უწენოდებთ; ე.ნ. აესტრიული ტიპის ლუდი, ოდნავ უფრო მუქი, ისიც ქერის – მას ერქვა „ვენური“; მიუნხენური შავი ლუდი, რომელსაც „გერმანული“ ერქვა და „ბოკი“, ანუ სულ სხვა ტიპის ლუდი, რომელზეც დღეს ბევრმა შეიძლება თქვას, რომ რაღაც სხვა სასმელია.

ოთხივე ტიპის ლუდი უცხოურ სახელს ატარებდა და ლუდის საბჭოთა პროპაგანდის დაწყებისთანავე, რა თქმა უნდა, მათი სახელებიც შეიცვალა. ჩეხურ ლუდს დაერქვა „მოსკოვური“, იმ ქალაქის სახლი, სადაც ინარმოებოდა. ვენურს, რომელიც საბჭოთა კავშირი ყველაზე მეტად მოსწონდათ, რუსული სახელი ვერ მოუფიქრეს და მასაც მნარმოებელი ქარხნის სახლი – „Жигулевское“ დაარქვეს; შავ ლუდს „რუსული“ ეწოდა, „ბოკი“ კი უცხოური სახელი – „პორტერი“ შერჩა. მას მხოლოდ მაღალი თანრიგის ხალხი სვამდა.

ამ დროისთვის ბოთლის ლუდის ფასი 45 კაპიკი იყო (აქედან 20 კაპიკი ბოთლის ფასი), ჩამოსასხმელი კი 20 ან 22 კაპიკი ღირდა. ეს ის პერიოდია, როდესაც მანეთი ფულია,

შეგიძლია ერთი ტოლჩა ლუდი დაარტყა და ხინკალი და ქაბაბიც დააყოლო.

ლუდი იაფი იყო, თუმცა აქ იყო პატარა საიდუმლო – ე.ნ. დაწეული (დემპინგური) ფასი. ლუდი სპეციალურად იყო იაფი, რათა ხალხს რამენაირად არყის ნაცვლად ესვა. ასე ანგარიშმდნენ – რაც მეტ ლუდს სვამ, მით ნაკლებ არაყის ეტანები. თუმცა ამასთან დაკავშირებით რუსმა ხალხმა ერთი სიბრძნე მოიფიქრა – „Пиво без водки деньги на ветер“ და გამდა ე.ნ. „Бурый медведь“ – ლუდი და არაყი, ჩვენებურად - ჩაკიდული.

რუსეთში ლუდზე რიგები იდგა. ამ რიგებთან დაკავშირებით გაჩნდნენ „ვეტერანები“, რაც ლუდის ენაზე იმ ადამიანს ნიშნავს, რომელიც უკვე იდგა რიგში, ლუდიც აიღო და დამატების შემთხვევაში რიგში აღარ ჩადგება. ეს ამბავი ყველაზე იცოდა და კორუფციის მექანიზმიც ამოქმედდა – ახალგაზრდები, რომელთაც ამხელა რიგში დგომა ეზარებოდათ, ე.ნ. „ვეტერანს“ ლუდის საფასურთან ერთად დამატებით მანეთს აძლევდნენ და „ვეტერანიც“ სასმელის ასაღებად მიეშვრებოდა.

აქტუალური იყო ჭურჭლის პრობლემაც. ლუდის რიგში მდგომს სასმელს ტოლჩით ან ქილით განვდიდნენ. წასაღებად სამლიტრიანი ქილა ყველაზე პოპულარული იყო – კარგად ერგბოლა თავსახური და ლუდი არ „იხრჩობოდა“. ამასთან დაკავშირებით მთელი ამბები იყო ჩვენთანაც, ოღონდ არ წყდებოდა საუბარი იმაზე, რომ „ეს ის ლუდი არ არის“.

ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. ლუდი სამჯერ ფუჭდებოდა: პირველად – ქარხანაში, ანუ ჩამოსახმის წინ ქარხნის მუშები მასში წყალს ურევდნენ; მეორედ – ე.ნ. ლუდის დამტარებელი მანქანა შუა გზაში გაჩერდებოდა, იქიდან ლუდს გადმოასხამდნენ და წყალს ჩამატებდნენ. მესამედ – ლუდის ჩამოსხმელებმა იცოდნენ, საიდან ჩამატებინათ წყალი. საბოლოო ჯამში ადამიანები ძალიან საეჭვო ლუდს სვამდნენ – ბევრი წყალი და ცოტა ლუდი. ადამიანები რიგში იდგნენ არა ლუდის სტანდარტული გემოსთვის, არამედ კითხვაზე პასუხის გასაცემად – ნეტა როგორი ლუდი იქნება დღეს? მოკლედ, მთელი ამბები – დღევანდელი ლუდი კარგი იყო, გუშინდელი არ ვარგოდა, როგორი იქნება ის ხვალ? ამ თვალსაზრისითაც საბჭოთა კავშირი არასტაბილური გემოს ქვეყანა იყო. ❸

# ქვეყნის იმპორტის ფონები

საქართველოში ძვირფასი ლითონის და-მუშავებას უძველესი ტრადიციები აქვს. თბილისელთა ყოფაში ადრიდანვე გვხვდება ვერცხლის მაღალმხატველული ნაკეთობანი, რომლებსაც, წმინდა ესთეტიკურის გარდა, ყოფითი დანიშნულებაც ჰქონდა. თბილისში, როგორც სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარე ქალაქში, რუსეთთან შეერთების შემდეგ კი – ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრში, სხვადასხვა ეთნოკულტურული კავშირებისა და გავლენების გამო ძალან მრავალფეროვანი ქალაქური ყოფითი კულტურა შეიიქნა.

ამის დასტურია თბილისის ისტორიის მუზეუმში დაცული ვერცხლის კოლექცია, სადაც თავმოყრილია როგორც ქართული წარმომავლობის, ასევე დაღესტნური, სომხური, რუსული ნაკეთობანი. თბილისში ვერცხლის დამუშავებას რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, ამის ნათელი მაგალითია იმ ქუჩის არსებობა, რომელსაც დღესაც ვერცხლის ქუჩის სახელით ვიცნობთ, სწორედ აქ მუშაობდნენ ვერცხლის ოსტატები.

ქართველები ძველთაგანვე იყენებდნენ ოქროსა და ვერცხლის დამუშავების ისეთ ხერხებს, როგორიცაა ფილიგრანი, სევადა, ცვარი, ზარნიში, ვარაყი. თბილისის ისტორიის მუზეუმში დაცულ ექსპონატებში დამუშავების ყველა ეს ხერხია გამოყენებული. აქ დაცულია ძირითადად XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის ვერცხლით შემკული იარაღი – ხანჯალი, ხმლები, თოფები, დანები, სპირისნამლები. მდიდრული იარაღი და ქამარ-ხანჯალი ადამიანის მაღალი სოციალური სტატუსის ხაზგასმას ემსახურებოდა, თუმცა მოსახლეობის დაბალ ფენაშიც, ხელოსნებსა და ვაჭრებში, ვერცხლის ქამარი ჩაცმულობის აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა. აქვეა დაცული საოჯახო ან რიტუალური დანიშნულების ვერცხლის ჭურჭელი, სამკაულები, საკულტო და წვრილი ყოფითი ნივთები და სხვა. 



სანთლის ნამწვავის მოსა-ჭრელი მაკრატელი, სიგრძე – 15.3 სმ, სინჯი – 84.



ჯაგრისები ბანქოს მაგიდისათვის, ვერცხლი, ხე, ჯაგარი, 7.3x4.8x1.7 სმ, ნონა 48.0 გრ, სინჯი – 875.



ორნამენტირებული ბალთა, ვერცხლი, ნონა 391.5 გრ, 10x16 სმ, სინჯი – 84.



ქამარი ინიციალებით „Г. О.“, ვერცხლი, ტყავი, წონა 1.025 გრ. 100x5 სმ, სინჯი – 84.



ქამარი ფირუზისფერი თვლებით, ვერცხლი, ტყავი, მინა, წონა 1.656 გრ, 88x5,5 სმ, სინჯი – 875.



კულა, ავტ. მ. მაგომედოვა, ხე, ვერცხლი, რქა, წონა 130 გრ, 27 X 11 სმ., სინჯი – 875.



რიტუალური დანიშნულების კვერცხი, ვერცხლი, სიმაღლე – 9.5 სმ, დიამეტრი – 3.5 სმ, სინჯი – 84.



საფულე. ვერცხლი, ფილიგრანი, 8.5x6 სმ., სინჯი – 800.



კოლოფი სამკაულებისათვის, ვერცხლი, ფილიგრანი, დიამეტრი – 7 სმ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.

# ესე ბაზიუხის ჩვენ პირები

...ოქის მოახლე, სარამდევი, ასეასო საჭირო, მომსწოდებელი; სხვა ახაფიები



დავით ბუხრიკიძე

მეოცე საუკუნის ფრანგ დრამატურგსა და მწერალს, უან უენეს საქართველოში აშკარად არ გაუმართლა. მართალია, გამომცემლობა „დიოგენებ“ რამდენიმე წლის წინ ქართულ ენაზე ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ავტორის გამომატურებული რომანი – „ნოტრ-დამ-დე-ფლერი“ გამოსცა, მაგრამ ინფორმაციულ სიმწირეს ეს აშკარად ვერ ავსებს. არც მისი პოეზია გახდა მაინცა და მაინც მოდური და ვერც მისმა შესანიშნავმა, უცნაურმა და ბრუტალურ-პოეტურმა პიესებმა („მოახლეები“, „აივანი“, „შავები“, „შირმები“) აღაგზნეს ახალგაზრდა თუ კლასიკოს რეჟისორთა ფანტაზია.

შესაძლოა იმიტომ, რომ მთარგმნელებთან ერთად რეჟისორებიც დღემდე ვერაფერს უხერხებენ უენეს პიესების თვითმყოფად, დახვეწილ და ურთულესი პოეტური ნიუანსებით მდიდარ ტექსტს. მისი „კრიმინალური ვნებებით“ შეპყრობილი პერსონაჟების განსახიერება კი მსახიობებისგან განსაკუთრებულ მომზადებას, ინტელექტუალურ სიმღერების და შინაგან ენერგიას ითხოვს.


...მარგინალთა და კრიმინალთა მეხოთბე, ქურდი და პოეტი, „წმინდანი და წამებული“, უკომპრომისო და გარყვნილი, დახვეწილი და რეფორმატორი, მუდამ დევნილი და განდევნილი – ასეთია უენეს გრაფიკულ-პოეტური პორტრეტი. მისთვის ციხე ლამის მარადიულ ბიბლიოთეკად იქცა. 15 წლისა იყო, როდესაც პირველად არასრულნლოვან დამნაშავეთა კოლონიაში მოხვდა. მაშინ ცხადია, არ იცნობდა შემდგომში მისი შე-

მოქმედების მუდმივ დამცველებსა და მეხოთბებს – უან კოქტოს და უან-პოლ სარტს. სწორედ მათი მფარველობის გამო გაათავისუფლეს უენე ციხიდან. მწერალი, პოეტი და დრამატურგი თავის შემოქმედებაში განუწყვეტლივ უბრუნდება ცოდვის, დანაშაულის, ეროტიზმის თემებს, რომლებიც ასევე თავს იყენიან პიესაში „მოახლეები“.

პიესა 1947 წელს დაიწერა, რომელიც იმავე წელს ცნობილმა რეჟისორმა, ლუი შუვემ პარიზის თეატრ „ატემეში“ დადგა. იმ დროს ევროპა მეორე მსოფლიო ომის ჭრილობებს იშუშებდა და ჯერ კიდევ არაფერი გაეგო უენეს შესახებ. ის მხოლოდ 60-70-იან წლებში, სტუდენტური მღელვარებისა და „სექსუალური რევოლუციის“ უამს გაიხსენეს რეჟისორებმა და მსახიობებმა. უან-პოლ სარტრმა კი მას სქელტანიანი გამოკვლევა უძღვნა და „წმინდანი და წამებული“ უწოდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში გერმანელი კინორეჟისორის, ტომას ენგელის მიერ დადგმულ „მოახლეებს“ (ეპატაჟური სატელევიზო ვერსია) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდი დისკუსია მოჰყვა. უფრო მეტადაა ცნობილი ბრიტანელი რეჟისორის, კრისტოფ მაილსის ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს შესანიშნავი მსახიობები – გლენდა ჯეესონი (სოლანე) და სუზან იორკი (კლერი) თამაშობენ. თანამედროვე შვედმა კომპოზიტორმა პიტერ ბენგსტონმა კი უენეს პიესის მიხედვით ერთაქტიანი ოპერა დაწერა, რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა შვედეთის სამეფო ოპერაში (რეჟისორი რაინჰარდ ლიცი). საბჭოთა დაისის უამს, 1989 წელს მოსკოვის თეატრ „სატირონში“ რეჟისორ რომან ვოკტიუკის დადგმული „მოახლეები“ კრიტიკაშ ლამის რევოლუციურად შერაცხა. თუმცა მოგვიანებით, 90-იან წლებში მისი ნახვის შემდეგ რაღაც უგემოვნებისა და უხამსობის შეგრძნება დამიტოვა.

„ვენინაალმდეგები“ სამყაროს, რომელიც მუდმივად მამცირებს და ამგვარად, მაიძულებს უფრო მშვენიერი გავხდე. ვემსგავსები ანგელოზს, რომელსაც კლავენ და ასახიჩრებენ“ – ეს უენეს პერსონაჟების



უან უენე –  
დრამატურგი, პოეტი, მწერალი



ნატა მურვანიძე და ნინო კასრაძე  
სპექტაკლში „მოახლები“

ფოტო გამია მიზიანი

დასახასიათებლად საოცრად ზუსტი ფრაზაა, რომელსაც მართალია აქლახან სამეფო უბნის თეატრში დადგმულ „მოახლეებში“ ვერ მოისმენთ, მაგრამ დები – კლერი (ნატა მურვანიძე) და სოლანჟი (ნინო კასრაძე) და მათი ქალბატონიც (ბაია დვალიშვილი) თითქოს ჩაბმულნი არიან სწორედ, ამ „დასახიჩრებული და დამცირებული“ ანგელოზების ირაციონალურ, საშიშ და ეროტიკულ დუელში, სადაც გამარჯვება ფაქტობრივად შეუძლებელია.

„მოახლეები“ პირველად იდგმება საქართველოში და იმედია, უნეს პიესა და საერთოდ, მისი დრამატურგია ახალგაზრდა რეჟისორების პროვოცირებას მაინც შეძლებს, რაც ფრანგი ავტორის სხვა პიესების დადგმებში გამოიხატება. თორემ შექსპირ-მოლიერ-კლდიაშვილით დაღლილ პუბლიკას თეატრი ან ისევ მუზეუმად მოეჩვენება, ან სატელევიზო შოუების გაგრძელებად. ამ მხრივ სამეფო უბნის თეატრი დღეს „ესთეტიკური აღზრდის“

ფუნქციასაც ითავსებს, სადაც ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს მეოცე საუკუნის მივიწყებული კლასიკის გაცოცხლება-რესტავრაცია. ამდენად, „მოახლეების“ დადგმას გაცილებით მნიშვნელოვანი დატვირთვაც პქონდა.

საინტერესოა, რომ მოახლე დების კრიმინალურ ისტორიაში, რომლებიც ჯერ თავიანთი ქალბატონის საყვარელს პოლიციაში დაასმენენ და შემდეგ მისი მონამვლის გეგმას დასახავენ, სინამდვილეში უმთავრესი ფსიქოლოგიური კომპლექსების, შენიდბული ბოროტების, დაუფარავი ეროტიზმისა და უხილავი ესთეტიზმის იშვიათი ნაზავია, რასაც ვერცერთ სხვა მწერალთან (ალბათ, მარკიზ დე სადის გარდა) ვერ ამოიკითხავთ. შესაძლოა, სწორედ დაუძლეველი სირთულეების გადალახვა მოინდომა მსახიობმა და რეჟისორმა ნიკა თავაძემ, როცა უნეს „მოახლეებს“ შეეჭიდა.

ნიკა თავაძე: „თავიდან არ მიფიქრია დადგმაზე, მაგრამ პიესის ნაკითხვის შემდეგ რამდენიმე დღეში მისი თავი-

დან გადაკითხვის სურვილი გამიჩნდა. მონუსხული ვიყავი პიესის სიღრმით, იმით, რაც ქვეტექსტებში, მოვლენათა რიგში იკვეთებოდა. რაც მთავარია, ეს პიესა არ ჰგავდა აქამდე ჩემ მიერ ნაკითხულ არცერთ პიესას. უნებ, ცდილობს გვიამბოს ადამიანთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც აბსოლუტურ, ლოგიკურ გამართლებას საჭიროებს. პიესაზე მუშაობისას ყველაზე რთული სწორედ ამ მოვლენათა ამოკითხვა და სიღრმისეული, ლოგიკური ჯაჭვის გამართვა იყო. თითქმის ყველა სცენის გადაწყვეტის დროს ჩნდება შეკითხვა – რატომ ხდება ასე, რატომ სჩადიან პერსონაჟები ამას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, პიესის მთლიანი კონსტრუქციის ლოგიკურ სქემაში უნდა ჯდებოდეს. პირველი ფორმულა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც პიესაზე მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, ასე უღერდა: დამნაშავე, რომელიც მევლელობას გეგმავს, როგორ ხდება თავად თვითმკვლელი.



ბანა დვალიშვილი

ფოტო პრეზიდენტის

პიესაზე მუშაობა დაახლოებით ორ თვეს გრძელდებოდა. მსახიობთა შემადგენლობაზე თავიდან არ მიფიქრია, მაგრამ როდესაც გადავწყვიტე, ეს უკვე საბოლოო გადაწყვეტილება იყო და რომელიმე მათგანს უარი რომ ეთქვა, სპექტაკლს არ დავდგამდი. მთავარია, რომ დამთანხმდენ და დიდი მადლობა მათ ამ ნდობისთვის. სამივე – ნინო, ნატა და ბაია უალრესად განათლებული, გამოცდილი და უნიჭიერესი მსახიობები არიან. სარეპეტიციო პერიოდი იმდენად საინტერესო იყო, რომ მისი დასრულება მაინცდამაინც არ გვახარებდა... მადლობა მათ ამ დიდი სიამოვნებისთვის. და მადლობა მთელ შემოქმედებით გუნდს – მხატვარ ქეთი ნადიბაიძეს, კომპოზიტორ ნიკა ფასურს და ირმა ტაველიძეს, რომელმაც შესანიშნავად თარგმნა პიესა".

რეჟისორი თითქმის არ ერევა პიესაში, არ ცვლის ტექსტს და არც სცენოგრაფიულ „ფოკუსებს“ ატარებს, რათა მაყურებელის ყურადღება მიიკყროს. რეჟისორული ხერხებისა და მიზანსცენების უბრალოება გაცილებით ახლოა კლასიკურ საოპერო დადგმებთან და 50-იანი წლების ფინერამებთან, ვიდრე ამას თანამედროვე, ეპატაზურ-რეჟისორული „მოდა“ მოითხოვს. და როგორც არ უნდა შევაფასოთ სამეფო უბნის თეატრის პრემიერა, მთავარი მაინც მისი ერთგული მაყურებელია,

რომელიც დროთა განმავლობაში მის გულშემატკიცრად იქცა.

როგორც პოეტი ამბობს, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ და ამიტომაც, ვიღაცისთვის ყვავილებით გადავსებული სცენა-ოთახი და ბურგერული ატმოსფერო უფრო 50-იანი წლების ფრანგულ მელოდრამებზე პაროდიად აღიმება. ვიღაცას კენ რასელის „რუდოლფო ვალენტინოს“ ეპიზოდები გაასენდება ან სულაც, ფასპინდერის „აქტრა ფონ კანტის ცხარე ცრემლების“ ესთეტიკა. სიტყვამ მოიტანა და დროდადრო ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნინო კასრაძე და ნატა მურვანიძე თავიანთი კოსტიუმირებული, სადომაზოხოსტური თამაშებითა თუ აკვაიტებებით უენეს პიესის აივინდან პირდაპირ ფასპინდერის პეტრა ფონ კანტის დახუთულ, უპაერო ოთახში გადაცხოვდნენ და უკვე იქ განაგრძებენ მოახლე-ქალბატონის ფინერალოგიური მოდელით მანიპულირებას.

სპექტაკლის საათი და ორმოცი წუთი საჭიროა იმისათვის, რომ დაიჯეროთ, შეუძლიათ თუ არა ამ ეგოცენტრულ, ჭირებულ, აშეარად ფინერულური კომპლექსებით „დახუნძლულ“ მოახლებს, მონამლონ ქალბატონი, ვისაც ემსახურებიან და ვინც სინამდვილეში სძულთ. ნატა მურვანიძის კლერი ფეთქებადი ხასიათით, ცალებადი განწყობითა და ტემპერამენტით გამოირჩევა. თამამად შეუძლია ქალ-

ბატონს დასცინოს, მისი კაბები მოირგოს, მისი სოციალური როლი გაითამაშოს, მის „ტყვეში შეძვრეს“... ისე, რომ დაუფარავი აგრესით ბოლოს თავადვე განადგურდეს. კლერი ერთდროულად ძლიერი და სუსტია, აგრესიული და თვითმევლელი... როდესაც ხალათ-მოსხმული, მოქნილი და ოდნავ თავედი კლერი სპექტაკლის დასაწყისში მთვარით განათებულ აივანზე ჰენდელის საოპერო არის თანხლებით გამოჩნდება, უკვე გარკვეულილად გასაგები ხდება წარმოდგენის ტონალობაც და ესთეტიკულაც.

ნინო კასრაძე – სოლანუ მორჩილებას შინაგან სიძლიერეს უსამებს, სიმორცხვეს – გარყვნილებას... ფინალში კი მას სანიმუშო ძალადობად აქცევს. სცენა, როდესაც სოლანუ მარგალიტის მძივებით ახრჩიბს კლერს, სპექტაკლში ერთ-ერთი საუკეთესოა. რომ არაფერი ვთქვათ სოლანუს ფინალურ მონოლოგზე, რომელშიც სანიმუშოდ განვრთნილი დრამატიზმი, მგრძნობელობა და სიგიურის ნიშნები ერთდროულად იგრძნობა.

რაც შეეხება ბაია დავალიშვილის დაახლოებით 20-25 წუთიან შესანიშნავ „ინტერმეცია“, მასში ზუსტად და ირონიულადაა განსაზღვრული ჭირებული პარიზელი ქალბატონის სასიყვარულო განცდების არეალი. ფრანგული თეატრისა და კინოს მოყვარულებს აღბათ გაახსენდებათ ისეთი სახელები, როგორიცა მადლენ რენო, მარია კაზარესი, ან უენევიე პაუზი.

„მოახლეებში“ ლამის ყველაფერია – ქურდობა და დასმენა, კრიმინალი და ვნება, ერთგულება და ორსახოვნება და ცხადია, ბევრი უსექსო სექსი... რადგან ბოლოსდაბოლოს, ქალები ქალებს თამაშობენ. არადა, უენეს სურდა, რომ სოლანუ და კლერი მამაკაც-მსახიობებს ეთამაშათ. თავის დროზე ანტონენ არტომ ძალადობა, როგორც პერფორმანსის ფორმა, სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა და სწორედ ძალადობა გამოიყენა გართობის ესთეტიკის გასანადგურებლად. დრამატურგიაში ეს პირველად სწორედ უან უენემ შეძლო... უენემ, რომელიც თურმე ძალიან გვწყურია! ☺

**სმარტი**  
ხარისხი დეტალები



**Smart**  
QUALITY IN DETAILS

T: 2 557 557 • info@smart.ge • www.smart.ge

## დაგეგმვათ თქვენი ღონისძიება სმარტის დახმარებით!



*Smart events & catering*


### ■ სმარტის ქაითერინგისა და ღონისძიებების სამსახური გთავაზობთ:

- ნებისმიერი სახის ღონისძიების დაგეგმვა და მენეჯმენტი (კორპორატიული საღამო, პრეზენტაცია, კონფერენცია, სემინარი, ვორქშოპი, გამოფენა, შეხვედრები, საბავშვო ღონისძიება, ქორნილი);
- კონფერენციების და სემინარების უზრუნველყოფა ლანჩით და ყავის შესვენებით;
- პერსონალური დღესასწაულების და ღონისძიებების ორგანიზება;
- კორპორატიული კვება და ბუფეტის ტიპის მომსახურება.

### ■ ჩვენი უკირატესობებია:

- უგემრიელესი მენიუს ფართო ასორტიმენტი (ქართული და ევროპული სამზარეულო, საკონდიტრო ნაწარმი);
- კერძებისა და ბუფეტის გამორჩეული და განსხვავებული ვიზუალური მხარე;
- კრეატიული და მაღალკვალიფიციური გუნდი;
- თანამედროვე ჭურჭელი და დეკორაციები;
- ღონისძიებებისთვის საჭირო ნებისმიერი სახის ინვენტარი;
- მომსახურება როგორც თბილისში, ასევე საქართველოს ნებისმიერ რეგიონში.





፩፻፲፭

მგონი, ამჯერად მოხდა. მგონი, ამჯერად დაიწყო  
და ასე იოლად აღარ დამთავრდება და ჩაიფარება.



გიორგი ახვლევანი

შეკიცარია ხმირად ყოფილია ჩატარიანი მუსიკის სამართლის აღდელი. შეკიცარია მოკიურინებული ხმირად გამოსულია მსალებლის შემაჯავალის უძველეს განკვეთებით. ერთი ზორი ზორი ეგა, ახალი ამბების კულა გამოშევა ლუკრეცია მოგამოიწვეოს მოკიურინებული კარავა დედა პორტებს პრესკონფერენციის ინვიტოდა.

କଲ୍ପନାରାଜା ଶାର୍ମିଳୀଙ୍କୁ ଯୁଗ, ଶାର୍ମିଳୀଙ୍କର ଇତ୍ତା-  
ପରିଶ୍ରମ ମାଧ୍ୟମରେ ଦେଖାଇଲାମ୍ବଦ୍ଧ ମିଶ୍ରଶ୍ଵର, ମୃଗ୍ରୀ  
ରାଜୁ ଏହାରେ ରାଜୁ ପରିଶ୍ରମାବଳୀରେ ଏବଂ ରାଜୁଙ୍କ  
ଶାର୍ମିଳୀରାଜାଙ୍କ ଶର୍ମିଳୀଙ୍କରେ ଅନ୍ତର୍ମର୍ମିଳାଙ୍କରେ  
ରାଜୁ ଦେଖିଲୁଣ୍ଡାନ୍ତିରେ ଶ୍ରେଷ୍ଠିତାଙ୍କ ପରିଶ୍ରମରେ

იფას ჯერ ბრუნინის პროფესიატურა  
დევდა, მერე ბოური და იუსტიციის დე-  
ტამენტი. ახლა შტატების გენერალური  
კოურატურა.

ფურცელის გამოყენებით და მას შემდეგ მათ ასახავთ, ასეთი და ესეთი წელისას გამოყენების შემთხვევაში დარღვევის ასეთ კონტაქტის დროის მასში გამოიიყენება და სხვა გათავარ-ბაშიც გაუტენილება. მაგრამ წილი ასეთი გრანული ტური, ამას მარტინ გამოიიყენება.

შევეღიარებულება — მკვეთრი დურის აღმოსავალი ინტერიერი ჩანაწერი და ეს განვითარებული ბალა კულტურის ერთ-ერთ ძეგლი იყო. სამაცხოველი ინტერიერის მასაზე დაგენერირდა სულ დამატებითი გენერაცია. მას სპონსორი კი ტრინიტარიული დაკავშირდა და თავისუფრო უძრავი ან უზრუნველყოფა კორომად უკავშირდებოდა. გალობრივი კორომად კავკასიონის უძრავი უზრუნველყოფა, რომლის იმსახური მატრიცებით სასახლეების იყო უზრუნველყოფილი. რა კავშირი არ არის მასთან დაკავშირდება, მაგრამ ეს კავშირი დღინის დროის ფულის კორომად უკავშირდებოდა.

■ ფიფას გარშემო ნლებია სკანდალებია. სულ რაღაც ფულე-ბზე, გაყალბებებსა და მოსყიდვებზეა ლაპარაკი. ფიფა თვითონაც იძიებს თავისი დიდმოხელეების ამბებს. ყოველ შემთხვევაში ამაზე დაგრადა გადადგა, მაგრამ ბრეზნევი რა მოსატანია ფიფას ბოლო ორ უფროსთან ან ვადით, ანდა აზრის სიფართოვით.

ფეხბურთი გლობალიზაციის პიონერია. ეს ურაო აველანება მოხაზა და გააკეთა კი-დეც.

სტენლი როუზი რომ განზე გასწია, აველან-ჟმა იმ დღიდანვე დაიწყო ფიფას მსოფლიო დაწესებულებად ქცევა. ისედაც მსოფლიო იყო, მაგრამ მხოლოდ სახელით. აველანება კი წამოსწინა მესამე სამყარო, ასევე ის სამყარო, სადაც ფეხბურთი, პირველი კი არა, მეორე სპორტიც არასდროს ყოფილა.

ეს იყო უზარმაზარი პროგრამა, რომლის არსიც ფიფას უმთავრესი შეჯიბრების, მსოფლიო თასის სამყაროს ნომერ პირველ სანახაობად ქცევა, აფრიკის, აზიის, შეუა ამერიკის საფეხბურთო სამყაროს სრულფასოვან წევრებად ქცევა და ერთიანი დიდი ფეხბურთის შექმნა იყო.

აველანების და მისი მარჯვენა ხელის, ბლატერის ხელში ფიფა უმდიდრეს დაწესებულებად იქცა. მერე რა, რომ ერთი ოდესლაც წყალბურთს ხელმძღვანელობდა, მეორე კი - პოკეის. ორივენი გამობრძებილი მოხელენი და ბიზნესმენი იყვნენ. მათ მსოფლიო თასი თექვსმეტი გუნდით ჩაიბარეს და ოცდათორმეტიანად აქციეს.

ფიფა არის მკაცრი აგებულების დაწესებულება. მსოფლიო ფეხბურთი მის ხელშია, სახელმწიფო ვერსად ეხება ფიფას ხელქვეით მყოფ ფედერაციებსა და ასოციაციებს, თუ კრიმინალი არ გამომჟღავნდება.

სხვანაირ შეხებაზე ფიფას მოყლე პასუხი აქვს: ის თავისი რიგებიდან რიცხავს იმ ფეხბურთის ფედერაციებს, რომელთა საქმიანობაშიც სახელმწიფო ჩაერევა. ეს კი დაღუპვის ტოლფასია ხოლმე: ქვეყანა უფეხბურთოდ რჩება. უფეხბურთოდ დარჩენა კი წარმოუდგენელია სწორედ იმიტომ, რომ ფიფამ ის აუცილებელ, გარდუვალ, გლობალურ თამაშად აქცია.

ალბათ ამაში ცუდი ბევრი არაფერია. მაგრამ ფიფაში სულ სკანდალებია. ფიფას გადაწყვეტილებები ხშირად საჭჭოა. ფიფაში ათწლეულობით სხედან ერთი და იგივე ადამიანები, რომელთაც არც არჩევის ლიმიტი ეხებათ, არც დემოკრატია, არც რამე სხვა ასეთი შემანუებებელი.

ფიფას გარშემო წლებია სკანდალებია. სულ რაღაც ფულებზე, გაყალბებებსა და

და ოთხმცოდაორისა კი ამაყად გადადგა, მაგრამ ბრეზნევი რა მოსატანია ფიფას ბოლო ორ უფროსთან ან ვადით, ანდა აზრის სიფართოვით.

ფეხბურთი გლობალიზაციის პიონერია. ეს ურაო აველანება მოხაზა და გააკეთა კი-დეც.

სტენლი როუზი რომ განზე გასწია, აველან-ჟმა იმ დღიდანვე დაიწყო ფიფას მსოფლიო დაწესებულებად ქცევა. ისედაც მსოფლიო იყო, მაგრამ მხოლოდ სახელით. აველანება კი წამოსწინა მესამე სამყარო, ასევე ის სამყარო, სადაც ფეხბურთი, პირველი კი არა, მეორე სპორტიც არასდროს ყოფილა.

ეს იყო უზარმაზარი პროგრამა, რომლის არსიც ფიფას უმთავრესი შეჯიბრების, მსოფლიო თასის სამყაროს ნომერ პირველ სანახაობად ქცევა, აფრიკის, აზიის, შეუა ამერიკის საფეხბურთო სამყაროს სრულფასოვან წევრებად ქცევა და ერთიანი დიდი ფეხბურთის შექმნა იყო.

აველანების და მისი მარჯვენა ხელის, ბლატერის ხელში ფიფა უმდიდრეს დაწესებულებად იქცა. მერე რა, რომ ერთი ოდესლაც წყალბურთს ხელმძღვანელობდა, მეორე კი - პოკეის. ორივენი გამობრძებილი მოხელენი და ბიზნესმენი იყვნენ. მათ მსოფლიო თასი თექვსმეტი გუნდით ჩაიბარეს და ოცდათორმეტიანად აქციეს.

ფიფა არის მკაცრი აგებულების დაწესებულება. მსოფლიო ფეხბურთი მის ხელშია, სახელმწიფო ვერსად ეხება ფიფას ხელქვეით მყოფ ფედერაციებსა და ასოციაციებს, თუ კრიმინალი არ გამომჟღავნდება.

სხვანაირ შეხებაზე ფიფას მოყლე პასუხი აქვს: ის თავისი რიგებიდან რიცხავს იმ ფეხბურთის ფედერაციებს, რომელთა საქმიანობაშიც სახელმწიფო ჩაერევა. ეს კი დაღუპვის ტოლფასია ხოლმე: ქვეყანა უფეხბურთოდ რჩება. უფეხბურთოდ დარჩენა კი წარმოუდგენელია სწორედ იმიტომ, რომ ფიფამ ის აუცილებელ, გარდუვალ, გლობალურ თამაშად აქცია.

ალბათ ამაში ცუდი ბევრი არაფერია. მაგრამ ფიფაში სულ სკანდალებია. ფიფას გადაწყვეტილებები ხშირად საჭჭოა. ფიფაში ათწლეულობით სხედან ერთი და იგივე ადამიანები, რომელთაც არც არჩევის ლიმიტი ეხებათ, არც დემოკრატია, არც რამე სხვა ასეთი შემანუებებელი.

ფიფას გარშემო წლებია სკანდალებია. სულ რაღაც ფულებზე, გაყალბებებსა და

მოსყიდვებზეა ლაპარაკი. ფიფა თვითონაც იძიებს თავისი დიდმოხელეების ამბებს. ყოველ შემთხვევაში ამაზე ლაპარაკობს ხოლმე. მაგრამ ის აუდებულ ციხე-სიმაგრედ რჩება. რჩებოდა. შეიძლება ასეც ითქვას. თუმცა ისიც შეიძლება ითქვას, რომ ეს დაჭრები ბევრს არაფერს შეცვლის. როცა ფიფასთან გაქვს საქმე, ვერ გაიგებ რა მოხდება. თითქოს მარად განახლებადი, ფიფა ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატული დაწესებულებაა მსოფლიოში.

მიშელ პლატინიმ ბლატერს გადადგომისკენ მოუწოდა. ბრიტანეთის პრემიერმა კამერონმაც. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ, გრეგ დაიკმა თქვა, რომ არჩევის მიუხედავად, ბლატერი შოკში უნდა იყოს და რომ ჯერ არაფერი დამთავრებულა. ინგლისელები ბლატერისტებად არასდროს მოიაზრებოდნენ. ერთი პატარა წყენაც, რომლითაც მსოფლიო თასის მასპინძლობაში ფიფამ ინგლისს რუსეთი ამჯობინა, რა თქმა უნდა, ცოცხლობს.

ათწლეულებია ფიფა მხოლოდ უარყოფითად მოიხსენება მედიაში, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მთელი აფრიკის და აზიის უმეტესი ნაწილის ხმოსნებს, წლიდან წლამდე მხოლოდ ბლატერს დაუჭირონ მხარი. მათი პასუხი გასაგები და სასაცილოა: მხოლოდ ბლატერის ხელში შეგვიძლია ვიგრძოთ თავი სხვათა თანასწორებად საფეხბურთო სამყაროში და მივიღოთ ფიფასგან სამისა ფული, რომ ჩვენს ქვეყნებში ფეხბურთი განვითაროთ.

ესაა და ეს. მარტივად და გასაგებად.

უბრალოდ, ახლა ყველა ამერიკელ ჩაუბლები არ არის მთელი აფრიკის და აზიის უმეტესი ნაწილის ხმოსნებს, წლიდან წლამდე მხოლოდ ბლატერს დაუჭირონ მხარი. მათი პასუხი გასაგები და სასაცილოა: მხოლოდ ბლატერის ხელში შეგვიძლია ვიგრძოთ თავი სხვათა თანასწორებად საფეხბურთო სამყაროში და მივიღოთ ფიფასგან სამისა ფული, რომ ჩვენს ქვეყნებში ფეხბურთი განვითაროთ.

მგონი ფიფა გაება. როგორც ჩვენში იტყვიან, თავის ყველაფრით. მგონი.

კარლა დელ პონტე კი პენსიაზეა, მაგრამ არის სხვაც, ლორეტა ლინჩი, შტატების გენერალური პროკურორი, ქალი, რომელიც ყელში სწვდა ფიფას.

ამიტომ ინგლისელები მართალს ამბობენ. ყველაფერი ახლა იწყება. □



**WWW.LIBERALI.GE**

---

ჩვენ ვეძმარებით ორგანიზაციებს,  
ისეთი სვლილებები განახორციელონ სტუდენტაში,  
რომ სტარტილურად ყველენი შეფეხები მიიღონ.

# სინარჩუნო

ორგანიზაციული არაიმურავისა და კულტურული მოვალეობის სამსახური

15 წლის განმავლობაში

ორგანიზაციული განვითარების 300-მდე პროექტი  
100-ზე მეტი წარმატებული ორგანიზაციასთან საქართველოში